№4 2011

მასწავლებელი

მაკმილანი საქართველოში

ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის

ტექნოლოგიური ინოვაცია სწავლებაში

საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი აქტიურად მუშაობს მასწავლებელთა დამხმარე მასალებით უზრუნველყოფის მიმართულებით. აღნიშნული მასალა ხელს უწყობს როგორც, ზოგადად, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, ასევე, სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მზადებას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემების შეძენის მსურველებმა პუბლიკაციის ღირებულების შესაბამისი თანხა უნდა გადარიცხონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სპეციალურ საბანკო ანგარიშზე:

სს „ბაზისბანკი“ ბანკის
კოდი: CBASGE22
ანგარიშის ნომერი: 134983
მიმღები: მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი
საიდენტიფიკაციო კოდი:
202 374 251

ქვითარში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული გამოცემის სახელწოდება. გადარიცხვის შემდეგ, ქვითარი უნდა წარედგინოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს ქვემოთ მოცემულ მისამართზე ან/და სკოლის ადმინისტრაციას, რომელმაც წერილობით უნდა აცნობოს ცენტრს პედაგოგების მიერ გამოწერილი პუბლიკაციებისა და საჭირო რაოდენობების შესახებ. საჯარო სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები გამოწერილ გამოცემებს მიიღებენ სკოლაში, ცენტრის მიერ მიღებული განაცხადების საფუძველზე.

თბილისი 0102
დ. უზნაძის ქ. №52
ტელ: 438621

ცენტრის გამოცემების შეძენა შესაძლებელია „პრიმა ჯგუფი 2009“ წიგნის მაღაზიაში, ქ. თბილისი, დადიანის ქ. 43 ტელ.: 96 62 38

www.tpdc.ge

დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისთვის

სტატიები განათლების საკითხებზე

მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელო სამ ნაწილად

1. განვითარებისა და სწავლის თეორიები
2. სწავლება და შეფასება
3. სასწავლო და პროფესიული გარემო





ჟურნალი „მასწავლებელი“

კითხვის ეფექტური მეთოდები
სასწავლო მეთოდური ფილმი (DVD) და მისი გზამკვლევი

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი

მასწავლებლისა და სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსები და მოსწავლის ქცევის კოდექსი

რედაქტორისგან

ახალი სასწავლო წლიდან საქართველოში ყველა პირველკლასელი საჩუქრად მიიღებს ნეტბუკს. ზაფხულის განმავლობაში, მათი კლასის დამრიგებლები 1:1 ელექტრონული სწავლების ტრენინგებს გადიოდნენ.

ბაბალე მჭედლიშვილი, კასპის რაიონის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელია. ისიც ამ ტრენინ-გების მონაწილეა. ეს ფოტო მისმა ტრენერმა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგების კოორდი-ნატორს ეკა ჯელაძეს გადმოუგზავნა. ფოტომ, რა თქმა უნდა, თითოეულ ჩვენგანს თავისი განწყობა და ასოციაციები გაუჩინა.

გადავწყვიტე, ის ჟურნალ „მასწავლებლის“ მკითხველებისთვის გამეზიარებინა და მეთქვა რომ,

მასწავლებლის პროფესიას არ აქვს ასაკი,
რომ ცოდნის მიღებას არ აქვს ასაკი,
რომ ცოდნის განახლებას არ აქვს ასაკი,
და რომ, ყოველთვის შეიძლება დავიწყოთ თავიდან.

და რომ, ნოვაციას და სიახლეს პროგრესული ადამიანი ზუსტად ისე უყურებს, როგორც ქალბატონი ბაბალე.

მე მინდა, ბევრი ასეთი მასწავლებელი ვისურვო ჩვენთან. მოგილოცოთ ახალი სასწავლო წლის დადგომა, წარმატებების, საინტერესო დღეების და საინტერესო ადამიანებთან შეხვედრის სურვილით და შესაძლებლობით.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

მასწავლებელი

N4(16),2011

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუ-არობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 მ-374

რედკოლეგია: გია მამულაშვილი, ნინო რევიშვილი, თეა კვინტრაძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **მთავარი რედაქტორი:** ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** ირაკლი კაკაბაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **ფოტო:** გელა ბედიანაშვილი | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშ-ვილი | **კორექტორი:** მაია მენაბდე.

ნომერზე მუშაობდნენ: თეო ნეფარიძე, მანანა რატიანი, ანა ჯანელიძე, მერაბ ლაბაძე, ქეთო ნინიძე, ეკა ჯელაძე, ანა ქებაძე, ნინო რევიშვილი, თეო ჭყოიძე, მალხაზ ხარბედია, თეა კვინტრაძე, სანდრო ასათიანი, ნუგზარ ბარდაველიძე, რეზო ხოფერია, ირმა კახურაშვილი.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, 0102 დიმიტრი უზნაძის 52, ტელ: (+995 32) 43 86 22, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

8

ექსპერტი

მერაბ ლაბაძე

8 **ნეტბუკები სკოლაში: ტექნოლოგიური ინოვაცია სწავლებაში**

საქართველოში ახალი სასწავლო წლიდან „ბუკად“ წოდებულ ნეტბუკს ყველა პირველკლასელი მიიღებს. საქართველოს წარმატებული მაგალითი, შესაძლოა, გადამდები აღმოჩნდეს და აქ განხორციელებული მიდგომები სხვა ქვეყნებშიც გამოიყენონ.

ანა ჯანელიძე

12 **ხუთი წლის ბავშვები სკოლაში**

ბავშვი თავის თავს ისე აფასებს, როგორც მას აფასებენ სხვები: ოჯახის წევრები, თანატოლები, მასწავლებლები. ხშირად ბავშვის თვითშეფასება სხვების შეფასების ანარეკლია, ამიტომ დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს მასწავლებელმა.

თეო ნეფარიძე

16 **მოსწავლის აკადემიური პროგრესის შეფასება**

შეფასების პროცესის წარმატებულად წარმართვისთვის აუცილებელია, მოსწავლეები და მშობლები ინფორმირებულნი იყვნენ შეფასების კრიტერიუმების, პროცესისა და მიზნების შესახებ. მათი ინფორმირებულობა შეფასების სისტემისადმი ნდობის ხარისხს გაზრდის.

ქეთო ნინიძე

20 **ძალა ერთობაშია, ანუ მასწავლებლის ელექტრონული პორტფოლიო**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სპეციალური საწვრთნელი პროგრამების საშუალებით უზრუნველყოფს ელექტრონული სწავლების სფეროში პედაგოგთა ინფორმირებასა და კომპიუტერული უნარ-ჩვევების განვითარებას, რის შედეგადაც მასწავლებლები ხედავენ ელექტრონული განათლების პერსპექტივებს და იმ მოთხოვნებს, რასაც თანამედროვე ინტერაქტიული სწავლება აყენებს სისტემაში ჩართული სპეციალისტების წინაშე.

მანანა რატიანი

28 **სკოლა და გლობალური კლიმატის ცვლილება**

სახლსა თუ სკოლაში განხორციელებული მცირე აქტივობებით სათბური გაზების ემისია იკლებს და თანხაც იზოგება. მოსწავლეებს, მასწავლებლებს, სკოლის ადმინისტრაციას შეუძლიათ საკუთარი წვლილი შეიტანონ კლიმატის ცვლილების შერბილებაში.

ჩვენი პროექტები

თეა კვინტრაძე

5 **პროფესიული განვითარების სქემა სერტიფიცირებული მასწავლებლისთვის**

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაასრულა მუშაობა ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტზე, როგორიცაა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა.

მრგვალი მაგიდა

ირმა კახურაშვილი

24 **ჟურნალი „მასწავლებელი“ და მკითხველი**

მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის ხელშეწყობაც ის არის, რომ მას ღირსეული ჟურნალი უნდა ჰქონდეს, ის თავს ღირსეულ პროფესიაში უნდა გრძნობდეს.

რჩევები

რეზო ხოფერია

39 **მასწავლებლის პროფესიის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები საქართველოში**

მასწავლებელმა კომპეტენტურად უნდა წარმართოს სასწავლო პროცესი და უნდა დაიცვას პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმები მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებსა და სკოლის ადმინისტრაციასთან ურთიერთობისას.

შინაარსი

რესურსი

სანდრო ასათიანი

36 **თანამედროვე ტექნოლოგიები და სწავლების მოდელი**

ინტერნეტში უამრავი სასწავლო მასალაა კომპიუტერული პროგრამებისა და ტექნოლოგიების შესახებ. მაგალითად, თუ მებაღეობით დაინტერესდებით, შეგიძლიათ იპოვოთ ვიდეო მასალა ხის გასხვლის შესახებ, ან თუ სტუმრებს ელოდებით და რაიმე ორიგინალური რეცეპტი გჭირდებათ, ინტერნეტში მას იოლად მიაკვლევთ.

თეო ჭყოიძე

42 **ბიბლიოთეკა – ინფორმაციის რესურსცენტრი**

სასკოლო საზოგადოების მიერ ბიბლიოთეკის რესურსების გამოყენება წიგნებისა და აუდიო-ვიზუალური მასალების პოპულარიზაციას და მათ შესახებ ინფორმაციის საინტერესო კუთხით გავრცელებას გულისხმობს. სასკოლო გარემოში ასეთ როლს ბიბლიოთეკარი და მასწავლებელი ასრულებენ.

პრობლემა

მალხაზ ხარბედია

32 **მხატვრული ლიტერატურა სკოლაში**

„ვერავინ გახდება რეალურად განათლებული, თუკი იგი არ ეცდება იმის შესწავლასაც, რის მიმართაც მას ინტერესი არ ამოძრავებს. რადგან იმ საგნებით დაინტერესების უნარი, რომლისკენაც არა გვაქვს მიდრეკილება, განათლების ნაწილს წარმოადგენს“.

სიახლე

ნინო რევიშვილი

48 **„მაკმილანი“ – საქართველოში**

2011 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საგანმანათლებლო გამომცემლობა „მაკმილანს“ შორის გაფორმდა ურთიერთშეთანხმების მემორადუმი, რის საფუძველზეც მიმდინარე წლის სექტემბრიდან საქართველოში მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ, ინგლისური ენა მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი გამომცემლობის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოებით შეისწავლონ.

ჩვენი პროგრამები

ანა ქებაძე

45 **ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში, კახეთში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენის შესწავლის ხელშეწყობის ახალ პროგრამას იწყებს.

მოსაზრება

ნუგზარ ბარდაველიძე

51 **სამოქალაქო განათლების შუქ-ჩრდილები**

თანამედროვე სკოლა იმ ადგილს წარმოადგენს, სადაც ახალი თაობა ყალიბდება და ამ პროცესში სწავლებაზე უფრო მნიშვნელოვანი მოზარდის აღზრდაა.

გამოცდილება

ეკა ჯელაძე

54 **ტექნოლოგიები და განათლება ამერიკაში**

ამერიკელები, სწავლების შედეგების გასაუმჯობესებლად, განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებს სისტემატურად ანახლებენ. თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით, ისინი დროის, ფინანსებისა და ადამიანური რესურსის ეფექტურად გამოყენებას ეგემავენ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი

„მასწავლებლის სახლი იქნება ურთიერთთანამშრომლობის ახალი კონცეფცია მასწავლებელსა და სახელმწიფოს, მასწავლებელსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებელსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის.“

ახალ სასწავლო წელს, ჩვენი ქვეყანა 12 ახალი საჯარო სკოლით შეხვდა, რომელიც სახელმწიფომ თავისი ბიუჯეტით ააშენა. ახალი მშენებლობების პარალელურად გარემონტდა 300 სკოლა.

გვყავს უფრო მეტი სერტიფიცირებული მასწავლებელი, რომლებიც ჩვენი მომავლის განათლების საყრდენია და ამიტომაც, სერტიფიცირებული მასწავლებლები იმუშავებენ სრულ განაკვეთზე.

დიდი ქალაქის ყველა სკოლას ექნება თანამედროვე, უახლესი ლაბორატორიები. ეს პროცესი გაგრძელდება და საქართველოს თითეულ სკოლას მოიცავს.

სკოლები აღჭურვილია ახალი ინვენტარით, სასკოლო დაფებითა და მერხებით, ეს პროცესიც მალე მთელ საქართველოს მოიცავს.

ახალი სასწავლო წლიდან, გვაქვს ახალი სასწავლო გეგმა და ახალი სახელმძღვანელოები, 1 და 6 კლასის ჩათვლით. თითოეული სახელმძღვანელოს ფასი არ აღემატება 10 ლარს. მომავალ სასწავლო წელს 7-12 კლასებისთვისაც გვექნება გრიფირებული ახალი წიგნები.

ჩვენი მოსწავლეები უცხო ენას 1 კლასიდან შეისწავლიან და ჩვენ გვყავს 4200 გადამზადებული ინგლისური ენის მასწავლებელი, რომლებმაც მაკმილანის პროგრამის ფარგლებში გაიარეს მომზადება.

საქართველოში ყველა პირველ კლასელი საჩუქრად მიიღებს „ნეტბუკს“, რომელიც დატვირთულია ლიცენზირებული ვინდოუს პროგრამით და საგანმანათლებლო მასალებით. ეს ძალიან დაეხმარებათ ბავშვებს მათემატიკური და საბუნებისმეტყველო, და არა მხოლოდ ამ საგნების შესწავლაში. ზაფხულის განმავლობაში, მათი დამრიგებლები გადიოდნენ 1:1 ელექტრონული სწავლების ტრენინგებს.

ახალი სასწავლო წლიდან, მასწავლებლებს ექნებათ, ჯერ მხოლოდ თბილისში და შემდგომ, საქართველოს ყველა დიდ ქალაქში, „მასწავლებლის სახლი“. ეს არ იქნება მხოლოდ ახალი შენობა, ეს იქნება ადგილი სადაც ჩვენი ქვეყნის ყველა მასწავლებელს, ნებისმიერ დროს ექნება შესაძლებლობა მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია. აქ ისინი გაივლიან ტრენინგებს, იმუშავებს ბიბლიოთეკა.

მასწავლებლის სახლი იქნება ურთიერთთანამშრომლობის ახალი კონცეფცია მასწავლებელსა და სახელმწიფოს, მასწავლებელსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებელსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის.

ეს ჩამონათვალი ბუნებრივია, არ არის ყველაფერი, რასაც სამინისტრო აკეთებს და რასაც სამომავლოდ გააკეთებს ჩვენი მომავალი თაობის განათლებისთვის და მასწავლებლებისთვის.

ვულოცავ თითოეულ მასწავლებელს, მოსწავლესა და მშობელს, ახალი სასწავლო წლის დადგომას. მჯერა, რომ წელს კიდევ მეტი სიხარულის, მეტი მიღწევებისა და წარმატებების წელი გვექნება.

პროფესიული განვითარების სქემა – სერტიფიცირებული მასწავლებლისთვის

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის წარმატება მნიშვნელოვანწილად არის განპირობებული სწავლების ხარისხითა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით. რაც უფრო აქტიურად იყენებენ მასწავლებლები თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს, უზიარებენ კოლეგებს გამოცდილებას, ერთობლივად განიხილავენ წარმოქმნილ პრობლემებს და ეძებენ გამოსავალს, მით უფრო დიდ წარმატებას აღწევენ. ეს წარმატება კი მოსწავლეთა მიღწევებზე პირდაპირ აისახება.

თეა კვინტრაძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაასრულა მუშაობა ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტზე, როგორიცაა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა.

ამ დოკუმენტს ფუნდამენტური ცვლილებები შეაქვს მასწავლებლის პროფესიასა და კარიერულ ზრდაში. სქემა მასწავლებლის კატეგორიებს განსაზღვრავს და მასწავლებლის უმაღლესი კატეგორიის მისაღწევად აუცილებელ კონკრეტულ გზამკვლევს იძლევა. სქემის მიზანი წარმატებული და აქტიური მასწავლებლების წახალისება და მათი რაოდენობის გაზრდაა.

დოკუმენტში აღწერილია მასწავლებლის სქემაში ჩართვის, მასწავლებლობის უფლების განახლებისა და მასწავლებლის კატეგორიის მინიჭების სავალდებულო კრედიტების ოდენობა და მათი დაგროვების შესაძლებლობები.

რატომ უნდა ჩავერთოთ სქემაში?

სქემა მასწავლებელს თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალებას აძლევს, ვინაიდან ის განსაზღვრავს მასწავლებლობის უფლების განახლების სამ ძირითად გზას: მასწავლებელს შეუძლია მხოლოდ სასერტიფიკაციო გამოცდა ჩააბაროს, ან მხოლოდ კრედიტები დააგროვოს, ან კრედიტების დაგროვებასთან ერთად სასერტიფიკაციო გამოცდის ერთი ან ორივე ნაწილი ჩააბაროს. ამგვარად მას კარიერული ზრდის გზაზე ერთი საფეხურით დაწინაურება შეუძლია.

სქემაში ჩართვის გარეშე მასწავლებლობის უფლების განახლების ერთადერთ საშუალებად კი მხოლოდ სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარება რჩება.

სქემაში რეგისტრაცია

სქემაში რეგისტრაცია ნებაყოფლობითია, თუმცა მასში ჩართვა მხოლოდ იმ მასწავლებელს შეუძლია, რომელსაც სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსი უკვე მიღებული აქვს. რეგისტრაცია წელიწადში ორჯერ – ყოველი წლის ოქტომბერსა და აპრილში მიმდინარეობს.

სქემაში რეგისტრაციისათვის მასწავლებელმა ცენტრის მიერ დადგენილი სპეციალური ფორმა უნდა შეავსოს და პასუხისმგებელ პირს მასწავლებლის გეგმასთან ერთად უნდა წარუდგინოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრში.

სქემაში ჩართული მასწავლებლის გეგმა არის მასწავლებლის მიერ ინდივიდუალურად შექმნილი და წერილობითი ფორმით შემუშავებული აქტივობების გეგმა, რომელსაც სკოლის დირექტორი ხელმოწერით ადასტურებს. გეგმის შემუშავებისას მასწავლებელმა სამ ძირითად შეკითხვას უნდა უპასუხოს:

- რომელი გზა ურჩევნია მასწავლებლობის უფლების განახლებისათვის?

> „აქტივობებში მონაწილეობის მიღებისას სქემაში ჩართულ მასწავლებელს მოეთხოვება პორტფოლიოს შექმნა და აქტივობების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შეგროვება.“

- გეგმავს თუ არა კარიერულ წინსვლას?
- რომელი მეთოდებია მისთვის ყველაზე მისაღები კარიერული ზრდის გზაზე ერთი საფეხურით დაწინაურებისათვის აუცილებელი კრედიტების დასაგროვებლად?

ბუნებრივია, შვიდი წლის სამოქმედო გეგმის გაწერა და უზადოდ შესრულება წარმოუდგენელია, ამიტომ მასწავლებელს გეგმის კორექტირება ნებისმიერ დროს შეუძლია.

კრედიტები და მასწავლებლის კატეგორიები

კრედიტი აკადემიური და პროფესიული მიღწევების გაზომვისა და შეფასების ერთეულია. ნებისმიერი პროფესიონალის, მათ შორის მასწავლებლის, საქმიანობა გაზომვადი უნდა იყოს. სწორედ ამ პრინციპით ვიხელმძღვანელეთ, როდესაც კრედიტების სისტემა შემოვიტანეთ და ეს სისტემა კარიერულ ზრდას დავუკავშირეთ:

ა) სერტიფიცირებული მასწავლებელი – 21 კრედიტი;
ბ) პირველი კატეგორიის მასწავლებელი – 32 კრედიტი;
გ) უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი – 42 კრედიტი.

მასწავლებლის კარიერული ზრდისა და კატეგორიების განხილვისას და დაგეგმვისას აუცილებელია რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორზე გამახვილდეს ყურადღება:

- მასწავლებელი კარიერული ზრდის მხოლოდ ერთი საფეხურით შეიძლება დაწინაურდეს ყოველი 8-წლიანი პერიოდის განმავლობაში;
- მასწავლებლის თითოეული კატეგორიის კრედიტების მიღების შემდეგ კრედიტების ათვლა თავიდან იწყება;
- მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის თითოეული ნაწილი ფასდება 10,5 კრედიტით. თუ კარიერული ზრდის შემდგომ საფეხურზე გადასასვლელად მასწავლებელს გამოცდის მხოლოდ ერთი ნაწილის ჩაბარება სჭირდება, მან საგნობრივი ნაწილი უნდა ჩააბაროს.
- მოპოვებული კატეგორიის შესანარჩუნებლად მასწავლებელმა კატეგორიის შესაბამისი რაოდენობის კრედიტები უნდა დააგროვოს.
- კატეგორიისათვის საჭიროზე ნაკლები რაოდენობის კრედიტების დაგროვების შემთხვევაში, მასწავლებელი კატეგორიას კარგავს და ერთი კატეგორიით ჩამოქვეითდება.
- 21-ზე ნაკლები კრედიტის დაგროვების შემთხვევაში, მასწავლებელი კარგავს სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსს, ან ჩააბარებს გამოცდის მხოლოდ ერთ ნაწილს – საგნობრივ გამოცდას.

> „სქემა მასწავლებელს თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალებას აძლევს, ვინაიდან ის განსაზღვრავს მასწავლებლობის უფლების განახლების სამ ძირითად გზას: მასწავლებელს შეუძლია მხოლოდ სასერტიფიკაციო გამოცდა ჩააბაროს, ან მხოლოდ კრედიტები დააგროვოს, ან კრედიტების დაგროვებასთან ერთად სასერტიფიკაციო გამოცდის ერთი ან ორივე ნაწილი ჩააბაროს.“

მონიტორინგი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიქმნება მონიტორინგის მობილური ჯგუფი, რომელსაც სქემაში ჩართული მასწავლებლების საქმიანობის ადგილზე შემოწმება და მასწავლებლებისათვის რეკომენდაციების შემუშავება დაევალება.

მობილური ჯგუფის წევრები ივლიან რეგიონებში, შეხვდებიან სქემაში ჩართულ მასწავლებლებს, გაეცნობიან მათ მიერ შემუშავებული გეგმების განხორციელების პროცესს, ასევე დაესწრებიან საგაკვეთილო პროცესსაც. მათი ვიზიტის შედეგად მომზადდება დასკვნა, რომლის საფუძველზეც ცენტრის დირექტორი შეიმუშავებს რეკომენდაციებს სქემაში ჩართული მასწავლებლისათვის.

საიდენტიფიკაციო კომისია

კრედიტების აღიარებასა და მასწავლებლისათვის კატეგორიის მინიჭებას საიდენტიფიკაციო კომისია მოახდენს.

კომისიის შემადგენლობაში შევლენ განათლების სფეროს აღიარებული სპეციალისტები, რომლებიც, მასწავლებლის პორტფოლიოსა და მონიტორინგის ანგარიშების შუალედური და საბოლოო განხილვის მიზნით, შეიკრიბებიან და გადაწყვეტილებას მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მიიღებენ.

მასწავლებლის პორტფოლიო სქემაში ჩართული მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და

აკადემიური საქმიანობების ამსახველი დოკუმენტების კრებულია. სქემაში ჩართულმა მასწავლებელმა კრედიტების დაგროვების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შეგროვება უნდა უზრუნველყოს, რათა საინდენტიფიკაციო კომისიის წევრებმა მის მიერ დაგროვებული კრედიტების აღიარება შეძლონ.

საინდენტიფიკაციო კომისიის მიერ მასწავლებლის პორტფოლიოს საბოლოო განხილვის შემდეგ, მასწავლებლის სერტიფიკატის ვადის ამოწურვამდე, სულ მცირე, შვიდი თვით ადრე ცენტრი სქემაში ჩართულ მასწავლებელს აცნობებს მის მიერ მასწავლებლის სერტიფიკატის მიღებიდან შვიდი წლის განმავლობაში დაგროვებული კრედიტების რაოდენობის შესახებ. შვიდი თვე საკმარისი ვადაა მასწავლებლებისათვის, რათა ისინი სასერტიფიკაციო გამოცდისათვის მოემზადონ, თუ ამის აუცილებლობა არსებობს.

საიდენტიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, ყოველი წლის სექტემბერში მიიღება გადაწყვეტილება სქემაში ჩართული მასწავლებლისათვის მასწავლებლის სერტიფიკატის განახლების, კატეგორიის მინიჭების ან კატეგორიის ჩამორთმევის შესახებ. გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიცემა ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის.

აქტივობები და კრედიტები

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის მეათე თავში მოცემულია ის აქტივობები და მათი შესაბამისი კრედიტები, რომლებიც მასწავლებელმა 7 წლის განმავლობაში უნდა დააგროვოს პროფესიული და კარიერული ზრდის საფეხურების გასავლელად. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მასწავლებელმა კრედიტები, სულ ცოტა, 7 სხვადასხვა სახის აქტივობის გამოყენებით უნდა დააგროვოს.

კარგად თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ამ თავში თავმოყრილია ისეთი აქტივობები, რომლებსაც წარმატებული მასწავლებელი მუდმივად იყენებს სწავლების პროცესში (მაგალითად, საგანმანათლებლო პროექტის ავტორობა, საგნობრივ კათედრაზე აქტიურობა, მენტორ-მასწავლებლობა, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლების პროცესში და ა.შ.).

თუმცა ამ ჩამონათვალში ისეთი აქტივობებიც შეგვხვდება, რომლებიც შესაძლოა მხოლოდ მასწავლებელზე არ იყოს დამოკიდებული: საგანმანათლებლო კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის მიღება, ტრენერად მუშაობა ან უცხოეთში სტაჟირება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ძალისხმევას არ იშურებს იმისათვის, რომ მასწავლებლებს მუდმივად ჰქონდეთ შესაძლებლობა, საკუთარი შეხედულებისამებრ მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებში, სემინარებსა თუ შესარჩევ ტურებში უცხოეთში სტაჟირების გასავლელად. შემოდგომაზე ფუნქციონირებას დაიწყებს თბილისის მასწავლებლის სახლი, რომელიც ყოველ დღე შესთავაზებს მასწავლებლებს სხვადასხვა სახის აქტივობებს. მასწავლებლის სახლის სიახლეები, დაგეგმილი აქტივობები და სემინარების, ტრენინგებისა და კონფერენციების განრიგი ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსდება და ყველა მასწავლებელს შეეძლება რეგისტრაციის გავლა მონაწილეობის მისაღებად.

ამ აქტივობებში მონაწილეობის მიღებისას სქემაში ჩართულ მასწავლებელს მოეთხოვება პორტფოლიოს შექმნა და აქტივობების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შეგროვება (ვიდეოჩანაწერი, მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომი ან სერტიფიკატი).

კრედიტების დათვლისა და კარიერული ზრდის დაგეგმვისას მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ კრედიტების ათვლა მხოლოდ სქემაში ჩართვის მიზნით რეგისტრაციის წარმატებით გავლის შემდეგ იწყება. ასევე, ყოველი რვაწლიანი პერიოდის გასვლის (სქემაში ჩართული მასწავლებლისთვის მასწავლებლის სერტიფიკატის განახლების ან კატეგორიის მინიჭების განაწყვეტილების გამოქვეყნების) შემდეგ დაგროვილი კრედიტების რაოდენობა ნულდება და მათი ათვლა თავიდან იწყება.

მალე დასრულდება მუშაობა გზამკვლევზე, რომელშიც მუხლობრივად იქნება განხილული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა და ამ დოკუმენტთან დაკავშირებით ყველა სავარაუდო შეკითხვას პასუხი გაეცემა.

მერაბ ლაბაძე

ნეტბუკები სკოლაში – ტექნოლოგიური ინოვაცია სწავლებაში

„საქართველოში ახალი სასწავლო წლიდან „ბუკად“ წოდებულ ნეტბუკს ყველა პირველკლასელი მიიღებს. საქართველოს წარმატებული მაგალითი შესაძლოა გადამდები აღმოჩნდეს და აქ განხორციელებული მიდგომები სხვა ქვეყნებშიც გამოიყენონ.“

ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ საგანმანათლებლო სისტემები ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ბევრ მდიდარ ქვეყანაში საკლასო ოთახები და ლაბორატორიები იმ ძვირადღირებული ტექნიკით აღიჭურვა, რომლის გამოყენებაც ხშირად დამატებით ცოდნას მოითხოვს როგორც მოსწავლისაგან, ისე მასწავლებლისაგან. ამავე დროს პერსონალური კომპიუტერის ზომები სულ უფრო მცირდება და პირადი გამოყენების მცირეგაბარიტიანი მოწყობილობები პოპულარული ხდება. პორტატული კომპიუტერის მოდიფიკაცია – ნეტბუკი ბევრი ქვეყნის საკლასო ოთახებში აღწევს, როგორც ინდივიდუალური სწავლებისათვის საჭირო მოწყობილობა. იქმნება ისეთი სასწავლო გარემო, სადაც ყველა მოსწავლეს საგანმანათლებლო ამოცანების შესასრულებლად მომართული ციფრული მოწყობილობა აქვს. ასეთი სწავლება ყველგან სიახლეა და მისი ეფექტიანობის შესამოწმებლად კვლევები ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ქვემოთ მიმოვიხილავთ ასეთი პროექტების ისტორიას, რამდენიმე ახალ ინიციატივას და კომპიუტერულ სწავლებასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

სკოლებში ინდივიდუალური ციფრული მოწყობილობების ფართომასშტაბიანი გამოყენების წინაპირობა მათი გაიაფება და ზომების საგრძნობი შემცირება გახდა. თავდაპირველად, ახალი ათასწლეულის დასაწყისში, ნეტბუკების კონცეფციის შექმნას ხელი შეუწყო ამერიკელ მკვლევართა და ენთუზიასტთა ჯგუფმა, რომელმაც მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ბაზაზე რამდენიმე პროტოტიპი შექმნა. ამ პროექტს OLPC ეწოდა, ანუ One Laptop Per Child – ერთი ლეპტოპი თითოეულ ბავშვს. პროექტი, ძირითადად, განვითარებადი ქვეყნების დაწყებითი სკოლების მოსწავლეებზე იყო გათვლილი და მათთვის 100 ამერიკულ დოლარად ღირებული პორტატული კომპიუტერის შექმნას ისახავდა მიზნად. მკვლევართა აზრით, ასეთი პორტატული კომპიუტერით სოციალურად დაუცველი ბევრი ბავშვი შეძლებდა წერა-კითხვის სწავლას იმ პირობებში, როცა ნაბეჭდი სახელმძღვანელო მათთვის ხელმისაწვდომი არ იქნებოდა. მართალია, OLPC პროექტის ფარგლებში შექმნილმა XO ლეპტოპის ფასმა 180 დოლარი შეადგინა და ის ბევრ ქვეყანაში არ გავრცელებულა, მაგრამ ამ პიონერულმა ინიციატივამ საფუძველი ჩაუყარა ნეტბუქების ინდუსტრიის განვითარებას, აღნიშნული მოწყობილობების დახვეწას და საბოლოოდ, გაუმჯობესებული სახით განათლების სისტემებში დანერგვას. თუ თავიდან ასეთ ნეტბუკში მხოლოდ ფლეშ-მეხსიერება იყო, ეკრანი ფერების სიმკვეთრით არ გამოირჩეოდა და მის დასატენად ველოსიპედთან მიერთებული დინამო-მანქანაც გამოიყენებოდა, თანამედროვე მოწყობილობა სრულფასოვანი, თუმცა იაფფასიანი კომპიუტერია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ასეთი კომპიუტერის სასკოლო სისტემაში ეფექტიანად დანერგვა ტრენინგების ჩატარებას და ინტერნეტის ინფრასტრუქტურის არსებობას მოითხოვს.

საქართველოში ახალი სასწავლო წლიდან „ბუკად“ წოდებულ ნეტბუკს ყველა პირველკლასელი მიიღებს. საქართველოს წარმატებული

მაგალითი შესაძლოა გადამდები აღმოჩნდეს და აქ განხორციელებული მიდგომები სხვა ქვეყნებშიც გამოიყენონ. თუმცა სანამ ქართული გამოცდილება დაგროვდება, მიზანშეწონილია, გავეცნოთ, თუ როგორ და რისთვის იყენებენ ნეტბუკებს სწავლების პროცესში.

მოლოდინები

იაფფასიანი ლეპტოპები, დენის მცირე დანახარჯებით და უფასო ოპერაციული სისტემებით, განსაკუთრებით მიმზიდველია განვითარებადი ქვეყნებისათვის. ამასთანავე, უახლესი კონცეფცია, როცა სერვისები და პროგრამები მომწოდებლის სერვერებზეა განთავსებული და არა მომხმარებლის კომპიუტერზე, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს იაფი, ინდივიდუალური, ციფრული მოწყობილობების საგანმანათლებლო მიზნებით გამოყენებას. მთავარია, კომპიუტერი ინტერნეტში იყოს ჩართული და შესაბამისი სასწავლო მასალები თუ პროგრამები არსებობდეს.

ასევე მოსალოდნელია, ამგვარმა მოწყობილობებმა ნაბეჭდ სახელმძღვანელოებზე გაწეული ხარჯი შეამციროს, თუმცა, თავისთავად, ასეთი მოწყობილობები წიგნს ვერ შეცვლის.

კიდევ ერთი სარგებელი, რაც ინდივიდუალურ, ციფრულ მოწყობილობებს მოაქვს, ცოდნის შეფასების გაზრდილი, უწყვეტი და მოქნილი შესაძლებლობებია, რომლებიც ხელს უწყობს სასკოლო განათლების ეფექტიანობას.

ინდივიდუალური, ციფრული მოწყობილობები ხელს უწყობს სწავლების ისეთი თანამედროვე მეთოდების დანერგვასაც, როგორიცაა პროექტზე დაფუძნებული სწავლება და ჯგუფური დავალებები.

ერთ-ერთ კვლევაში ამგვარი კომპიუტერული ინიციატივების მიზნები შემდგნაირად არის ჩამოყალიბებული:

- უზრუნველყოს მოსწავლეები საჭირო ისტუნარებითა და კომპეტენციებით, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებისა და ეკონომიკისათვის.
- შეამციროს ე.წ. „ციფრული უთანასწორობა“ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს შორის და გაზარდოს საყოველთაო წვდომა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების რესურსებზე.
- გააუმჯობესოს სწავლების ხარისხი, გახადოს ის მოსწავლეზე უფრო მეტად ორიენტირებული.
- აკადემიური მოსწრების ამაღლების მიზნით შეაჯეროს ფორმალური და არაფორმალური განათლების მეთოდები.

არსებობს მოსაზრებები და ექსპერიმენტული კვლევები,

> „მასწავლებლებმა კარგად უნდა იცოდნენ, როგორ და რა სასწავლო მიზნების მისაღწევად გამოიყენონ ესა თუ ის ტექნიკური მოწყობილობა.“

რომლებიც გარკვეულწილად ამტკიცებს, რომ კომპიუტერული მოწყობილობის რეგულარულად, დამოუკიდებლად გამოყენებისას თანამედროვე მოსწავლეები ცოდნას ზედამხედველობის გარეშეც იძენენ. თუმცა ასეთი ცოდნა უფრო არასისტემურ ხასიათს ატარებს და გარკვეული უნარების ფლობას გულისხმობს. განათლების სისტემაში კი მნიშვნელოვანია, ცოდნის შეძენას სისტემური და თანმიმდევრული ხასიათი ჰქონდეს, რაშიც მთავარ როლს მასწავლებელი ასრულებს. სწორედ მასწავლებელმა უნდა შეძლოს სწავლების თანამედროვე მეთოდების, სასწავლო გეგმის და ახალი ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო მიზნების მისაღწევად.

მასწავლებელთა გადამზადება და მხარდაჭერა

სწავლების დონის გაუმჯობესებას მხოლოდ ტექნოლოგიების დანერგვა ვერ განაპირობებს. სკოლაში კომპიუტერები, შესაძლოა, საერთოდ არ გამოიყენებოდეს. იმისათვის, რომ ნეტბუკი მართლაც გახდეს ეფექტიანი სწავლების ინსტრუმენტი, აუცილებელია რამდენიმე ძირითადი კომპონენტის ერთობლიობა.

1. ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამართულობა

ნეტბუკებით სწავლებისათვის მნიშვნელოვანია შიდა ქსელის გამართულობა, ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და ტექნიკური მხარდაჭერა. ინფრასტრუქტურული ბარიერები ყოველთვის პრობლემას შეუქმნის მოსწავლეების მიერ ნეტბუკების გამოყენებას და მათი ცოდნის ეფექტიან შეფასებას. მასწავლებელი სრულად უნდა ენდობოდეს ტექნიკურ საშუალებებს და მას სწრაფი ტექნიკური მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდეს, სასკოლო ან რაიონულ დონეზე. ზოგჯერ შესაძლებელია თავად მოსწავლეები ჩავრთოთ გარკვეული ტექნიკური ამოცანების გადაჭრაში. ისინი ხომ ხშირად იყენებენ ციფრულ მოწყობილობებს სკოლის გარეთ და მათ მოხმარებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებსაც კარგად იცნობენ.

2. მასწავლებელთა მომზადების შესაბამისი დონე

მასწავლებლებმა კარგად უნდა იცოდნენ, როგორ და რა სასწავლო მიზნების მისაღწევად გამოიყენონ ესა თუ ის ტექნიკური მოწყობილობა.

მსოფლიო გამოცდილებით, პროფესიული მხარდაჭერის ფორმალური და არაფორმალური საშუალებები აუცილებელი წინაპირობაა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ინიციატივების წარმატებით დასანერგად. პროფესიული განვითარების ადეკვატური შესაძლებლობები კრიტიკული კომპონენტია აღნიშნული სახის კომპიუტერული სწავლების ეფექტიანობისათვისაც.

ისტ-ის მეშვეობით გაკვეთილების გეგმების შედგენის პრაქტიკა და გამოცდილება ქართველ მასწავლებლებს უკვე აქვთ. მნიშვნელოვანია, რომ ახალი კურიკულუმის მოთხოვნების გათვალისწინებით მოხდეს კლასში ნეტბუკების გამოყენების სწორად დაგეგმვა, შესაბამისი მეთოდების გაცნობა და სასწავლო გეგმის ამოცანებთან მათი შეჯერება.

„ბუკის“ ეფექტიანად გამოყენებისათვის შესაბამისი ტრენინგები დაწყებითი სკოლების მასწავლებლებს უკვე ჩაუტარდათ. მასწავლებელთა ამგვარი მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება.

3. მასწავლებელთა მოტივაცია

მასწავლებელთა მოტივაცია კომპიუტერული სწავლების შედეგიანობას მნიშვნელოვნად განაპირობებს. საჭიროა, მათ ნეტბუკის გამოყენების მკაფიო მოდელი ჰქონდეთ, ისევე, როგორც მაგალითები ასეთი ინიციატივების დასანერგად. სასურველი და რეკომენდებულია, ამ პროცესში გათვალისწინებული იყოს მასწავლებელთა წახალისების სისტემაც.

მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია კოლეგებისგან პროფესიული დახმარების მიღებაც. ხშირად არაფორმალური რჩევა და გამოცდილების გაზიარება საკმაოდ ეფექტიანია ტექნოლოგიების წარმატებით ათვისებასა და პედაგოგიური ინოვაციის დანერგვაში. ამდენად, ნეტბუკების გამოყენებისას მასწავლებლებს გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობაც უნდა მიეცეთ.

მასწავლებელთა მხარდაჭერის სპეციალური პროგრამები

მასწავლებელთა გადამზადებისას მნიშვნელოვანია იმის

გათვალისწინებაც, რომ მათ ხშირად ტექნიკასთან ადაპტირების პერიოდი სჭირდებათ. ამ დროს ისინი სხვადასხვა პროგრამას იყენებენ, ხოლო მოსწავლეებს ჯგუფურ ან დამოუკიდებელ დავალებებს აძლევენ ახალი მოწყობილობისა თუ კომპიუტერული პროგრამის ასათვისებლად. სწავლებაში ინოვაციების უკეთესად დასანერგად საჭიროა სპეციალური ტრენინგ-პროგრამების განხორციელება. ისინი ხელს უწყობს პროექტზე დაფუძნებული და სხვა ინოვაციური მეთოდების დანერგვას, რაც, საბოლოოდ, 21-ე საუკუნის უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული.

ელექტრონული კონტენტი და სწავლების ახალი მოდელები

მასწავლებლის როლი იმ მხრივაც არის მნიშვნელოვანი, რომ მას შეუძლია მოსწავლეების მიერ ციფრული მოწყობილობების შემოქმედებითად გამოყენებას ხელი შეუწყოს, ან პირიქით, შეზღუდოს ის. სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მოწყობილობების გამოყენების ეფექტიანობა დამოკიდებულია მასწავლებლის მიერ ტექნოლოგიების პოტენციალის გააზრებასა და მაღალი ხარისხის ციფრული მასალების ხელმისაწვდომობაზე. მაღალი ხარისხის ციფრული მასალების არსებობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ამგვარი ინიციატივების წარმატებას. ამასთან, მასწავლებლებმა კარგად უნდა იცოდნენ მასალების მოძიება, შესაბამისი პროგრამების გამოყენება და სასურველია, შექმნაც. ციფრულ ფორმატში გადაყვანილი

> „სწორედ მასწავლებლის მონდომებაზე, პროფესიონალიზმსა და სიახლისადმი ღიაობაზეა დამოკიდებული, თუ როგორ შეძლებენ პირველკლასელები სასწავლო გარემოს ამ ახალი ელემენტის გათავისებას და მის გადაქცევას ცოდნის შეძენის ინსტრუმენტად.“

დიაგრამა, სურათი, ვიდეოფილმი, ხმის ჩანაწერი ხომ უკვე ციფრულ სასწავლო მასალას წარმოადგენს. ნეტბუკის მხარდაჭერის ინსტრუმენტი საქართველოში www.buki.ge ვებ-გვერდია, სადაც უკვე ატვირთულია ელექტრონული რესურსები სხვადასხვა საგანში. თუმცა ქართულენოვანი მასალების რაოდენობის გაზრდა საკმაოდ აქტუალურია ასეთი ინოვაციური და მასშტაბური პროექტის განხორციელებისას.

ნეტბუკები და აკადემიური მოსწრება

კვლევებით დადგინდა, რომ ისტ-ის გამოყენების აღნიშნული მოდელი აუმჯობესებს აკადემიურ მოსწრებას წერასა და ისტ-უნარებში. ამავე დროს ის ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, აუმჯობესებს მათ თანამშრომლობით უნარებს და ხელს უწყობს შეფასების ეფექტიანობის გაზრდას. აღსანიშნავია, რომ ნეტბუკები გამოიყენება როგორც დაწყებით, ასევე საბაზო სკოლაშიც.

აუცილებელია რეგულარული მონიტორინგი, თუ როგორ გამოიყენება ნეტბუკები საკლასო ოთახებში. მნიშვნელოვანია როგორც სასწავლო პროგრამებისა თუ ელექტრონული სასწავლო მასალების შეფასება, ასევე კონკრეტული საგანმანათლებლო კონტექსტის გათვალისწინება და სპეციფიკურ პრობლემებზე სწრაფად რეაგირება.

საგანმანათლებლო შესაძლებლობების გათანაბრება

დაწყებითი სკოლების მოსწავლეთათვის ნეტბუკების გადაცემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი საგანმანათლებლო შესაძლებლობების გასათანაბრებლად. აქ მხოლოდ ტექნიკური საშუალებების გამოყენება ან ელექტრონული სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობა არ იგულისხმება. ნეტბუკი შესაძლოა ოჯახში პირველი კომპიუტერი გახდეს, ოჯახის წევრებს კი შესაძლებლობა ექნებათ, დაეუფლონ საჭირო ისტ-უნარებს, მოიძიონ სწავლის, დასაქმებისა თუ საკუთარი ბიზნესის წარმოების საშუალებები, მოახდინონ სოციალიზაცია გლობალურ ქსელში და სხვ. განსხვავება ციფრული მოწყობილობების გამოყენებაში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნებს შორისაც აღინიშნება. ამგვარი კომპიუტერული ინიციატივები კი ახალი თაობებისთვის განათლების მიღების თანაბარ შესაძლებლობებს უზრუნველყოფს.

ისეთი მასშტაბის პროექტები, როგორიც სასწავლო მიზნებით ნეტბუკების გამოყენებაა, ჯერ კიდევ სიახლეს წარმოადგენს საგანმანათლებლო სისტემებისათვის. თუმცა, როგორც ნებისმიერი ინოვაციის დანერგვისას, სწორედ მასწავლებლის მონდომებაზე, პროფესიონალიზმსა და სიახლისადმი ღიაობაზეა დამოკიდებული, თუ როგორ შეძლებენ პირველკლასელები სასწავლო გარემოს ამ ახალი ელემენტის გათავისებას და მის გადაქცევას ცოდნის შეძენის ინსტრუმენტად.



ანა ჯანელიძე

ხუთი წლის ბავშვები სკოლაში

„მასწავლებელმა ბავშვებს უნდა აუხსნას, რომ შეცდომების დაშვება სწავლის თანმდევი მოვლენაა და ის ახალი ცოდნისა და გამოცდილების მიღების საშუალებას იძლევა.“

სწავლა-სწავლების თავისებურებები და რეკომენდაციები

სკოლაში სწავლის დაწყების მინიმალურ ასაკად საქართველოში 5 წელი გამოცხადდა, რაც მშობლებს საშუალებას აძლევს, ბავშვი სკოლაში სურვილისამებრ, 5 ან 6 წლის ასაკში შეიყვანონ. განათლების ზოგიერთი სპეციალისტი ფიქრობს, რომ ადრეულ ასაკში, სკოლამდელი და დაწყებითი განათლების ეტაპზე, შერეული ასაკობრივი ჯგუფები (რაც ხშირად ბავშვებს შორის 1 წელზე მეტ სხვაობასაც გულისხმობს) პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს ბავშვთა სწავლასა და განვითარებაზე. ეს ზეგავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების თვალსაზრისით: შედარებით პატარები უფროსებისგან სწავლობენ, ხოლო უფროსებს პატარებზე მზრუნველობისა და მათი დახმარების სურვილი უჩნდებათ. მეორე მხრივ, არაჯანსაღ გარემოში შესაძლოა უფროსმა ბავშვებმა უმცროსები დაჩაგრონ, უმცროსებს დაბალი თვითშეფასება ჩამოუყალიბდეთ (რადგან უფროსებს მეტად აქვთ განვითარებული სწავლისთვის საჭირო უნარები) და ა.შ. ჯანსაღი გარემოს შექმნაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს მასწავლებელი, რომელსაც ასეთ ჯგუფებში სწავლების პროცესის ეფექტურად დაგეგმვისა და განხორციელებისთვის ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებებისა და კანონზომიერებების ცოდნა სჭირდება.

5 წლის ბავშვის განვითარების თავისებურებანი

5 წლის ასაკში ბავშვის პიროვნება ჩამოყალიბებას იწყებს. 5 წლიდან ბავშვს შეგნებულად მოქცევა შეუძლია, ისევე, როგორც ერთი სურვილის შეკავება მეორის სასარგებლოდ. ამ დროს მას განზრახვის საფუძველზე ფსიქიკური პროცესების მართვის უნარი უყალიბდება. 5 წლის ბავშვი გონებაში განიხილავს მოვლენებს, საგნების თვისებებს, მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და ა.შ.

სწავლების პროცესში დაწყებითი განათლების პედაგოგებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ბავშვი ჯერ უფრო მარტივ, შემდეგ კი შედარებით რთულ მოქმედებებს ითვისებს. აწმყოში ბავშვის შეთვისების უნარი მისი გამოცდილებით, წარსულში შესწავლილი მასალითა თუ შეძენილი უნარით განისაზღვრება. იმისათვის, რომ ბავშვმა ახალი მოქმედება ისწავლოს, ის მის შესაძლებლობებსა და ინტერესებს უნდა შეესაბამებოდეს. სწორედ ამიტომ, 5 წლის

ბავშვები უფრო იოლად და უკეთ ითვისებენ ახალ მოქმედებას მაშინ, როდესაც ის თამაშის ფორმით არის მოცემული. ამ ასაკში თამაში ბავშვის წამყვანი ქცევის ფორმას წარმოადგენს. თამაშის საშუალებით მას უვითარდება სწავლის უნარი, აზროვნება, მეტყველება, სოციალური უნარები, სხვა ბავშვებისა და ადამიანებისადმი პატივისცემისა და სიყვარულის უნარი, შემოქმედებითობა და წარმოსახვა, ნდობა გარე სამყაროს მიმართ.

5 წლის ბავშვს შედარებით სუსტად აქვს განვითარებული ნატიფი მოტორული უნარები (წერა, დანა-ჩანგლის ხმარება). ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ნატიფი მოტორიკის განმავითარებელ სავარჯიშოებს (მაგ., ნახატების გაფერადება, სხვადასხვა ფორმის გამოჭრა და ა.შ.).

5 წლის ბავშვის აღქმა საკმარისად დანაწევრებული არ არის, ამიტომაც ერევა მას ერთმანეთში მსგავსი მოხაზულობის ასოები და ციფრები. სწავლების პროცესში მასწავლებელმა ბავშვს შესასწავლი ობიექტის გარკვეული თანმიმდევრობით დათვალიერების ჩვევა უნდა განუვითაროს, სხვადასხვა დეტალი უნდა აპოვნინოს, ნაწილებიდან მთელი უნდა ააწყობინოს და ა.შ.

ამ ასაკში ბავშვის ყურადღება უნებლიეა. ის ყურადღებას აქცევს იმ ობიექტსა და მოვლენას, რამაც მასზე შთაბეჭდილება მოახდინა. ბავშვს შეუძლია ყურადღების წარმართვა ერთი და იმავე მიმართულებით, ერთსა და იმავე ობიექტზე კონცენტრირება 15-20 წუთის განმავლობაში. მასწავლებელს კი შეუძლია დაეხმაროს ბავშვებს ყურადღების ორგანიზებაში (რაიმე საქმიანობაში ჩართვით, გარეგანი დამხმარე საშუალებებით, არავერბალური მინიშნებებით, წახალისებით).

5 წლის ბავშვები უკეთ იმახსოვრებენ კონკრეტულ მოვლენებსა თუ პიროვნებებს, ვიდრე განმარტებებს, აღწერებს. ამიტომ სწავლების პროცესში დიდი რაოდენობით თვალსაჩინოების გამოყენება ხელს შეუწყობს სასწავლო მასალის უკეთ დამახსოვრებას. 5 წლიდან ვითარდება მეხსიერებაც, თუმცა მიზანმიმართულად დამახსოვრება ეპიზოდურ ხასიათს ატარებს და ძირითადად თამაშსა და სხვა აქტივობებში ვლინდება. ამ ასაკში რთული მასალის დამახსოვრება უფრო იოლია თამაშით, ვიდრე ხანგრძლივი მეცადინეობით. ამ დროისთვის ბავშვი სწავლის ხერხებსა და საშუალებებს ჯერ კიდევ არ ფლობს. მან მასწავლებლის დახმარებით უნდა ისწავლოს გამეორების დროში განაწილება, სხვადასხვანაირი გამეორება (ხმამაღლა, ჩურჩულით, მხოლოდ ტუჩების მოძრაობით, გონებაში გამეორება), ობიექტების დაჯგუფება და აზრობრივი მიმართებების დამყარება.

5 წლის ბავშვის აზროვნებას ახასიათებს:

- ის უკეთ და უფრო იოლად ასრულებს მოქმედებას, როცა მის წინაშეა თვალსაჩინო მასალა, ვიდრე მაშინ, როცა მხოლოდ წარმოსახვით ასრულებს რაიმე მოქმედებას.

> ბავშვი თავის თავს ისე აფასებს, როგორც მას აფასებენ სხვები: ოჯახის წევრები, თანატოლები, მასწავლებლები. ხშირად ბავშვის თვითშეფასება სხვების შეფასების ანარეკლია, ამიტომ დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს მასწავლებელმა.

- ბავშვი, აზროვნებისას, საკუთარ გამოცდილებაში არსებულ კონკრეტულ ფაქტებს ეყრდნობა.
- ბავშვს არ შეუძლია წარმოიდგინოს, რომ რომელიმე ობიექტი შეიძლება თავის პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდეს, ან ის, რომ ობიექტებს შორის ორმხრივი კავშირი არსებობდეს.

> იმისათვის, რომ ბავშვებს სოციალურ-ემოციური განვითარებისთვის ჯანსაღი გარემო შეექმნათ, საჭიროა, მასწავლებელმა მათ შესაძლებლობების ადეკვატური დავალებები მისცეს, შეაქოს ისინი მაშინ, როცა ამას იმსახურებენ, ხელი შეუწყოს მათი მხრიდან ინიციატივის გამოჩენას.

- მას არ შეუძლია დადგეს სხვა ადამიანის პოზიციაზე. 5 წლის ბავშვი უშვებს სხვა პოზიციის არსებობის შესაძლებლობას, მაგრამ თვლის, რომ მხოლოდ მისი თვალსაზრისია სწორი.
- 5 წლის ბავშვს არ შეუძლია ერთდროულად გაითვალისწინოს საგნის რამდენიმე ნიშანი (მაგ., საგნის ფერი და ფორმა).

თანამედროვე კვლევებმა აჩვენა, რომ 5 წლის ბავშვს უფრო რთული ფორმით აზროვნებაც შეუძლია, ვიდრე ეს მათი ასაკისთვისაა დამახასიათებელი. ამისათვის საჭიროა, რომ მას მკაფიო, ნათელი, კონკრეტული ამოცანა დაუსახონ და შესაბამისი მითითებები მისცენ.

5 წლის ბავშვი მარტივი წინადადებების გამოყენებიდან რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებების გამოყენებაზე გადადის. ამ ასაკისთვის დამახასიათებელია შინაგანი მეტყველების განვითარება, რომელიც აზროვნების პროცესს და ქცევის თვითრეგულაციას უზრუნველყოფს. შინაგანი მეტყველება ქცევის დაგეგმვის ფუნქციას ასრულებს.

ბავშვები კითხვასა და წერას უფროსებსა და თანატოლებთან ურთიერთობისას სწავლობენ. ამიტომ აუცილებელია, მასწავლებელმა მათ შეკითხვები დაუსვას წაკითხულის შინაარსის გარშემო.

5 წლის ბავშვს აქტიური წარმოსახვა აქვს. მას, უფროსის მოთხოვნის შესაბამისად, რაიმეს წარმოდგენა და შემოქმედებითად დამუშავება შეუძლია.

5 წლის ასაკში ვითარდება ე.წ. შემეცნებითი ემოციები: გაკვირვება, გაოცება, ცნობისმოყვარეობა. ახალ, უცნობ რეალობასთან შეხვედრისას გაჩენილი ეს ემოციები ხელს უწყობს შემეცნებითი ფსიქიკური პროცესებისა და შემოქმედებითობის განვითარებას, აყალიბებს ბავშვის დამოკიდებულებას რეალური სამყაროს მოვლენებისა და ობიექტების მიმართ.

5 წლის ბავშვისთვის მნიშვნელოვანია: თამაშის მოტივი, პოზიციური მოტივი (მას სურს, დაიკავოს ახალი (მოსწავლის) პოზიცია, დაიმსახუროს უფროსების შექება), შეფასებითი მოტივი (ბავშვის მიზანია, მიიღოს მაღალი შეფასება), რაც გასათვალისწინებელია სასწავლო პროცესის დროს.

ბავშვი თავის თავს ისე აფასებს, როგორც მას აფასებენ სხვები: ოჯახის წევრები, თანატოლები, მასწავლებლები. ხშირად ბავშვის თვითშეფასება სხვების შეფასების ანარეკლია, ამიტომ დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს მასწავლებელმა, რათა ბავშვები ისეთ კატეგორიებში არ მოხვდნენ, როგორიცაა: „ცუდი ბიჭი“, „თავხედი ბავშვი“ და ა.შ. დიდია ალბათობა იმისა, რომ მომავალში ამ ბავშვების ქცევა სწორედ ამ „იარლიყების“ შესაბამისი იქნება.

იმისათვის, რომ ბავშვებს სოციალურ-ემოციური განვითარებისთვის ჯანსაღი გარემო შეექმნათ, საჭიროა, მასწავლებელმა მათ შესაძლებლობების ადეკვატური დავალებები მისცეს, შეაქოს ისინი მაშინ, როცა ამას იმსახურებენ, ხელი შეუწყოს მათი მხრიდან ინიციატივის გამოჩენას. მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგმა თავი აარიდოს ბავშვის სხვა ბავშვებთან შედარებას და ამის ნაცვლად ის მხოლოდ საკუთარ თავს შეადაროს (რა შეეძლო ბავშვს გუშინ, რა შეუძლია დღეს და რას შეძლებს ხვალ).

5 წლის ბავშვის სწავლების ძირითადი თავისებურებები და პედაგოგიური რეკომენდაციები

- ვინაიდან ბავშვებს სასწავლო პროცესში ჩართვა უჭირთ, აუცილებელია, სასწავლო მასალა მათ ბევრჯერ ავუხნათ და ამავე დროს ინდივიდუალურად მივუდგეთ;

- მნიშვნელოვანია, რომ გაკვეთილის სტრუქტურა ერთფეროვანი არ იყოს. ის სხვადასხვა აქტივობისგან უნდა შედგებოდეს. სასწავლო მასალის თამაშის ფორმით მიწოდებისას ბავშვები დავალებას მეტი ხალისით ასრულებენ. სასწავლო წლის ბოლოსთვის პირველკლასელი უკვე კარგად ართმევს თავს სწავლას;
- 5 წლის ბავშვისთვის სტატიკური დაძაბულობა განსაკუთრებით დამღლელია. მას შეუძლია ხანგრძლივი დროით ჩაერთოს სხვადასხვა აქტივობაში (სირბილი, თამაში), მაგრამ გაუნძრევლად დგომა ან ჯდომა მისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ამიტომ აუცილებელია მოძრავი პაუზები გაკვეთილის მე-10 ან მე-15 წუთზე. გაკვეთილის მსვლელობისასაც ბავშვს არ უნდა ავუკრძალოთ მისთვის სასურველი, კომფორტული პოზის მიღება.
- 5 წლის ბავშვს ჯერ კიდევ უჭირს ის, რომ წესებს ბოლომდე დაემორჩილოს. მისი ქცევა და ფსიქიკური პროცესები დიდწილად უნებლიე ხასიათისაა. სასურველია, კლასში მოქცევის წესები თავდაპირველად 2 ან 3 იყოს – ისინი, რომელთა დაცვაც ყველაზე მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის. წესები მოკლე, გასაგები და პოზიტიურად ფორმულირებული უნდა იყოს (მაგ., „გავუფრთხილდეთ წიგნებს“ „არ დახიოთ წიგნები“-ს ნაცვლად). მას შემდეგ, რაც ბავშვები შეეჩვევიან ამ წესებს, ეტაპობრივად შეიძლება სხვა წესების დამატებაც.
- მასწავლებლის საუბრის ტონი მშვიდი უნდა იყოს. დაუშვებელია ურთიერთობის ავტორიტარული სტილი. სასურველია, მასწავლებელმა ურთიერთობის არავერბალური ფორმებიც გამოიყენოს (მაგ., თავზე ხელის გადასმა, ხელის მოკიდება და ა.შ.), რაც აწყნარებს ბავშვს და მას თავდაჯერებულობას მატებს.
- ბავშვის განვითარების ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა დადებითად შეაფასოს არა მხოლოდ მისი წარმატებული აქტივობა, არამედ მცდელობაც. სწავლის დასაწყისში აუცილებელია, მასწავლებელმა ემოციური რეპლიკით აღნიშნოს ბავშვის აქტივობები, თუმცა ასეთი რეპლიკები თანდათან უნდა შეამციროს, რათა ბავშვმა ყურადღება საკუთარ შედეგზე გაამახვილოს და არა მასწავლებლის რეაქციაზე.
- მასწავლებელმა ბავშვებს უნდა აუხსნას, რომ შეცდომების დაშვება სწავლის თანმდევი მოვლენაა და ის ახალი ცოდნისა და გამოცდილების მიღების საშუალებას იძლევა.
- პირველ კლასში, განსაკუთრებით სწავლის დაწყებიდან რამდენიმე თვის განმავლობაში, სასურველია, ბავშვებს საშინაო დავალება არ მივცეთ. შესაძლოა მათ ისეთი რამ დავავალოთ, რისი შესრულებაც არ გაუჭირდებათ, მაგალითად, მოუთხრონ მშობლებს, რა ისწავლეს დღეს ახალი; ოჯახის წევრებთან ერთად დახატონ ან გამოძერწონ რამე და მოიტანონ სკოლაში და ა.შ. ეს სასწავლო დავალებას არ წარმოადგენს, მაგრამ ხელს უწყობს დავალების დამახსოვრებისა და შესრულების უნარის თანდათანობით განვითარებას.

მოსწავლის აკადემიური პროგრესის შეფასება

თეო ნეფარიძე

მოსწავლის აკადემიური პროგრესის შეფასება სწავლების პროცესის ნაწილია, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს თავად სასწავლო პროცესის წარმართვაში, მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობებში, სასწავლო პროცესისადმი მოსწავლის დამოკიდებულებაში, სკოლასა და მშობლებს შორის არსებულ ურთიერთობებში და ა.შ.

> „შეფასების პროცესის წარმატებულად წარმართვისთვის აუცილებელია, მოსწავლეები და მშობლები ინფორმირებულნი იყვნენ შეფასების კრიტერიუმების, პროცესის და მიზნების შესახებ.“

„პროგრესის შეფასება“ ფართო ცნებაა. ის გაცილებით მეტს მოიცავს, ვიდრე შეფასების ტრადიციული გაგება, რომელიც მოსწავლის ცოდნის განსჯასა და ნიშნის დაწერას გულისხმობს. შეფასების სისტემის ეფექტურობის უპირველესი მექანიზმი მოსწავლეების იმაში დარწმუნებაა, რომ ეს სისტემა მათი პროგრესის და წარმატების ხელშესაწყობად არსებობს და არა მათ განსასჯელად და გასაკრიტიკებლად. ასევე, აუცილებელია, სკოლას, მასწავლებელს, მშობელსა და მოსწავლეს ერთნაირად ჰქონდეთ გააზრებული, რომ შეფასება მოიცავს აკადემიური პროგრესის გაზომვას, შემოწმებას, გაანალიზებას, სასწავლო მიზნებთან და შეფასების კრიტერიუმებთან შედარებასა და შედეგის გაუმჯობესების დაგეგმვას. გარდა ამისა, მოსწავლის პროგრესის შეფასება მნიშვნელოვანი ინდიკატორია მასწავლებლისთვის სასწავლო კურსის, სასწავლო მასალებისა და გამოყენებული სასწავლო მეთოდების ეფექტურობის შეფასებისთვის, რაც, შესაბამისად, სასწავლო სტრატეგიის მოდიფიცირების შესაძლებლობას იძლევა.

მასწავლებლისთვის შეფასების ტექნიკა ინფორმაციის მოძიებისა და გაანალიზების უნარ-ჩვევასთან იგივდება. ინფორმაციის ეფექტურად მოძიებისა და გაანალიზების არსი ისაა, რომ მიზნების შესაბამისი მონაცემები მივიღოთ, ინფორმაცია სხვადასხვა გზით/მეთოდით მოვიპოვოთ, მიღებული ინფორმაციიდან კი წარმატების ინდიკატორები და პრობლემური არეები განვსაზღვროთ.

შეფასების პროცესის წარმატებულად წარმართვისთვის აუცილებელია, მოსწავლეები და მშობლები ინფორმირებულნი იყვნენ შეფასების კრიტერიუმების, პროცესის და მიზნების შესახებ. მათი ინფორმირებულობა შეფასების სისტემისადმი ნდობის ხარისხს გაზრდის. აღსანიშნავია, რომ ნდობის ხარისხის ზრდაზე სხვა ფაქტორებიც ზემოქმედებს: პროცესის ობიექტურობა, შეფასების შედეგების კონფიდენციალურობა და შეფასების ფორმების დივერსიფიკაცია. შეფასების სისტემის ობიექტურობა, გარკვეულწილად, ინფორმირებულობის საკითხსაც უკავშირდება: თუ მასწავლებელი დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის მოსწავლეებს შეფასების სისტემის შესახებ, თავადაც მეტ პასუხისმგებლობას იგრძნობს და შეფასებისას სამართლიანობის პრინციპს დაიცავს; მოსწავლეც უკეთესად შეძლებს განსაზღვროს, თუ რამდენად ობიექტურად შეაფასა მასწავლებელმა.

შეფასების მეთოდებისა და პრინციპების შესახებ არსებულ ლიტერატურაში თითქმის არსად გვხვდება კონფიდენციალურობის საკითხის განხილვა. კონფიდენციალურობა, პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნების გარდა, თითქმის ყველგან დაცულია და კითხვები მისი მნიშვნელობისა და საჭიროების შესახებ არც კი დაისმის. პოსტ-საბჭოთა ქვეყნების სკოლებში შეფასების შედეგები არათუ კონფიდენციალური, არამედ საჯაროდ ხელმისაწვდომია. საქართველოში, ერთიანი ეროვნული გამოცდების დანერგვის შემდეგ, კონფიდენციალურობის დაცვის პრეცენდენტი სახელმწიფო გამოცდების ფარგლებში წარმატებით დამკვიდრდა, თუმცა სკოლებში ამ მხრივ ბევრი ცვლილებაა განსახორციელებელი.

შეფასების სისტემის დივერსიფიკაციას თან სდევს შეფასების დიფერენცირებაც. დღეისთვის, საქართველოში, გავრცელებულია ტესტებითა და ზეპირი თუ წერილობითი გამოცდებით შეფასების ფორმები. ქვემოთ განვიხილავთ შეფასების ფორმების კატეგორიებს და თითოეული მათგანის გამოყენებით ღირებულებას.

შეფასების რამდენიმე ფორმატს განასხვავებენ: საწყისი/წინასწარი შეფასება, შუალედური/ ფორმატული შეფასება, შემაჯამებელი შეფასება და ალტერნატიული შეფასება.

საწყისი/წინასწარი შეფასება

საწყისი/წინასწარი შეფასება მოსწავლის საბაზისო ცოდნის, შესაძლებლობებისა და პოტენციალის განსაზღვრის მიზნით გამოიყენება. წინასწარი შეფასების ფარგლებში განისაზღვრება: იმავე ან მონათესავე საგნის ცოდნა, საბაზისო უნარ-ჩვევები, ტიპური სირთულეები სწავლის პროცესში, ინტერესის სფეროები, სწავლის სტილი, პირადი სტანდარტი/მიზნები.

წინასწარი შეფასებისთვის, უმთავრესად, ინდივიდუალური ინტერვიუს, პრეტესტების ან კითხვარების მეთოდი გამოიყენება, თუმცა საგნის სპეციფიკის მიხედვით, შესაძლოა, მასწავლებელმა დაკვირვების და ინდივიდუალური საპროექტო დავალებების მეთოდიც გამოიყენოს. რეალური სურათის მისაღებად რეკომენდებულია შეფასების რამდენიმე მეთოდის კომბინირებულად გამოყენება. მაგალითად, კლასში მსოფლიო ისტორიის საგნის შეტანისას კითხვარით შეიძლება გაიზომოს მოსწავლის საბაზისო ცოდნა აღნიშნულ საგანში, ინდივიდუალური ინტერვიუს საშუალებით შეიძლება შემოწმდეს მოსწავლის საგნით დაინტერესების ხარისხი, ხოლო ინდივიდუალური საპროექტო დავალებით (მაგალითად, რომის იმპერიის დაცემის ისტორიის შესახებ პრეზენტაციის მომზადება) შეიძლება განისაზღვროს მოსწავლის მუშაობის სტილი, შესაძლებლობები და საგნის ათვისების პოტენციალი.

შუალედური/ფორმატული შეფასება

ფორმატული შეფასების მიზანია სწავლის ხელშეწყობა, მოსწავლეების მიერ აკადემიური პროცესის შემოწმებისა და გაანალიზების შესაძლებლობების უზრუნველყოფა, რეკომენდაციების ჩამოყალიბება, მასწავლებლისთვის სასწავლო პროცესის ეფექტურობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, მოსწავლეების საჭიროებებისა და სირთულეების იდენტიფიცირება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა. ფორმატული შეფასების ფორმებია: დაკვირვება, კითხვა-პასუხი, პრეზენტაციების მომზადება, ზეპირი გამოკითხვა, თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება, ჩანაწერების წარმოება.

ფორმატული შეფასება სწავლების პროცესის ნაწილია და მისი ფორმები საქართველოში აქტიურად გამოიყენება. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ევროპისა და ამერიკის სკოლებში ფორმატული შეფასების შედეგები მოსწავლის საბოლოო ნიშანზე ყოველთვის არ აისახება. მაგალითად, დავუშვათ, რომ თითოეულ მოსწავლეს კვირაში ერთი პრეზენტაციის მომზადება ევალება, რაც სემესტრში დაახლოებით 11-12 პრეზენტაციას უტოლდება. ახალ თემაზე მომზადებულ პრეზენტაციაში ნიშანი არ იწერება და შესაბამისად, ამ დავალების შედეგები საბოლოო ნიშანში არ

აისახება. ასეთ მიდგომას დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. მისი დადებითი მხარე ისაა, რომ მოსწავლეები მეტ პრაქტიკას იღებენ, მათ ნაკლები დაძაბულობა ექმნებათ დავალების შესრულებისას, შედარებით უხარისხო ნამუშევრის შემთხვევაში კი, მასწავლებელს დეტალური აღწერილობითი შეფასებისა და რეკომენდაციების მიცემა შეუძლია. ამ მიდგომის უარყო-ფითი მხარე კი ისაა, რომ ნიშნის გამოუყენებ-ლობა ბევრ მოსწავლეში პასუხისმგებლობის დონეს ამცირებს და საბოლოოდ, მათი გარ-კვეული ნაწილის მიერ დავალების მოუმზადებლობას განაპირობებს. აღნიშნული სირთულის დაძლევის ერთ-ერთი საშუალება მოსწავლის ჩართულობაა ფორმატული შეფა-სების იმ ფორმების განსაზღვრაში, რომლებიც ნიშნის დაწერას არ გულისხმობს. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ მოსწავლის ინტერესი დავალების მიმართ იმთავითვე მაღალი იყოს.

შემაჯამებელი შეფასება

თუ ფორმატული შეფასების სისტემა მიზნად სწავლის ხელშეწყობას ისახავს, შემაჯამებელი შეფასების მიზანი ნასწავლის შემოწმება და შეფასებაა. შემაჯამებელი შეფასების სისტემა განსაზღვრავს კვალიფიკაციას: ნიშნებს, დიპლომებს, სერტიფიკატებს. შემაჯამებელი შეფასების ქულებით მოსწავლეს ენიჭება მომდევნო კლასში ან სწავლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება.

ფორმატული შეფასების შემთხვევაში, ცალ-კეული უნარ-ჩვევა თუ პარამეტრი ფასდება, შემაჯამებელი შეფასების მიზანი კი შეძენილი ცოდნის და უნარ-ჩვევების კომპლექსური შეფასებაა. შემაჯამებელი შეფასების ყველაზე გავრცელებული ფორმებია სემესტრული და წლიური ტესტები და გამოცდები. შემაჯამე-ბელი შეფასების ფორმებს შორის ასევე გავრცელებულია პორტფოლიოს, ესეს ან ანგარიშის მომზადება.

ფორმატული და შემაჯამებელი შეფასების ტრადიციულ ფორმებს ხშირად იმის გამო აკრიტიკებენ, რომ ისინი ხელს არ უწყობს ისეთი პრაქტიკული და სოციალური უნარ-

> როგორც ვხედავთ, შეფასების ალტერნატიული ფორმები პრაქტიკული და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს და ამავე დროს მოსწავლეს დამოუკიდებელ შემსწავლელად აყალიბებს, რაც აკადემიური წინსვლისთვის მეტად მნიშვნელოვანია.

ჩვევების განვითარებას, როგორიცაა მსჯე-ლობის და არგუმენტაციის უნარ-ჩვევები, ასევე, ინტერპერსონალური, კვლევითი, კომ-პიუტერული ან სამეწარმეო უნარ-ჩვევები. აღნიშნული პრობლემების დასაძლევად გასული საუკუნის 90-იან წლებში ალტერნა-ტიული შეფასების ფორმების გამოყენება და დანერგვა დაიწყო.

ალტერნატიული შეფასების ფორმები

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ალტერნატი-ული შეფასების ფორმების დანერგვა მიზნად ისახავდა მოსწავლეებისთვის შესაძლებლო-ბების შექმნას რეალისტური და კონკრეტული დავალებების შესასრულებლად. ამ შემთხვე-ვაში, შეფასების საგანი არა მხოლოდ დავალების შესრულების შედეგად მიღებული პროდუქტი, არამედ შესრულების პროცესიცაა: რა მიდგომით და მეთოდებით გადაწყვეტს მოსწავლე პრობლემის გადაჭრას, როგორ დაამუშავების ინფორმაციას, რა რესურსებს გამოიყენებს, როგორ წარადგენს შედეგებს და ა.შ. ამდენად, შეფასების ალტერნატიული ფორმატი მოსწავლის აკადემიური განვითა-რების შესახებ დინამიკურ და კომპლექსურ სურათს გვიჩვენებს.

ალტერნატიული შეფასების ფორმებს შორის ყველაზე გავრცელებულია: ზეპირი პრეზენ-ტაციები (ინტერვიუები, სკეტჩები, ზეპირი ანგარიშები), წერილობითი რუბრიკები (ჩანაწერების წარმოება, წიგნის კრიტიკული მიმოხილვა), შეფასების უსიტყვო ფორმები (ფიზიკური დემონსტრირება, დასურათებული დავალებები, პრაქტიკული დავალებები, ცდები და ექსპერიმენტები), რომელთა ინტეგ-რირება შესაძლებელია სხვადასხვა საგნის სწავლებაში. მაგალითისთვის განვიხილავთ ალტერნატიული შეფასების რამდენიმე ფორმას.

ფიზიკური დემონსტრირება – აკადემიური ცნებების გამოხატვა უსიტყვოდ: მოსწავლე-ები იყენებენ ჟესტებს, ახდენენ პროცესის პრაქტიკულ დემონსტრირებას, გეგმავენ და ახორციელებენ სკეტჩებს და როლურ თამა-შებს. ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა საგანში და სხვადასხვა სასწავლო

მიზნის ფარგლებში. მაგალითად, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, შესაბამისი რესურსების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია სხვადასხვა ცდის ჩატარება, მათემატიკური ამოცანების როლური გათამაშება და ა.შ.

დასურათებული დავალებები – მოსწავლეები ქმნიან ნახაზებს, დიაგრამებს, გრაფიკებსა და ცხრილებს. მაგალითად, გეოგრაფიაში მსოფლიოს ფიზიკური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური რუკის შესწავლისას მოსწავლეებს შეიძლება დაევალოთ ატლასის გაფერადება, ქვეყნების დედაქალაქების შესწავლისას – ქალაქების ეტიკეტების გაკეთება და რუკაზე მათთვის შესაბამისი ადგილის პოვნა.

შეფასების უსიტყვო ფორმები ეფექტურია, რადგან მოსწავლეები ბუნებრივად ინტერესდებიან არატრადიციული და არავერბალური დავალებით, ხოლო მისი შესრულების შემდეგ თავადვე უჩნდებათ შედეგების ვერბალიზების სურვილი.

სამგანზომილებიანი ცხრილი – თითოეული ახალი თემის შესწავლისას შესაძლებელია სამგანზომილებიან ცხრილის გამოყენება, სადაც პირველი და მეორე სვეტი ივსება თემის გაცნობამდე, ხოლო მესამე სვეტი – თემის დახურვის შემდეგ. მაგალითისთვის ვნახოთ, როგორ შეიძლება ამ ცხრილის გამოყენება საქართველოს ისტორიის საგანში:

ვიცოდი	მინდა ვიცოდე	ვისწავლე
• თამარ მეფე მნიშვნელოვანი ფიგურაა საქართველოს ისტორიაში. • თამარ მეფე დიდი ხნის წინ მოღვაწეობდა. • თამარ მეფე 50-ლარიან კუპიურაზეა გამოსახული. • თამარ მეფეს მიეძღვნა „ვეფხისტყაოსანი“	• რატომ არის თამარ მეფე პოპულარული? • რატომ იყო თამარ მეფე კარგი მეფე/დედოფალი? • რატომ არის გამოსახული ის 50-ლარიან კუპიურაზე? • ჰყავდა თუ არა თამარ მეფეს ოჯახი? • როგორ გარდაიცვალა თამარ მეფე?	• თამარ მეფე მე-12 და მე-13 საუკუნეების მიჯნაზე მეფობდა. • ის საქართველოს ისტორიაში პირველი ქალი იყო, რომელიც გამეფდა. • თამარ მეფის თანამედროვე საქართველო „ოქროს ხანის“ სახელითაა ცნობილი. • თამარ მეფემ ორჯერ იქორწინა. • თამარ მეფის პერიოდში რამდენიმე მნიშვნელოვანი ბრძოლა გაიმართა, მათ შორის შამქორის და ბასიანის ბრძოლები.

ასეთი ცხრილის გამოყენება მოსწავლეების ინტერესისა და კონცენტრაციის შენარჩუნებას განაპირობებს. გარდა ამისა, მასწავლებელი კარგად ხედავს, თუ რამდენად უპასუხა სასწავლო პროგრამამ მოსწავლის შეკითხვებს და რა დამატებითი მასალებით უზრუნველყოფა სჭირდება მოზარდს იმისათვის, რომ ამ შეკითხვებს ამომწურავი პასუხი გასცეს.

თემატური ცხრილი – ეს მარტივი და ეფექტური საშუალებაა. თითოეული მოსწავლე ავსებს ორ სვეტად დაყოფილ ცხრილს (რა გავიგე, რა ვერ გავიგე). ასეთი ცხრილით მასწავლებელს ზუსტი წარმოდგენა ექმნება თითოეული მოსწავლის და მთლიანად კლასის საჭიროებებზე, სასწავლო მასალებსა და სწავლების სტრატეგიებში არსებულ ნაკლოვანებებზე, მოსწავლე კი მეტად დამოუკიდებელი ხდება სწავლის პროცესში, მას ანალიტიკური უნარ-ჩვევები უვითარდება. ამ შემთხვევაში, მოზარდი სწავლობს, რა გზებით შეიძლება არსებული ნაკლოვანებების დაძლევა.

როგორც ვხედავთ, შეფასების ალტერნატიული ფორმები პრაქტიკული და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს და ამავე დროს მოსწავლეს დამოუკიდებელ შემსწავლელად აყალიბებს, რაც აკადემიური წინსვლისთვის მეტად მნიშვნელოვანია. ამდენად, ფორმატული და შემაჯამებელი შეფასების ფორმებთან ერთად რეკომენდებულია სასწავლო პროცესში ალტერნატიული შეფასების ფორმების გამოყენებაც.

ძალა ერთობაშია, ანუ მასწავლებლის ელექტრონული პორტფოლიო

ქეთო ნინიძე

თანამედროვე მსოფლიოში ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიები და შესაბამისი ხელსაწყოების წარმოება იმდენად განვითარებულია, რომ, ერთი შეხედვით, თვალს მოგვჭრის მათი ხარისხი და მრავალფეროვნება. ხელსაწყოები და კონტენტები იცვლება მიზნობრივი ჯგუფების შესაბამისად: ფუფუნების საშუალებად მიჩნეული მობილური სწავლების ინსტრუმენტებიდან საშუალო კლასის მოქალაქეებისათვის გათვლილი წინასასკოლო ონლაინ თუ ოფლაინ პროგრამებამდე. ხოლო თუ საქართველოში გადავავლებთ თვალს საგანმანათლებლო პროცესს, აღმოვაჩენთ, რომ ელექტრონული სწავლების განვითარების საქმეში ბევრი პრობლემა იჩენს თავს და განათლების რეფორმის შემდგომი პროგრამები ჯერ მხოლოდ საწყის ნაბიჯებად თუ შეიძლება მივიჩნიოთ ამ სირთულეების დაძლევის გზაზე.

2010 წელს კონფერენციაზე "Online Educa. Berlin" პრობლემად მოიაზრებდნენ მასწავლებელთა შორის კომპიუტერული უნარების დაბალ დონეს, რაც თვით ისეთ ქვეყანაშიც კი, როგორიც გერმანიაა, გადაუჭრელი საკითხია. მასწავლებლები ევროპის ქვეყნებშიც მეტ-ნაკლებად სკეპტიკურად არიან განწყობილნი სწავლების აქტუალური ხედვების მიმართ, რადგან კვლავ განათლების ტრადიციულ მიდგომებს ემხრობიან. ამიტომ სამთავრობო ფონდები და კვლევითი ცენტრები მიზანმიმართულად ზრუნავენ მასწავლებელთა შორის ამ პერსპექტივების შესახებ ცოდნის გაუმჯობესებასა და შესაბამისი კომპეტენციების განვითარებაზე.

როგორც ვიცით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სპეციალური საწვრთნელი პროგრამების საშუალებით უზრუნველყოფს ელექტრონული სწავლების სფეროში პედაგოგთა ინფორმირებასა და კომპიუტერული უნარ-ჩვევების განვითარებას, რის შედეგადაც მასწავლებლები ხედავენ ელექტრონული განათლების პერსპექტივებს და იმ მოთხოვნებს, რასაც თანამედროვე ინტერაქტიული სწავლება აყენებს სისტემაში ჩართული სპეციალისტების წინაშე. ისინი ქმნიან ელექტრონულ პორტფოლიოებს, სადაც ატვირთავენ დამხმარე სასწავლო მასალებს, საგაკვეთილო გეგმებსა და სასწავლო პროექტებს.

იმდენად, რამდენადაც თვალყურს ვადევნებდი მასწავლებელთა ვებ-პროდუქციის შექმნისა და განვითარების პროცესს, შემიძლია, აღვნიშნო, რომ ჯერჯერობით საქართველოში ელექტრონული პორტფოლიო მასწავლებელთა უმრავლესობისთვის ისეთივე „საჩვენებელი“ პროექტია, როგორც ძველ საგანმანათლებლო სისტემაში – ჟურნალი, ან „ღია გაკვეთილი“. იგი ნაკლებად წარმოაჩენს უშუალოდ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ დინამიკას, არ გვთავაზობს შეფასების მრავალფეროვან მიდგომებს, რომლებსაც მასწავლებელი იყენებს მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სწავლების პროცესში, გარდა ამისა, პორტფოლიო, როგორც წესი, საკმაოდ მწირ დამხმარე მასალებს შეიცავს. ცხადია, დასაწყისისთვის ხარისხი სავსებით დამაკმაყოფილებელია, თუმცა სასურველია, რომ სამომავლოდ იგი გახდეს მასწავლებლის პროფესიული მოღვაწეობის განუყრელი სივრცე, მის გამოცდილებებსა და მიდგომებზე მორგებული ინსტრუმენტი.

რა არის მასწავლებლის ელექტრონული პორტფოლიო?

ეს არის ელექტრონული სივრცე, სადაც მასწავლებელი აგროვებს პროექტებსა თუ ცალკეულ მასალებს. აქ თითოეული ინსტრუმენტი მობილიზებულია იმისთვის, რომ საჭიროებისამებრ ჩაერთოს სასწავლო პროცესში. მეორე მხრივ, მასწავლებელი ელექტრონულ პორტფოლიოში აგროვებს და განაახლებს ინფორმაციას საკუთარი პროფესიული ბიოგრაფიიდან. თუმცა ელექტრონული პორტფოლიო არ არის მიმართული მხოლოდ ინფორმაციის დაგროვებაზე და მისი ყველაზე დიდი ხიბლიც ესაა: ის რეფლექსური პორტფოლიოა, ანუ გარდა დაგროვებისა, მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია სხვათათვის გაზიარება და უკუკავშირის მიღებაა. ამ ინტერაქტიულობის წყალობით გადაიჭრება მრავალი პრობლემა, რომლებზეც ქვემოთ შევჩერდებით.

მეტაფორულად, ელექტრონული პორტფოლიო არის მასწავლებლის სამუშაო მაგიდა, სადაც თავმოყრილია ყველა საჭირო ინსტრუმენტი და თითოეულს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი

მთავარი დიზაინერის – მასწავლებლის მიერ. თუმცა თუ ონლაინ პორტფოლიოზე ვსაუბრობთ, წარმოვიდგინოთ, რომ ეს არის სამუშაო მაგიდა საჯარო სივრცეში, სადაც პედაგოგები ერთმანეთის რესურსებით სარგებლობენ, შემდეგ კი შთაბეჭდილებების წიგნში გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებებსა თუ ემოციებს.

რა საჭიროა მასწავლებლის ელ-პორტფოლიო?

ნებისმიერი საგნის მასწავლებლისათვის გადაუჭრელი პრობლემაა დამხმარე სასწავლო მასალების მოძიება, რამდენადაც ეს დამატებით დროსა და ძალისხმევას მოითხოვს. სახელმძღვანელოები, თავისი სპეციფიკით, რაც უნდა უნაკლოდ გამოიყურებოდეს, ტექნიკურად ვერ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესს სხვადასხვა სახის რესურსებით (მაგ. აუდიო- და ვიდეომასალა).

თანამედროვე განათლებაში სამი ძირითადი მიმართულება მოიაზრება: წმინდად ელექტრონული სწავლება (pure e-learning), შერეული (blanded learning) და პირისპირ სწავლება (face to face learning). პირველი მათგანი გულისხმობს სწავლების სრულად ელექტრონული (onlain/oflain) ინსტრუმენტებით წარმართვას, მეორე მოიცავს სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამების ინტეგრირებას პირისპირ შეხვედრებთან, ხოლო მესამე არ ითვალისწინებს ელექტრონული რესურსების მოხმარებას. სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფს ჩამოთვლილთაგან შესაბამისი მიმართულება მოერგება.

დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი გამოცდილების მქონე ელექტრონული გამომცემლობების მიერ ტირაჟირებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სახელმძღვანელოების დიდი ნაწილი აღჭურვილია ოფლაინ პროდუქტით (CD, DVD), სადაც ინტეგრირებულია მულტიმედიური მასალა და უკუგების მქონე ინტერაქტიური ტესტები. სამწუხაროდ, საქართველოში ასეთი სახელმძღვანელო გამომცემლობისთვის კომერციულად მომგებიანი ვერ იქნებოდა. თუმცა ბეჭდურ წიგნებშიც შეიძლებოდა სასარგებლო ონლაინ-წყაროების მითითება, რაც, ჩვენში ასევე არ არის დამკვიდრებული. ამდენად, სახელმძღვანელო ვერ სთავაზობს სასწავლო პროცესის ბენეფიციარებს იმ საშუალებებს, რაც ბევრად უფრო მიმზიდველსა და საინტერესოს გახდიდა საგაკვეთილო პროცესს. ამიტომ იგი ვერ აკმაყოფილებს მათ ინტერესს და ფეხს ვერ უწყობს იმ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, რომელთა დიდი ნაწილი საკმაოდ კარგად იცნობს ციფრულ ტექნოლოგიებს, მოიპოვებს უხვ ინფორმაციას ინტერნეტის საშუალებით და თავადაც ქმნის სხვადასხვა სახის კონტენტს (მაგ., ბლოგი, კომპიუტერული პროგრამა, კლიპი, პრეზენტაცია და სხვ.).

როგორ გადაჭრის ელექტრონული პორტფოლიო ამ პრობლემას?

ჯერ კიდევ ვებ 2.0 ინტერაქტიული კონტენტების შექმნისას, როგორც ჩანს, მწვავედ იდგა სხვადასხვა დარგში გამოცდილებათა გაზიარების, ასევე სოციალური ინტერაქციების პრობლემა. დღეს კი, როდესაც მოვიხმართ ისეთ ვებ-რესურსებს, როგორიც არის wikipedia, youtube, სოციალურ ქსელებს, ფორუმებსა და ბლოგებს, სადაც ინფორმაცია ივსება რიგითი მოქალაქეების – ინტერნეტ-მომხმარებლების მიერ, მნიშვნელოვნად გადაილახა ინფორმაციის ნაკლებობისა და სხვადასხვა სახის ინტერაქციების პრობლემა.

ინტერაქტიული კონტენტის ხიბლი ის გახლავთ, რომ თითოეულ მომხმარებელს, განურჩევლად კულტურული, რასობრივი, ასაკობრივი, გენდერული, სოციალური კუთვნილებისა, შესაძლებლობა აქვს, საკუთარი გამოცდილება გაუზიაროს სხვა თავისუფალ მომხმარებლებს. ეს პროცესი, ცხადია, საქმეს გვიადვილებს და გვიქმნის იმის გარანტიას, რომ თუ ერთ შემთხვევაში ჩვენ ვუზიარებთ სხვას ჩვენს გამოცდილებას, სხვა შემთხვევაში სხვა გაგვიზიარებს. მეორე მხრივ, თითოეულ პროდუქტს აქვს ისეთი ნიშან-მახასიათებლები, რომელთა მიხედვით მას მიენიჭება კარგის ან ცუდის კვალიფიკაცია. შესაბამისად, დგება საკითხი: რის მიხედვით შეიძლება შეფასდეს ელექტრონული პორტფოლიოს ხარისხი?

სრულყოფილი ელ-პორტფოლიო

უპირველეს ყოვლისა, თუ თქვენი ელექტრონული პორტფოლიო ისეთ პლატფორმაზეა განთავსებული, სადაც შედეგები მარტივად გაზომვადია (ვგულისხმობთ დღეში უნიკალური ვიზიტორებისა და დაწკაპუნების რაოდენობას), შეგიძლიათ მარტივად გაზომოთ თქვენს პროდუქტზე მოთხოვნილება და მისი სარგებლიანობა. მნიშვნელოვანია ასევე კომენტარების სიუხვე – რამდენი აქტიური მომხმარებელია დაინტერესებული თქვენი პროდუქტით.

> რაც შეეხება აკადემიურ მხარეს, კარგი ელექტრონული პორტფოლიო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- მასში უნდა აისახებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტები. თითოეული საგაკვეთილო გეგმა თუ სასწავლო პროექტი უნდა ემყარებოდეს ამ ფუნდამენტს;
- დამხმარე სასწავლო მასალები უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივ მზაობას და მათი დაძლევა შესაძლებელი უნდა იყოს განსაზღვრული ასაკობრივი ჯგუფის მიერ;

არ უნდა ვიფიქროთ, რომ საგაკვეთილო გეგმებში მასალების სიჭარბე ელექტრონული პორტფოლიოს უპირობო დადებითი მახასიათებელია. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტ როლს თამაშობს რესურსების ადეკვატურობა. მასალის სიუხვე

გამართლებულია მაშინ, თუ ის სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფზეა გათვლილი, ან შემოთავაზებულია, როგორც ალტერნატიული ვარიანტები.

- ინტერაქტიული მასალა უნდა იყოს მიზნობრივი და ამართლებდეს კონკრეტულ სასწავლო ამოცანას;

მაგ., ფოტო, რომელზეც გამოსახულია ანთებული სანთელი მაშინ, როდესაც გაკვეთილის სასწავლო მასალაა აკაკი წერეთლის „ხატის წინ"; ან რთველის ამსახველი ნახატი, როდესაც მოსწავლეები უნდა გაეცნონ ტექსტს „შენ ხარ ვენახი". ამ ტიპის რესურსის არსებობა მხოლოდ მაშინაა გამართლებული, თუ თავისთავად, მასალა ღირებული, ახალი ინფორმაციის შემცველია (მაგ., ცნობილი მხატვრის, ან კომპოზიტორის ნაწარმოებები, რომელთა მხოლოდ აღქმა კი არ არის საჭირო, არამედ მათ შესახებ ცოდნის მიღებაც). ყველაზე სასურველი იქნება, თუ მასალები კონცეპტუალურადაც შეესაბამება შესასწავლ ტექსტს. თუ გალაკტიონის „ლურჯა ცხენების" სწავლებისას კანდინსკის „ლურჯ მხედარს" შევთავაზებთ, მოსწავლეები, ერთი მხრივ, მიიღებენ ცოდნას ვასილ კანდინსკისა და მისი ნაწარმოების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, გაიაზრებენ ორივე ნაწარმოებს, რომელთაც აერთიანებს როგორც თემატური, ასევე დისკურსიული სპეციფიკა.

- შეფასების რუბრიკაში შეფასების ინდიკატორები უნდა იცვლებოდეს მიზნობრივი ჯგუფების და სასწავლო ამოცანების შესაბამისად;
- აკადემიურად გამართულ ელექტრონულ პორტფოლიოში თითოეულ საგაკვეთილო გეგმასა თუ სასწავლო პროექტს დართული უნდა ჰქონდეს სარეკომენდაციო წყაროების ბიბლიოგრაფია.

რაც შეეხება ტექნიკურ მხარეს, პორტფოლიოში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ტექსტური, ვიზუალური, აუდიო, ვიდეო მასალა, მულტიმედია, სადაც ინტეგრირებულია ზემოხსენებული ფორმატები და წარმოდგენილია ანიმაციის, კლიპის და სხვა კონტენტის სახით; პორტფოლიოში შეიძლება მასწავლებელს ატვირთული ჰქონდეს პრეზენტაცია, ბლოგი და სხვა სახის დამხმარე რესურსი, სპეციალური ბმულების სახით.

ელექტრონული პორტფოლიოს ტექნიკურ წუნად შეიძლება ჩაითვალოს:

- თუ ინსტრუქციული დიზაინი არ არის გასაგები და მიზანმიმართული.
- თუ ვებ-სივრცე გადატვირთულია მოცულობითი ფაილებით და უსარგებლო ბმულებით.

რაც მთავარია, კარგი ელექტრონული პორტფოლიოს უპირველესი ნიშანი დინამიკურობაა. ვებ-სივრცე მუდმივად უნდა განახლდებოდეს რესურსებით და მაღალი ინტენსივობით უნდა აისახოს მასზე დაინტერესებული, მოტივირებული კოლეგების სარგებლიანი უკუკავშირი.

როგორ შევქმნათ ელ-პორტფოლიო

ელექტრონული პორტფოლიოს შესაქმნელად საქართველოში ყველაზე აქტიურად მოიხმარენ Lemill-ის პლატფორმას (lemill.net), თუმცა შესაძლებლობების გასაფართოებლად (მაგ., ინტერაქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, პორტფოლიოს პოპულარიზაციისთვის და ა.შ.) შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ვებ-სივრცეების ინტეგრირება – სინდიკაციის წარმართვა ისეთ პოპულარულ პლატფორმებს შორის, როგორებიცაა blogger, wordpress, ასევე სოციალური ქსელები facebook, twitter, და სხვადასხვა ტიპის რესურსების წვდომისთვის განკუთვნილი უფასო ვებსივრცეები.

სასურველია, საგაკვეთილო გეგმების რუბრიკაში იმ გაკვეთილების პროექტები აიტვირთოს, რომლებიც გარკვეული სირთულის დაძლევაში დაგეხმარა და/ან მიგაჩნიათ, რომ ერთგვარ ნიშნულს ქმნის თქვენი სასწავლო მიზნებისა და ამოცანების დაძლევაში. ამავე რუბრიკას უნდა ერთვოდეს დამხმარე სასწავლო მასალები: ფოტო, ვიდეო, აუდიო, ანიმაცია, დიაგრამა, ტექსტი, პრეზენტაცია, რომლებსაც მოსწავლეებს წარუდგენთ ელექტრონული ან ბეჭდური ფორმით. განსაკუთრებით სასარგებლოა ის მასალა, რომელიც ინტერაქტიურ სწავლებას შეუწყობს ხელს. მასალა შეიძლება უშუალოდ მიემაგროს პორტფოლიოს, ან აიტვირთოს ბმულების სახით, იმისდა მიხედვით, რა შესაძლებლობებს იძლევა თქვენი სასწავლო მენეჯმენტ-სისტემის პლატფორმა. მნიშვნელოვანია, ასევე, რომ თქვენს გვერდს ერთვოდეს ქართულენოვანი ელექტრონული ბიბლიოთეკების ბმულები. ამავე პრინციპით იქმნება სასწავლო პროექტების რუბრიკა. მნიშვნელოვანია, მასწავლებლის ელექტრონულ პორტფოლიოში აისახებოდეს კლასგარეშე და საკლასო (საგაკვეთილო გეგმა – სასწავლო პროექტი) აქტივობებს შორის ინტერაქცია.

განსაკუთრებით აქტუალურია, რომ თქვენ შექმნათ რუბრიკა, სადაც წარმოაჩენთ ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებულ სირთულეებს და დასახავთ მათი გადაჭრის გზებს – მოიხმობთ სწავლების მეთოდებს, რომლებიც დაგეხმარებათ ტექსტის დისკურსიული თავისებურებების ახსნაში. მაგ., თუ გაკვეთილის თემაა „აბო თბილელი და ქართული ჰაგიოგრაფია", ამ რუბრიკაში ტექსტის თითოეულ თავისებურებაზე (ჰაგიოგრაფიული ეტიკეტი, ბიბლიური ალუზიები – ლიტერატურული სიმბოლო, ლიტერატურული ციტატა, ჰაგიოგრაფიული ტექსტის ლიტურგიკული დანიშნულება, ჰაგიოგრაფიული ტექსტის ავტორობის პრობლემა, გმირი, როგორც სახე-იდეა, მხატვრული ტექსტი თუ ისტორიული მოთხრობა, ტექსტის ენობრივი საკითხები და მისთ.) შექმნით ცალკეულ განყოფი-

ლებას და თავს მოუყრით იმ შეხედულებებს, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხების ირგვლივ არსებობს, ასევე ჩამოაყალიბებთ თქვენს მოსაზრებებს და ისაუბრებთ იმ სასწავლო მეთოდებზე, რომლებიც დაგეხმარებათ აღნიშნულ თავისებურებებთან დაკავშირებული სირთულეების წარმატებით დაძლევაში. რუბრიკა ხელს შეუწყობს მასწავლებელთა გამოცდილებების ურთიერთგაზიარებას და ზედმეტი რესურსების დახარჯვის გარეშე, მაქსიმალურად ეფექტურად წარმართავს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას.

ელ-პორტფოლიოების სტრუქტურულ ბადეში შეგვიძლია ცალკე გამოვყოთ მასწავლებელთა საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული რუბრიკა „საკლასო ოთახი“, სადაც პედაგოგს შეუძლია აღნუსხოს როგორც მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, შესაბამისი განმავითარებელი შეფასებებით, ასევე აღწეროს კლასგარეშე აქტივობები, კლასის მიღწევები და გამოწვევები, საშინაო დავალებები. თუ რუბრიკა მოიცავს ინფორმაციას, რომლის გაზიარება არ გსურთ, შესაძლოა, დახურული კონტენტი გამოიყენოთ, ხოლო თუ თქვენი ვირტუალური საკლასო ოთახი საგამოფენო სივრცის პრინციპით არის მოწყობილი და განთავსებული გაქვთ მოსწავლეთა საუკეთესო ნამუშევრები, საკლასო დისკუსიების ამსახველი ფოტო- და ვიდეომასალა, ცხადია, უპირატესობას საჯარო სივრცეს მიანიჭებთ.

დღესდღეობით მსოფლიოში ბლოგინგის სფეროს ერთ-ერთი მამოტივირებელი ფაქტორი ემოციური დამოკიდებულებაა. ამიტომ სასურველია, ბლოგზე აწარმოოთ დღიურები, ან თავი მოუყაროთ მოკლე მეთოდურ ან ემოციურ შენიშვნებს. ეს შესაძლებლობას მოგცემთ, ემოციურად დაუახლოვდეთ თქვენი პროდუქტის პოტენციურ მომხმარებელს.

როგორც ვხედავთ, მასწავლებლებს თავად შეუძლიათ შექმნან პროფესიული განვითარების სივრცე, სადაც შედეგიან აქტივობებს მათი მხრიდან მინიმალური რესურსები დაეთმობა. პროფესიული ზრდის ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი ფაქტორი კოლეგებს შორის შინაარსიანი უკუკავშირის არსებობაა. იმისათვის, რომ გაიზარდოს დამატებითი რესურსები მასწავლებელთა პროფესიული და ელექტრონული სწავლების განვითარებისთვის, უპირველეს ყოვლისა, თავად პედაგოგებმა უნდა გამოავლინონ მზაობა და გარკვეული ნაბიჯები გადადგან ამ მიმართულებით. გაითვალისწინეთ, რომ ეს მხოლოდ სახელმწიფო პრიორიტეტი კი არა, არამედ თითოეული თქვენგანის საჭიროებაა.

ONLINENEWS.GE
უახლესი ამბების პორტალი
www.onlinenews.ge

ჟურნალი „მასწავლებელი“ და მკითხველი

ირმა კახურაშვილი

ჟურნალი „მასწავლებელი“ მასწავლებლების პროფესიული ზრდის ხელშეწყობას, გამოცდილების გაზიარებასა და პროფესიის პოპულარიზაციას ემსახურება. ჟურნალი მხოლოდ თბილისელი პედაგოგებისათვის კი არ არის ხელმისაწვდომი, არამედ მას მოუთმენლად ელიან საქართველოს ყველაზე შორეულ რაიონებშიც. ის უფასოდ რიგდება საჯარო სკოლებში, ვრცელდება პრესის ჯიხურებში და პოპულარულია საგანმანათლებლო წრეებში, რასაც ხელმომწერთა ზრდაც ადასტურებს.

2009 წლიდან „მასწავლებელი“ თვალშისაცემად შეიცვალა როგორც ვიზუალური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით, თუმცა უცვლელი დარჩა მისი მთავარი მიზანი: საზოგადოების სამოქალაქო ცნობიერებაში მასწავლებლის, როგორც ერთ-ერთი საპასუხისმგებლო მისიის შემსრულებლის დამკვიდრება და განმტკიცება. ჟურნალი „მასწავლებელი“ მკითხველთა ინფორმირების, მნიშვნელოვანი თემების განხილვის გზით ცდილობს ამ მისიის განხორციელებაში საკუთარი წვლილის შეტანას.

როგორი უნდა იყოს თანამედროვე მასწავლებელი? როგორ უნდა მოემზადოს ის სერტიფიცირების პროცესისათვის? რას ნიშნავს თანამშრომლობა მასწავლებელთა მოსაზრებების გაცვლის გზით? როგორ უნდა გახდეს სკოლა უკეთესი და როგორ უნდა დაამკვიდროს მან სწავლების ახალი მეთოდები? – ამ და სხვა კითხვებზე ჟურნალ „მასწავლებელს“ სურს, მასწავლებლებთან ერთად გასცეს პასუხი.

ტრადიციულ რუბრიკაში „მრგვალი მაგიდა“ სხვადასხვა სკოლის წარმომადგენლები ჟურნალის რედაქციისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებთან ერთად იმსჯელებენ იმის შესახებ, თუ რის წაკითხვას ისურვებდნენ მომავალ ნომრებში, რა სახის დამატებითი ინფორმაცია გამოადგებოდათ პრაქტიკულ საქმიანობაში. თავის მხრივ, ჟურნალის რედაქტორები გაუზიარებენ მასწავლებლებს საკუთარ მოსაზრებებს მასწავლებელთა გამოხმაურებისა და აქტიურობის შესახებ.

მრგვალი მაგიდის მონაწილეები:

გია მამულაშვილი – *მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი*

თეა კვინტრაძე – *მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე*

თეონა კუპატაძე – *მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე*

ირაკლი კაკაბაძე – *ჟურნალ „მასწავლებლის“ რედაქტორი*

სალომე თოფურია – *მე-60 საჯარო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი*

მარინა მამარდაშვილი – *124-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

მანანა ბოჭორიშვილი – *იტალიური სკოლა „ცისკარის“ მასწავლებელი*

ირმა ხუციშვილი – *47-ე საჯარო სკოლის დირექტორი*

ზეინაბ ცაბაძე-ტალახაძე – *141-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი*

შეხვედრას უძღვებოდა
ნატო ინგოროყვა – ჟურნალ „მასწავლებლის“ მთავარი რედაქტორი.

ნატო ინგოროყვა: ჟურნალის მიზანია, გვქონდეს უკეთესი სკოლა და გვყავდეს უკეთესი მასწავლებელი. ამიტომ ვცდილობთ, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები ყურადღების მიღმა არ დაგვრჩეს. როცა ჟურნალის პოლიტიკას განვსაზღვრავდით, რამდენიმე ძირითადი, მასწავლებლებისათვის მნიშვნელოვანი რუბრიკა გამოვყავით, მათ შორის „მრგვალი მაგიდაც“. ჩვენ ვუზიარებთ მასწავლებლებს სხვა მასწავლებლებისა და ექსპერტების გამოცდილებას, ვასახელებთ პრობლემებს და განვიხილავთ მათ. ეს კი მაშინაა მნიშვნელოვანი, როცა განხილვებში ადრესატიც მონაწილეობს. ჟურნალი ყოველთვისაა გამოხმაურებების, შენიშვნებისა და ახალი შემოთავაზებების მოლოდინში. შეხვედრების დროს მასწავლებლები ამბობენ, რომ პრაქტიკულად გამოსაყენებელი მეტი მასალის მიღება სურთ, ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ასეთი მასალის შესახებ მათ თავად ყველაზე უკეთ იციან და კარგი იქნება, თუ ამ თემებზე კოლეგებს გაესაუბრებიან. დღეს „მრგვალი მაგიდის“ გარშემო შემოკრებილ მასწავლებლებს, სკოლის დირექტორებსა და ექსპერტებს, გვინდა, გკითხოთ: როგორ უნდა გახდეს ჟურნალი უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი?

მანანა ბოჭორიშვილი: ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის, ჟურნალის მასალები ორმაგად მნიშვნელოვანია. თავდაპირველად იმ ინფორმაციას ვეცნობი, რომელიც შეიძლება მომავალში გამომადგეს. შემდეგ კი დანარჩენ მასალასაც ვკითხულობ.

„ ჟურნალის მიზანია, გვქონდეს უკეთესი სკოლა და გვყავდეს უკეთესი მასწავლებელი. ამიტომ ვცდილობთ, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები ყურადღების მიღმა არ დაგვრჩეს. „

ირმა ხუციშვილი



გია მამულაშვილი

ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც გარკვეული დროის მერე „მასწავლებელში“ დაბეჭდილი ინფორმაცია გამომდგომია. მახსოვს შემთხვევაც, როდესაც ჩემი კოლეგები პროფესიული განვითარების სქემის გაცნობის შემდეგ დაინტერესდნენ: ჟურნალ „მასწავლებელში“ რომ რაიმე დავბეჭდოთ, ეს კრედიტ-ქულებს თუ მოგვიტანსო? მათთვის ეს გამოცემა ავტორიტეტულია, ახლო მომავალში კი ჟურნალი შეიძლება მასწავლებელთა პროფესიული ასპარეზის ადგილადაც იქცეს. ურიგო არ უნდა იყოს, თუკი მასწავლებელი არა მხოლოდ მკითხველი, არამედ ავტორიც გახდება.

ნატო ინგოროყვა: **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პოლიტიკა ასეთია: მასწავლებელს წინასწარ შესთავაზოს ის ინფორმაცია, რომელიც მას მომავალში გამოადგება. ჩვენი სურვილია, ჟურნალში იყოს ისეთი მასალა, რომელიც შეცვლის მასწავლებლის ცნობიერებას და არ იქნება მხოლოდ კონკრეტული საგაკვეთილო რესურსი. სასიამოვნოა, რომ ჩვენმა შრომამ შედეგი გამოიღო.**

სალომე თოფურია: ჩემი სკოლის მაგალითზე გულდაწყვეტით შემიძლია ვთქვა, რომ მასწავლებლების 70% იცნობს ამ ჟურნალს, მაგრამ მას საფუძვლიანად არ ეცნობა. მე ჟურნალის შესახებ მასწავლებლების ტრენინგებზე გავიგე და ჩავთვალე, რომ ის მჭირდებოდა. მენტორ/მაძიებლობის პროგრამების დროს აქტიურად ვეცნობოდი „მასწავლებლის“ ნომრებს. ვიპოვე და თემატიკის მიხედვით დავახარისხე სკოლაში არსებული ყველა ჟურნალი. დასაფიქრებელია, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მასწავლებლებმა ჟურნალის საჭიროება დაინახონ.

ახალბედა მასწავლებელი ვარ. ოთხი წელია, რაც სკოლაში ვმუშაობ. ჩემი გადასახედიდან კარგი იქნებოდა, პრაქტიკოსი, გამოცდილი მასწავლებლების სტატიები წამეკითხა. კონკრეტული ინფორმაცია, სიტუაციურ მაგალითებზე დაყრდნობით, სხვა მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს.

ნატო ინგოროყვა: **არ გაგჩენიათ სურვილი, თავადაც დაგეწერათ სტატია ან წერილობით გაგეზიარებინათ თქვენი გამოცდილება ჩვენი ჟურნალისთვის?**

სალომე თოფურია: ასეთი სურვილი გამჩენია. მსგავსი რუბრიკა რომ არსებობდეს, დავწერდი. სჯობს, ამ რუბრიკაში მზა რეცეპტების ნაცვლად სასარგებლო რჩევები დაიბეჭდოს.

ირაკლი კაკაბაძე: ჟურნალს სამი წელი შეუსრულდა და ვინც მის ძველ ნომრებს იცნობს, ეხსომება: გვქონდა ჩანართი სახელწოდებით „კლასი“, სადაც მასწავლებელი თავის პროექტს ან გაკვეთილს აღწერდა. გამოკითხვამ აჩვენა, რომ ეს გვერდები ყველაზე არაპოპულარული იყო. შემდეგ მასწავლებლებს გამოსაყენებელი რესურსებიც შევთავაზეთ, მაგრამ ამანაც ნაკლებად გაამართლა, რადგან ჩვენი მასწავლებლები მას პრაქტიკაში იშვიათად იყენებდნენ.

თეონა კუპატაძე: ჟურნალის მეშვეობით გამოცხადდა რამდენიმე კონკურსი მასწავლებლებისათვის. ისინი გვაწვდიდნენ სხვადასხვა თემაზე შექმნილ სასწავლო მასალას, მაგალითად, ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებაზე, რთულ ბავშვებზე. ჩვენც ვაწვდიდით სასარგებლო ინტერნეტ-რესურსებს ლინკების სახით...

ირაკლი კაკაბაძე: სამწუხაროა, რომ ჟურნალის კითხვის მოტივაცია ამის შემდეგაც დაბალი დარჩა. მიზეზები გამოსაკვლევია. ზოგჯერ მასწავლებლები ამბობენ, რომ მათ კითხვის დრო/საშუალება არ აქვთ, ან ჟურნალი დირექტორს ოთახში აქვს ჩაკეტილი.

ჩემი დაკვირვებით, მასწავლებლებს მოსწონთ, როცა ჟურნალში გლობალურ პრობლემებზეა საუბარი, მაგალითად, თუ სტატიები მშობლებთან ურთიერთობებს ეხება.

ნატო ინგოროყვა: **ყველაზე ხშირად მასწავლებლები მაშინ გვირეკავენ, როცა სურთ, სასკოლო ღონისძიებაზე დაგვპატიჟონ, თუმცა, ჟურნალის ფორმატიდან გამომდინარე, ასეთ ღონისძიებებს ვერ ვაშუქებთ.**

მარინა მამარდაშვილი: 21 წელია, ვმასწავლებლობ და სხვადასხვა საგანმანათლებლო

გამოცემასთან ვთანამშრომლობ. მომწონს, რომ „მასწავლებელი“ გამორჩეულად აკადემიური ჟურნალია.

ჩემს სკოლაში დირექტორის მოადგილეც ვარ და ვიცი, რატომ არ ეხმაურებიან აქტიურად მასწავლებლები ჟურნალს. ჩვენი თაობის მასწავლებლებს განათლება აქვთ, მაგრამ აშინებთ თანამედროვე ტერმინოლოგია, მაგალითად, სიტყვა „პროექტი“, რომელიც ჟურნალში ხშირად ხვდებათ.

ჟურნალის პოპულარიზაციისთვის ჯერ თავად ვეცნობი მას, შემდეგ კი მიზანმიმართულად, ყველას დასანახად ვათვალიერებ, ხმამაღლა ვაანონსებ საინტერესო თემებს. ყოველი ახალი ნომერი გაუმჯობესებულია. მის გარეშე ვერც ერთი მასწავლებელი თანამედროვე მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს და ვერ მოახერხებს საგანმანათლებლო სივრცეში ორიენტირებას. ჟურნალი ერთგვარი გზამკვლევია, რომელიც სჭირდება მასწავლებელს და ისიც ნელ-ნელა აცნობიერებს მის საჭიროებას. ჩემი აზრით, სასურველია, მეტი პრაქტიკული რჩევა და სიტუაციური ამოცანა იბეჭდებოდეს.

ნატო ინგოროყვა: მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის ხელშეწყობაც ის არის, რომ მას ღირსეული ჟურნალი უნდა ჰქონდეს, ის თავს ღირსეულ პროფესიაში უნდა გრძნობდეს. სასიხარულოა, რომ ჟურნალის ხელმომწერთა რიცხვმა იმატა:

მანანა ბოჭორიშვილი

მან 14 ათასს მიაღწია. დღეს მეტი მკითხველი გვყავს, ვიდრე ადრე. ჯერჯერობით სკოლებს მხოლოდ თითო ნომერს ვურიგებთ საჩუქრად, მაგრამ ქალბატონი ირმა დამეთანხმება, რომ, სურვილის შემთხვევაში, ის მკითხველამდე გზას მაინც პოულობს. ვფიქრობ, თვითონ მასწავლებელიც უნდა ელოდებოდეს, როდის მიუვა ერთადერთი პროფესიული ჟურნალი.

> მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის ხელშეწყობაც ის არის, რომ მას ღირსეული ჟურნალი უნდა ჰქონდეს, ის თავს ღირსეულ პროფესიაში უნდა გრძნობდეს.

ირმა ხუციშვილი: არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ ჩემს სკოლაში ჟურნალი ბევრ პედაგოგში იწვევს ინტერესს. პირადად შევესწარი სიტუაციას, როგორ განიხილავდნენ მასწავლებლები სტატიას რთული ბავშვების შესახებ. 23-წლიანი პედაგოგიური სტაჟი მაქვს და ეს ჟურნალი ჩემთვისაც სასარგებლოა როგორც პედაგოგიური კუთხით, ასევე როგორც დირექტორისათვის. ასევე, მაქვს ურთიერთობა პირველ და 50-ე სკოლებთან და ვიცი, რომ იქაურ მასწავლებელთა დიდი ნაწილი ყოველთვის ელოდება ჟურნალის ახალ ნომერს.

ნატო ინგოროყვა: როცა ჟურნალის სახეს ვქმნიდით, რეგიონებში ბევრს დავდიოდით. რეგიონის მასწავლებელი ყოველთვის უფრო კარგი მკითხველი იყო, ვიდრე თბილისელი. იქ არ მინახავს სკოლა, სადაც ჩვენი ჟურნალი წაკითხული არ ჰქონდათ. მასწავლებლებს სათაურებიც კი ახსოვდათ. თბილისელი პედაგოგი პასიურია არა მხოლოდ ჟურნალთან, არამედ, ზოგადად, დამხმარე ლიტერატურასთან მიმართებაშიც.

ზეინაბ ცაბაძე-ტალახაძე: წელიწადია, ჟურნალს ინტენსიურად ვკითხულობ. ჩემს სკოლაში ერთადერთი სერტიფიცირებული მასწავლებელი ვარ, ვეხმარები მაძიებლებს და ამ პროცესში ჟურნალსაც ვიყენებ: ვსაუბრობთ იქ და-

ბეჭდილ მასალებზე, განვიხილავთ სტატიებს. ამ საუბრებში სხვა მასწავლებლებიც მონაწილეობენ. ახალგაზრდები ამბობენ, რომ მათ აინტერესებთ პრაქტიკული მეთოდიკა.

ირაკლი კაკაბაძე: რადგან ასეთი მოთხოვნაა სიტუაციურ პრობლემებზე, კარგი იქნება, თუ ასეთი სიტუაციების შესახებ მასწავლებლები მოგვწერენ, პასუხებისთვის კი ექსპერტებს მოვძებნით. ყველა კითხვაზე პასუხს ისინი გასცემენ.

მარინა მამარდაშვილი: სკოლაში ჟურნალი უფრო პოპულარული რომ გახდეს, შუამავლის როლი დირექციამ უნდა იკისროს. მენტორი მასწავლებელი ვარ და მყავს მაძიებლები. ისინი მშობლები არიან და აქამდე სკოლას მშობლების თვალით აფასებდნენ. ახლა, მასწავლებლის როლში, მათ რადიკლურად შეიცვალეს დამოკიდებულება სკოლისა და პედაგოგების მიმართ. ვფიქრობ, მათაც არაერთი კითხვა გაუჩნდებათ პროფესიასთან დაკავშირებით, ჟურნალი კი პასუხის გაცემაში დაეხმარება.

გია მამულაშვილი: დისკუსიის დროს გამიჩნდა ასეთი მოსაზრება: იქნებ თვეში ერთხელ სხვადასხვა სკოლაში დავგეგმოთ შეხვედრა, რომელზეც ჟურნალის ირგვლივ ვისაუბრებთ? ნომრიდან ნომრამდე მთავარი რედაქტორი და რედაქტორი რამდენიმე სკოლას ესტუმრება და გაესაუბრება პედაგოგებს, სკოლა კი ამის შესახებ წინასწარ იქნება

> ბუნებრივია, მასწავლებელმა უნდა იკითხოს ჟურნალი „მასწავლებელი“ და გამოგვეხმაუროს, რათა ზუსტად ვიცოდეთ, როგორი პროფესიული ჟურნალი უნდა მას. არ გვაქვს იმის ილუზია, რომ ყველა პრობლემა ერთი შეხვედრით მოგვარდება, მაგრამ ჩვენთვის ნამდვილად მნიშვნელოვანია მასწავლებელთა აზრის მოსმენა და გაზიარება.

მარინა მამარდაშვილი

გაფრთხილებული, რათა მასწავლებლები შემზადებულები დაგვხვდნენ. დავიწყოთ თბილისიდან, სამომავლოდ კი რეგიონებსაც ვესტუმროთ. ასევე, თვეში ერთხელ, ჟურნალის პოპულარიზაციის მიზნით, რამდენიმე მასწავლებელი ჟურნალის რედაქციაში დავპატიჟოთ. გამოვა, რომ ჟურნალი თვეში ორჯერ შეხვდება მასწავლებლებს, გაიზიარებს მათ პრობლემებს და გაითვალსწინებს მათ აზრს. მასწავლებლებიც უფრო აქტიურები გახდებიან. ეს არა მხოლოდ ჟურნალისთვის იქნება კარგი, არამედ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვისაც.

ნატო ინგოროყვა: ბუნებრივია, მასწავლებელმა უნდა იკითხოს ჟურნალი „მასწავლებელი“ და გამოგვეხმაუროს, რათა ზუსტად ვიცოდეთ, როგორი პროფესიული ჟურნალი უნდა მას. არ გვაქვს იმის ილუზია, რომ ყველა პრობლემა ერთი შეხვედრით მოგვარდება, მაგრამ ჩვენთვის ნამდვილად მნიშვნელოვანია მასწავლებელთა აზრის მოსმენა და გაზიარება. შედეგს თავად ნახავთ. ჟურნალს მასწავლებლების თანადგომა სჭირდება. ამიტომ მათთან თანამშრომლობის იმედს ვიტოვებთ. მასწავლებელმა „მასწავლებელთან“ თანამშრომლობით და მოსაზრებების გაცვლის გზით უნდა განსაზღვროს სწორი სამუშაო მიმართულებები.

სკოლა და გლობალური კლიმატის ცვლილება

მანანა რატიანი

გლობალური კლიმატის ცვლილება თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა. მისი უგულებელყოფა მეტად მძიმე შედეგების მომტანი იქნება. კლიმატის ცვლილებას მეცნიერებმა მე-20 საუკუნის 70-იან წლებში მიაქციეს ყურადღება, როდესაც საშუალო წლიური ტემპერატურის აწევის ტენდენცია შენიშნეს. მრავალი მეცნიერი მის მთავარ გამომწვევ მიზეზად ინდუსტრიული საქმიანობის შედეგად ატმოსფეროში გამოფრქვეულ აირებს, ე.წ. სათბურის აირებს მიიჩნევს (სულ ექვსი სათბურის გაზია: ნახშირორჟანგი (მთლიანი გაზების 63% სწორედ მასზე მოდის), მეთანი (24%), აზოტის ქვეჟანგი (10%), ჰიდროფტორნახშირბადი, პერფტორნახშირბადი, ფტოროსულფატი). აღნიშნული სათბურის გაზები დედამიწიდან ატმოსფეროში არეკლილ ინფრაწითელ გამოსხივებას შთანთქავენ და სითბოს დედამიწაზე აბრუნებენ. ატმოსფეროში მათი მზარდი რაოდენობით გაფრქვევა ხელს უშლის დედამიწის ზედაპირის გაგრილებას, რაც თავის მხრივ ატმოსფეროს ქვედა ფენებში ტემპერატურის მატებას იწვევს. ეს პროცესები ამჟამად მიმდინარეობს და სხვადასხვაგვარად აისახება სამყაროზე.

ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ დათბობა ისეთი ბუნებრივი მიზეზებით არის გამოწვეული, როგორიცაა ვულკანების ამოფრქვევა თუ მზის აქტივობა. თუმცა აირების კონცენტრაციის მატებასა და ტემპერატურის ზრდას შორის მჭიდრო კავშირი სულ უფრო მეტად დასტურდება.

ნახ.1. საშუალო გლობალური ტემპერატურის ცვლილება



სათბური აირების კონცენტრაციის ზრდას განსაკუთრებით უწყობს ხელს წიაღისეული საწვავის (ქვანახშირი, ნავთობი, ბუნებრივი აირი) მზარდი მოხმარება. მეოცე საუკუნის ბოლოს, ინდუსტრიალიზაციის და სატრანსპორტო სისტემის სწრაფი განვითარების კვალდაკვალ, ჰაერის სათბური აირებით დაბინძურება გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ ინდუსტრიალიზაცია იწვევს ავტომობილების, თვითმფრინავების, თბოელექტროსადგურების, ქარხნებისა თუ გადამამუშავებელი ფაბრიკების რაოდენობის ზრდას. მათი მოქმედებისთვის კი სულ უფრო მეტი რესურსის მოპოვებაა საჭირო, რაც სათბური გაზების კონცენტრაციას კიდევ უფრო ზრდის. გარდა ამისა, ნაგავსაყრელებზე ნარჩენების დატკეპნისას გამოიდევნება ჰაერი, ანაერობული (უჟანგბადო) გარემო წარმოიქმნება და ლპობის შედეგად წარმოქმნილი მეთანი ჰაერში გაიფრქვევა. ამას ემატება მესაქონლეობის ნარჩენები, ბრინჯის პლანტაციები, რომლებიც ასევე მეთანის დაგროვებას უწყობს ხელს. ამდენად, სათბური აირების წარმოქმნის წყაროს მხოლოდ ნახშირორჟანგი არ წარმოადგენს. დღეს ატმოსფეროში მეთანის კონცენტრაცია კაცობრიობის განვითარების მანძილზე ნებისმიერ მონაკვეთში არსებულზე მაღალია.

ამ ყველაფერს ემატება მოსახლეობის ზრდა (მისმა რაოდენობამ 7 მილიარდს გადააჭარბა), რის გამოც რესურსებზე მოთხოვნილება იზრდება. საწვავის ჭარბად მოხმარება, ტყის ჭრა, საბოლოო ჯამში, დედამიწის ეკოლოგიურ წონასწორობაზე უარყოფითად აისახება. მართალია, გარკვეული მოცულობის ნახშირორჟანგს მცენარეები და ოკეანეები შთანთქავენ, მაგრამ ბალანსი მაინც დარღვეულია.

კლიმატის ცვლილების შედეგები

კლიმატის ცვლილების შედეგები მრავალგვარია.

ნახ.2. გლობალური კლიმატცვლილების ზემოქმედება ბუნებაზე



კლიმატის ცვლილებას ბუნებრივი, სოციალური და ეკონომიკური ასპექტები აქვს. უარყოფით შედეგებს შორის აღსანიშნავია: ეკო-სისტემების შეცვლა, მრავალი სახეობის გადაგვარება, გახანგრძლივებული გვალვიანობა, ძლიერი წვიმები, მთებისა და ზეწრული მყინვარების დნობა, შესაბამისად, ოკეანეების დონის აწევა და სანაპირო ზოლების თუ მცირე კუნძულების დატბორვა, დაავადებების გავრცელების არეალისა და ეპიდემიების გავრცელების რისკის ზრდა, ასევე გახშირებული ბუნებრივი კატასტროფები და ექსტრემალური ტემპერატურები, შტორმების, წყალდიდობების, ღვარცოფების, მეწყერების, ზვავების, ცუნამის, სხვადასხვა ქარიშხლის გაძლიერება და გახშირება. მსგავსი ტიპის პრობლემები კი სოფლის მეურნეობაში მოსავლიანობის შემცირებისა და შიმშილობის გამომწვევი შეიძლება გახდეს.

როდესაც საუბარია ექსტრემალური ტემპერატურების მატებაზე, შესაძლო შედეგებიც უნდა აღინიშნოს. მსოფლიოში მოხმარებული საკვების უმეტეს ნაწილს ის ქვეყნები აწარმოებენ, რომლებშიც ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია. აქვე ცხოვრობს მოსახლეობის უმეტესობაც. გაზრდილი ტემპერატურისა და შემცირებული ნალექების პირობებში, გააქტიურდება ნიადაგის ეროზიული პროცესები, გამოშრება და გამოიფიტება იგი, რაც მოსავლიანობის შემცირებას გამოიწვევს. ნალექების შემცირებას უდაბნოების მიმდებარე ტერიტორიებზე თუ ზოგადად, უნაყოფო რეგიონებში გაუდაბნოებული ფართობების მომატება მოსდევს. შემცირდება მცენარეული საფარი. გაუდაბნოების შედეგად დეგრადირდება ლანდშაფტი, მცირდება მოსავლიანობა, შეუძლებელი ხდება პირუტყვის მოშენება. საბოლოო ჯამში, ეს მოსახლეობის შიმშილობას იწვევს.

ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევამ მოსახლეობის ეკომიგრაცია შეიძლება გამოიწვიოს, რაც დამატებით ხარჯებს ნიშნავს ნებისმიერი სახელმწიფოსათვის.

ტემპერატურის მატება კიდევ უფრო გააააქტიურებს ძლიერ ქარებს. ქარი დედამიწის ზედაპირის არათანაბარი გათბობით წარმოიქმნება. რაც უფრო დიდი იქნება ტემპერატურული სხვაობა ადგილებს შორის, მით უფრო მეტი სიძლიერის იქნება შტორმული ხასიათის ქარები (ქარბუქი, გრიგალი, ქარბორბალა). ატმოსფეროსა და ოკეანეს შორის სითბური ენერგიის ინტენსიური გაცვლა ოკეანის ზედაპირზე შტორმების რაოდენობას გაზრდის. გახშირებული შტორმები, მყინვარების დნობის ფონზე, სანაპირო ზოლების დატბორვას გამოიწვევს, რაც უზარმაზარ ზარალს მოიტანს. მოსახლეობის დიდი ნაწილი ხომ ოდითგანვე სანაპირო ზოლებში სახლდებოდა.

ტემპერატურის მატებას თან სდევს აორთქლების გაძლიერებაც, შესაბამისად, ნალექების რაოდენობაც იმატებს. გარკვეულ ტერიტორიებზე ამან შესაძლოა დადებითი ცვლილებებიც კი გამოიწვიოს, მაგრამ ძირითადად გახშირდება წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების რაოდენობა და მათგან მიყენებული ზარალიც გაიზრდება.

კლიმატის ცვლილება, სითბოსა და ნალექების მატება დაავადებების (ლეიშმანიოზი, მალარია) გავრცელებას უწყობს ხელს. განსაკუთრებული რისკის ჯგუფს ბავშვები და მოხუცები წარმოადგენენ.

მსოფლიოს ქვეყნები ცდილობენ, გამოსავალი იპოვონ და კლიმატცვლილების შედეგები შეარბილონ. სწორედ ამიტომ 1997 წელს კიოტოში (იაპონია) კლიმატის ცვლილების

წინააღმდეგ ბრძოლის გზები განისაზღვრა და სათბური აირების შემცირების შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი. განსაკუთრებული პასუხისმგებლობა განვითარებულ ქვეყნებს დაეკისრათ, რადგან სწორედ ისინი არიან რესურსების ყველაზე დიდი მომხმარებლები. დღეისთვის კიოტოს პროტოკოლი 187 ქვეყნის მიერ არის რატიფიცირებული. ამ ქვეყნებმა იკისრეს ვალდებულება, შეამცირონ სათბური გაზების ატმოსფეროში გაფრქვევა და ის 1990 წელს არსებულ დონემდე დაიყვანონ. 1999 წელს საქართველო კიოტოს პროტოკოლს ხელმოწერით მიუერთდა.

საქართველო და კლიმატის ცვლილება

ერთი შეხედვით, მსოფლიო ემისიაში საქართველოს წილი მცირეა: მხოლოდ 0,01%-ს შეადგენს. მიუხედავად ამისა, კლიმატის ცვლილების შედეგები ჩვენს ქვეყანაშიც მკაფიოდ ჩანს. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში არსებული ენერგოკრიზისის გამო გაიკაფა ტყეები. საირიგაციო, სადრენაჟო და ნაპირსამაგრი სამუშაოები უსისტემოდ მიმდინარეობდა. როგორც სტატისტიკა მოწმობს, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მკვეთრად გახშირდა ბუნებრივი კატაკლიზმები, რომლებიც დამახასიათებელია კლიმატის ცვლილებისათვის. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ძლიერი წვიმები, თავისი დრამატული შედეგებით; გახშირდა მეწყერები, წყალმოვარდნები, ზვავები, მდინარეების კალაპოტიდან გადმოსვლა, ქარბორბალები. გამოვლინდა სეზონურობის ცვლილება. რამდენიმე ადგილას გამოიკვეთა გაუდაბნოების პროცესი. ჯერჯერობით შესწავლილი არ არის ამ მოვლენების გამომწვევი კონკრეტული, ქვეყნისათვის სპეციფიკური მიზეზები. საქართველოში კლიმატის ასეთ ცვლილებას, სავარაუდოდ, განაპირობებს ეკოსისტემების მრავალფეროვნება და ქვეყნის რელიეფი: მაღალი მთები და წყლის უხვი რესურსები, ასევე ზღვის სიახლოვე.

კვლევების შედეგად გამოვლინდა კლიმატცვლილების შედეგებისადმი განსაკუთრებით მგრძნობიარე რეგიონები:

1. **შავი ზღვის სანაპირო ზოლი:** საქართველოში სანაპირო ზოლის მთელ სიგრძეზე შეინიშნება ზღვის დონის აწევა, შტორმების გახშირება და გაძლიერება, მდინარეების ჩამონატანის გაზრდა და ზღვის ზედაპირული წყლების ტემპერატურის ცვლილება. ეს შედეგები განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება მდ. რიონის დელტაში, ქ. ფოთთან, სადაც პრობლემა, ერთი მხრივ, ზღვის შემოჭრაში და ხმელეთის მიტაცებაში მდგომარეობს და მეორე მხრივ, მდინარის მიერ ზღვაში ნაშალის ჩატანაში. უახლესი კვლევები აჩვენებს, რომ შავი ზღვის სანაპირო ზონა კლიმატის ცვლილებისადმი ყველაზე მოწყვლად ეკოსისტემას წარმოადგენს და მოდელირებული პროგნოზები 2100 წლისათვის კიდევ უფრო სავალალო სურათს გვიხატავს.

2. **ქვემო სვანეთი (ლენტეხის რაიონი):** აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ნალექების რაოდენობის მომატება. ნალექები უფრო ხშირი და უხვია, მაგრამ უფრო მოკლეხნიანი. ამის შედეგია გახშირებული და გაძლიერებული წყალდიდობები, ზვავები, მეწყერები და ღვარცოფები. ნიადაგის გაძლიერებულ ეროზიას ხელს უწყობს გაჩეხილი ტყეებიც, რაც დიდ ზარალს აყენებს რაიონის ეკონომიკას და იწვევს მიგრაციას.

> სახლსა თუ სკოლაში განხორციელებული მცირე აქტივობებით სათბური გაზების ემისია იკლებს და თანხაც იზოგება. მოსწავლეებს, მასწავლებლებს, სკოლის ადმინისტრაციას შეუძლიათ საკუთარი წვლილი შეიტანონ კლიმატის ცვლილების შერბილებაში.

3. **დედოფლისწყაროს რაიონი:** აქ კლიმატის ცვლილება გვალვის გახშირებაში, წყლის რესურსების დაკლებასა და მიწის დეგრადაციაში გამოიხატება. მოშლილი ქარსაცავი ზოლები და ირიგაციის სისტემა დამატებით პრობლემებს უქმნის სოფლის მეურნეობას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სხვა რეგიონებში ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი კლიმატის ცვლილების ზეგავლენა. აქ იგულისხმება მდინარეების ადიდებასთან დაკავშირებული გახშირებული წყალდიდობები, რაც თითქმის ყველა რაიონში ხდება, მყინვარების დნობასთან დაკავშირებული საკითხები და ა.შ.

თუ კლიმატის ცვლილება ამავე ტემპით გაგრძელდება, 2100 წელს აღმოსავლეთ

საქართველოში საშუალო წლიური ტემპერატურა 3,5 გრადუსით მოიმატებს, ხოლო ნალექები 6%-ით შემცირდება, დასავლეთში კი ტემპერატურა 4,1 გრადუსით გაიზრდება, ხოლო ნალექიანობა 14%-ით შემცირდება.

ჩვენი როლი კლიმატის ცვლილების შერბილებაში

რატომ უნდა ვიცოდეთ ყველამ გლობალური კლიმატის ცვლილების შესახებ? შეუძლია თუ არა თითოეულ ჩვენგანს რაიმე გააკეთოს ამ პროცესის შედეგების შესარბილებლად? არის მარტივი ნაბიჯები, რომლებიც ჩვენგან დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს, თუმცა გარემოზე დადებითად აისახება. სახლსა თუ სკოლაში განხორციელებული მცირე აქტივობებით სათბური გაზების ემისია იკლებს და თანხაც იზოგება. მოსწავლეებს, მასწავლებლებს, სკოლის ადმინისტრაციას შეუძლიათ საკუთარი წვლილი შეიტანონ კლიმატის ცვლილების შერბილებაში. გთავაზობთ რამდენიმე რჩევას:

- ჩაანაცვლეთ ნათურები ენერგოდამზოგით – თავდაპირველად იმ ოთახებში, სადაც ყველაზე ხანგრძლივად ანთია სინათლე. ამით ვიცავთ გარემოს და ვამცირებთ მოხმარებულ ელექტროენერგიას.
- საყოფაცხოვრებო ტექნიკა თანდათანობით ჩაანაცვლეთ ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიებით, რომლებსაც ენერგიის მოხმარების ეკონომიური რეჟიმი აქვთ.
- თუ გათბობისა და კონდიცირების სისტემებს ყოველწლიურად ეცვლება ფილტრები, ამით არა მხოლოდ ემისია მცირდება, არამედ ენერგიაც იზოგება. ახლის შეძენის დროს კი არჩევანი უფრო ეფექტურ, დამზოგ მოდელებზე გააკეთეთ.
- მნიშვნელობა აქვს სახლის/სკოლის იზოლაციას. თუ კარ-ფანჯრის გამოცვლას არ გეგმავთ, უმჯობესია მათ იზოლაციაზე იზრუნოთ, რათა ჰაერის არასასურველი ცირკულაცია არ მოხდეს. ეს შესაძლებლობას მოგცემთ, ჩაუწიოთ გამათბობლებს თუ გამაგრილებლებს (სეზონის მიხედვით), დაზოგოთ ენერგია.
- გამოთვალეთ თქვენი სკოლის/სახლის ეკოლოგიური ნაკვალევი http://myfootprint.org/en/visitor_information/. ეს საიტი ასევე შესაძლებლობას გაძლევთ, მიიღოთ მარტივი რჩევები.
- საუკეთესო შემთხვევაში – განსაკუთრებით მაშინ, თუ კერძო სახლი გაქვთ – შეგიძლიათ განახლებადი ენერგოწყაროები გამოიყენოთ ენერგიის გამოსამუშავებლად და წყლის გასათბობად.
- „გადახედე, თქვი უარი, შეამცირე“ – ქენ ვებსტერის ეს წიგნი 2007 წელს ითარგმნა და გამოიცა. მასში მოცემული პრინციპების დაცვა გარემოსათვის სასარგებლოა. სხვადასხვა ნივთის გადამუშავებით ან მრავალჯერადად გამოყენებით იზოგება რესურსები, ელექტროენერგია და ნაკლები ნარჩენი იყრება ბუნებაში.
- ეზოშიც შეიძლება დამზოგი ღონისძიებების გატარება. მაგალითად, კომპოსტირება ორგანული ნარჩენების შემცირების საშუალებას იძლევა, მიწის გასანაყოფიერებლად მათი გამოყენება კი ამცირებს ქიმიკატებისა თუ სასუქების მოხმარებას, მათთან დაკავშირებულ ხარჯებსა და სათბური გაზების წარმოქმნას.
- წყლის ეკონომიურად მოხმარებას ხშირად ელექტროენერგიას ვერ უკავშირებენ, არადა წყალსაქაჩები დიდი რაოდენობით ენერგიას მოიხმარენ, ასე რომ, შეაკეთეთ მოშლილი ონკანები, დაზოგეთ წყალი, გადაკეტეთ ონკანი პარსვისა და კბილების გამოხეხვის პროცესში...
- გაავრცელეთ ამ ყველაფრის შესახებ ინფორმაცია ყველგან, სადაც კი სიტყვა გეთქმით. ამით თქვენს წვლილს შეიტანთ გარემოს გაჯანსაღებაში.
- გამოიყენეთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) მიღებული ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ასწავლეთ მოსწავლეებს საგანი ისე, რომ პრიორიტეტი გარემოს დაცვა იყოს. ეცადეთ, თქვენი ქცევით მათ სწორი მაგალითი მისცეთ.
- განახორციელეთ გარემოსდაცვითი პროექტები. ჩართეთ, რაც შეიძლება, ფართო საზოგადოება (მშობლები, თემი, თვითმმართველობა) ამგვარი პროექტების განხორციელებაში. ეს დადებით შედეგს კიდევ უფრო მასშტაბურს გახდის, გაიზრდება გარემოზე მზრუნველ ადამიანთა რაოდენობაც.

მხატვრული ლიტერატურა სკოლაში

მალხაზ ხარბედია

პედაგოგიურ საკითხებზე ფიქრი და წერა პირველად სულ ცოტა ხნის წინ მომიწია. როგორც ჩანს, როდესაც სახლში პატარა გეზრდება, ძალაუნებურად იწყებ იმაზე ზრუნვასა და გნებავთ, ოცნებასაც, თუ რა განათლება შეიძლება მიიღოს მან მომავალში, როგორ არჩევანს გააკეთებს, როგორი იქნება მისი დამოკიდებულება სწავლისადმი, რამდენად შეეგუება იგი სავალდებულო საგნებს, რამდენ დროს დახარჯავს კარგი წიგნების აღმოსაჩენად, წასაკითხად თუ სხვებისთვის გასაზიარებლად... დღეს სწორედ ამ თემაზე მინდა ჩავფიქრდეთ – წიგნებსა და ბავშვებზე, უფრო კონკრეტულად კი, მხატვრულ ლიტერატურაზე სკოლაში, იმაზე, თუ რა გავლენა აქვს ძველ და თანამედროვე ლიტერატურას განათლების სფეროზე.

> „უბრალოდ, უხერხულია, უფრო მეტიც, სირცხვილია, როდესაც თანამედროვე ადამიანი, თანამედროვე მოზარდი თანამედროვე ლიტერატურას არ იცნობს და არ კითხულობს.“



აღზრდის საკითხებზე ფიქრში პირველ ნაბიჯებს ვდგამ, ამიტომ, გადავწყვიტე, დასახმარებლად მეგობრებისთვის მიმემართა, რომლებმაც, თავიანთი დაკვირვებებით, შეიძლება უფრო ზუსტი მიმართულება მომცენ. ეს ადამიანები სხვადასხვა თაობის, განათლების, შეხედულებებისა და პროფესიისანი არიან. ზოგი მათგანი სოციალურ მეცნიერებას წარმოადგენს, სხვები – ლიტერატურათმცოდნეობას, ჟურნალისტიკას ან მწერლობას. ყველას ერთი და იგივე კითხვები დავუსვი, მივიღე ძალიან საინტერესო პასუხები და მინდა, სწორედ ამ პასუხებიდან ამოკრებილი რამდენიმე მოსაზრებით დავიწყოთ თემაზე საუბარი.

პირველი კითხვა ზოგადად ლიტერატურის როლს შეეხებოდა სკოლაში. რატომ უნდა ვასწავლოთ მხატვრული ლიტერატურა? ამ კითხვაზე ყველაზე მარტივი პასუხი ალბათ ის არის, რომ იგი ავითარებს შემოქმედებით აზროვნებას და ფანტაზიის უნარს, მაგრამ ეს აზრი ჩვენს საუბარში უფრო საინტერესოდაც გაიშალა. რა თქმა უნდა, ლიტერატურა ხვეწს მოზარდის ენას და მეტყველებას, ანუ აყალიბებს აზრებს და ამ აზრის გამოხატვის ხერხებს, ავითარებს ანალიტიკურ უნარებს. ლიტერატურა მოზარდს საშუალებას აძლევს, გასცდეს საკუთარ ვიწრო საზღვრებს და წარმოიდგინოს სხვა კონტექსტი, განიხილოს იგი ან საკუთარი თავი ჩააყენოს ამ კონტექსტში. შესაბამისად, ლიტერატურა სოციალურ თანაგრძნობას იწვევს. მოზარდებს მხატვრული ლიტერატურის კითხვისას უჩნდებათ შესაძლებლობა, დაინახონ ერთი რეალობის სხვადასხვა მხარე, გააკეთონ არჩევანი (თუნდაც მორალური არჩევანი).

თავად სკოლა რაღას წარმოადგენს? ეს არის სივრცე, სადაც მოსწავლეთა უმრავლესობა გარკვეულ სავალდებულო საქმიანობას ასრულებს, ანუ სწავლობს ბევრ ისეთ რამეს, რაც შეიძლება არ აინტერესებდეს, მაგრამ მისთვის საჭირო იყოს. თავის დროზე **ტომას სტერნზ ელიოტმა** ძალიან ზუსტად განსაზღვრა განათლების არსი: **„ვერავინ გახდება რეალურად განათლებული, თუკი იგი არ ეცდება იმის შესწავლასაც, რის მიმართაც მას ინტერესი არ ამოძრავებს. რადგან იმ საგნებით დაინტერესების უნარი, რომლისკენაც არა გვაქვს მიდრეკილება, განათლების ნაწილს წარმოადგენს“.** შესაძლოა ეს განათლების ერთ–ერთი უმთავრესი მხარეც იყოს, რომელსაც მე

ტრადიციულს ვუწოდებდი, მაგრამ არსებობს განათლებისადმი და შემეცნებისადმი შედარებით ჰედონისტური, უფრო ლიბერალური და ცოცხალი დამოკიდებულებაც, სადაც მეტი ხალისი და ინტერესია და თავად მოსწავლის ინიციატივაც უფრო კარგად ჩანს. ვფიქრობ, მხატვრული ლიტერატურა ამგვარ თავისუფალ ინტერესებს ყველაზე კარგად და ეფექტურად ავითარებს, რადგან თანამედროვე სამყაროში ის ყოველთვის თავისუფლების სივრცეს წარმოადგენდა.

ერთ-ერთმა ჩემმა რესპონდენტმა, ამასთან დაკავშირებით, ყურადღება გაამახვილა ლიტერატურაზე, როგორც ალტერნატიული სივრცის უმთავრეს შემოქმედზე; და ეს როლი, მისი აზრით, განსაკუთრებულად აქტუალური სწორედ თანამედროვე საქართველოში გახდა – ქვეყანაში, სადაც საზოგადოებრივ აზროვნებას სერიოზული პრობლემები აქვს. მხატვრული ლიტერატურა კი ამგვარი სააზროვნო კრიზისების დაძლევისა და წარსულისა თუ აწმყოს გადაფასება/გააზრების საშუალებას იძლევა.

კარგი ლიტერატურული ნაწარმოების კითხვისას ყოველთვის ჩნდება ლოგიკური განცდები, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია პროტესტისა და რეალური სამყაროთი უკმაყოფილების გრძნობა. ასეთი ლიტერატურა ყოველთვის რაღაცის შეცვლისაკენ და არსებულის კრიტიკული შეფასებისაკენ უბიძგებს

უმბერტო ეკო

> ვერავინ გახდება რეალურად განათლებული, თუკი იგი არ ეცდება იმის შესწავლასაც, რის მიმართაც მას ინტერესი არ ამოძრავებს. რადგან იმ საგნებით დაინტერესების უნარი, რომლისკენაც არა გვაქვს მიდრეკილება, განათლების ნაწილს წარმოადგენს.

ადამიანს და ამ თავისუფალმა, ლაღმა კრიტიკამ, რომელსაც ჩვენ „ჰეპი გრძელწინდადან“ და „ჰეკლბერი ფინიდან“ ვიცნობთ, ბავშვები მომავლის ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისთვის უნდა შეამზადონ.

უმბერტო ეკო წერდა თავის წიგნში „ექვსი გასეირნება ლიტერატურულ ტყეებში“, რომ ლიტერატურას იგივე ფუნქცია აქვს, რაც თამაშს ბავშვობაში. თამაშისას ბავშვები ცხოვრებას სწავლობენ, რადგან იმეორებენ, უფრო სწორად, წარმოადგენენ, დგამენ სიტუაციებს, რომლებშიც ისინი თავად აღმოჩნდებიან, როდესაც გაიზრდებიან. ხოლო ჩვენ, უფროსები, ლიტერატურის მეშვეობით ვხვეწთ გარკვეულ უნარებს (წარსულისა და აწმყოს გამოცდილების მოწესრიგება, ე.წ. ცხოვრებისეულ ქაოსში გარკვევა).

ისევ იმ ალტერნატიულ სივრცეს დავუბრუნდები, ზემოთ რომ ვახსენე და ვიტყვი, რომ კარგი რომანი ყოველთვის გადაადგილების საშუალებას უნდა იძლეოდეს. იგი შთაბეჭდილებას უნდა ქმნიდეს, რომ ცალკე, დამოუკიდებელ სამყაროს წარმოადგენს და არსებულ რეალობას არაფრად აგდებს, მას ის არაფერში სჭირდება, ანდა მხოლოდ იმიტომ სჭირდება, რომ შეცვალოს. თავად ამ რომანში, მის ავტონომიურ სამყაროში, ისედაც ყველაფერია, რაც საარსებოდ საჭირო და აუცილებელია. ასეთია ყველა დიდი მწერლის მიერ შექმნილი სამყარო, **სტივენსონის** ღირსებითა და სიმამაცით სავსე „განძის კუნძულიდან“ დაწყებული – **უილიამ ფოლკნერის** იოკნაპატოფას მკაცრი მხარით დამთავრებული.

გარდა ამისა, არსებობს აქტუალური და არააქტუალური ლიტერატურა: ლიტერატურა, რომელიც ფუნქციონირებს, ცოცხლობს და მწერლობა, რომელიც მხოლოდ ლიტერატურულ კანონს მისდევს და სხვა განსაკუთრებული ღირებულებით არ გამოირჩევა. ასეთი „კომფორტული“ ნაწარმოები ძალიან ბევრი ვიცით: ზოგი მეტად იდეოლოგიზებულია, ზოგი ნაკლებად, ზოგიც სრულიად დაცლილია ყველაფრისგან და მხოლოდ კეთილხმოვანებით თუ დაგვატკბობს. აქტუალური ლიტერატურა კი მეტ რეფლექსიას, მეტ თვითიდენტიფიკაციას, გამოსავლის ძიებას, პასუხისმგებლობას მოითხოვს.

მასწავლებლები ხშირად იწუნებენ და გვერდზე გადადებენ ხოლმე ამ ე.წ. აქტუალურ ლიტერატურას, როგორც არასანდოს, საეჭვოს, საფრთხის მატარებელს. ხანდახან მათ წიგნის დაწუნება იმის გამო უწევთ, რომ იგი წერის მიღებულ სტილისტიკას არ შეესაბამება, უცხოა, არადა, მთავარი ის კი არაა, რამდენად ნაცნობი, ახლობელი და შინაურულია ესა თუ ის ტექსტი და ბოლოს და ბოლოს, არც ის – თუ რამდენი შეცდომაა დაშვებული წერისას. როგორც **მარიო ვარგას ლიოსა** ამბობს

თავის ერთ–ერთ წიგნში, მნიშვნელობა არა აქვს, სტილი გამართულია თუ არა, მთავარია, ეს სტილი ფუნქციონირებდეს. ის კი მხოლოდ მაშინ ფუნქციონირებს, როდესაც სიცოცხლის ილუზიას ქმნის, სიმართლეზე გველაპარაკება, დამაჯერებელია... რამდენი გვინახავს სტილურად დახვეწილი, გაკრიალებული ნაწარმოები, რომელსაც ვერანაირი ზეგავლენა ვერ მოუხდენია მოზარდ მკითხველზე.

ტომას ელიოტი

კლასგარეშე ლიტერატურის არჩევისას უფრო თამამები შეიძლება გავხდეთ. მხოლოდ ლიტერატურული ნორმების დაცვით შექმნილი, ე.წ. გადახვევებისა და დარღვევების გარეშე დაწერილი, ზედმეტად ზრდილობიანი ლიტერატურა, უბრალოდ, უინტერესო იქნება ახალგაზრდა მკითხველისთვის. მას სიახლე სჭირდება, სიახლე კი, პირველ რიგში, თანამედროვე ლიტერატურაა. ბავშვები უნდა დავარწმუნოთ, მათ იმის რწმენა თუ



უილიამ ფოლკნერი

მოლოდინი უნდა ჩავუნერგოთ, რომ დიდი ლიტერატურა დღესაც იქმნება. ბავშვებს არ უნდა შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი საუკეთესო წარსულში დარჩა და 100 ან 50 წლის წინ შეიქმნა. თანაც, უბრალოდ, უხერხულია, უფრო მეტიც, სირცხვილია, როდესაც თანამედროვე ადამიანი, თანამედროვე მოზარდი თანამედროვე ლიტერატურას არ იცნობს და არ კითხულობს.

სამწუხაროა, რომ საქართველოში ლიტერატურა უფრო მეტად ასოცირდება რაღაც დამყაყებულთან, მოძველებულთან, მკერდს მიდებულ ქნართან და ა.შ., ვიდრე თანამედროვეობასთან. იქნებ ამიტომაა, რომ ბევრი თაკილობს ლიტერატურის კითხვას და გაზიარებას? იქნებ ცოტა სხვაგვარად უნდა მივაწოდოთ მხატვრული ლიტერატურა? ტექსტებიც ხომ არ გადაგვეხალისებინა? დარწმუნებული ვარ, უახლეს ტექსტებში ამოკითხული ერთი-ორი გაბედული ფრაზა, მწარე სიმართლე ან კარგი ხუმრობა უფრო მეტ სააქმეს გააკეთებს, ვიდრე „ოთარაანთ ქვრივის“ გარჩევები.

რა ვუყოთ წარსულის ლიტერატურას? მას კიდევ უფრო მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა შეუძლია: პირველ რიგში, ის ბავშვს ისტორიულ განზომილებაში ჩააყენებს და მისცემს საშუალებას, გაითავისოს ისეთი დეტალები, რომლებსაც დღეს ვეღარ ნახავს; ბავშვი იმ ტრადიციებს ეზიარება, რომლებიც ქრება ან უკიდურესად დამახინჯდა. ძველი ლიტერატურა საოცარ სიღრმეს და სიბრძნეს ინახავს. მე, თავად, კლასიკურ ფილოლოგიას ვსწავლობდი და კარგად ვიცი ძველი, მაგრამ უბერებელი ტექსტების ყადრი, რომელთა ყოველი სიტყვაც ლამის ოქროსგანაა ჩამოსხმული. ამ ტექსტებს ენის წარსულში გადაყავხარ, ისინი გასწავლის, თუ როგორ უნდა გაერკვე სემანტიკურ ქაოსში და როგორ უნდა აღმოაჩინო ის ერთადერთი სწორი მნიშვნელობა, რომელიც ამა თუ იმ სიტყვის მიღმა დგას – მნიშვნელობა, რომელიც კონკრეტულ ეპოქას გვიხასიათებს, ან კონკრეტულ ავტორს გვაცნობს. მოზარდებს, როგორც წესი, ზოგადი განცდები აქვთ და დაკონკრეტება უჭირთ ხოლმე, ხოლო ლიტერატურა იმას ახერხებს, რომ წვრილმანებისკენ მიაპყრობს მათ ყურადღებას, ზუსტია და შესაბამისად, ნამდვილ პოეტურ განცდებს აღძრავს და არა ყალბს, რაც, ძირითადად, „პოეტურობის ნიშნებით“ ჟონგლიორობაში ვლინდება ხოლმე და რისი მაგალითებიც საკმარისად გვაქვს საქართველოში.

ჩემს დროს ბევრი მასწავლებელი ძალიან ამახინჯებდა ბავშვების ენას ერთ თარგზე მოჭრილი „თემების“ წერით, სადაც ადვილად ამოიცნობდით კონსტანტინე გამსახურდიას და სხვა ძველი თუ ახალი ყაიდის ნაციონალისტურ დისკურსს. ყოველ წელს ერთსა და იმავეზე წერდნენ: პატრიოტულ თემატიკაზე ნიკოლოზ ბარათაშვილთან, სიყვარულსა და მეგობრობაზე ვეფხისტყაოსანში, გიორგის და არჩილის შედარებით დახასიათებაზე და სხვ. მაშინ ლიტერატურას უბრალოდ „ევალებოდა“ ისეთი ადამიანის აღზრდა, რომელიც სისტემისათვის მისაღები სოციალური უნარებით იქნებოდა აღჭურვილი. ეს კი, ნაწილობრივ, მხატვრული ენის მეშვეობითაც ხდებოდა. სწორედ ამის გამოა, რომ დღეს, ლიტერატურა, ხშირ შემთხვევაში, კულტურული აუტიზმის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ხოლმე.

საქართველოში საკმაოდ ხშირად ლიტერატურა ჩაკეტილ სივრცესთან, დაავადებასთან უფრო ასოცირდება, ვიდრე სამყაროს ან ტექსტის ცოცხალ აღქმასთან. ლიტერატურა გარკვეულ წრეებში კულტურული აუტიზმის ერთგვარ ფორმად იქცა: ფსიქოლოგიური და სოციალური კარჩაკეტილობა, ერთი და იგივე აუდიტორია, ლიტერატურული კლანები, ზედმეტად მაღალი თვითშეფასება. ეს პრობლემა დღეს ქართველი მწერლების ყველა თაობაშია. ძალიან ბევრი წერს კლიშეებით, უმიზნოდ, უშედეგოდ, რეფლექსიის გარეშე. ტრადიცია მხოლოდ ხმაურის სახით არსებობს მათში, თანამედროვეობა კი საერთოდ ვერ აღწევს ამ ჯურღმულებამდე. რა თქმა უნდა, მომავლის მწერლებსაც ვერ ვუწოდებთ მათ, რადგან არაფერი ახალი მათ ნაწერში არაა.

ერთი მხრივ, ასეთი ლიტერატურა ძალიან ჰერმეტულია და ხშირად ბოდვას უახლოვდება, მეორე მხრივ კი, იგი ზედმეტად ცხად თემებს ამღერებს, რაც ასევე ბოდვად აღიქმება. კარგი ლიტერატურა ორივე ამ ცდუნებისგან იცავს მოზარდს. იგი აყალიბებს ღია, ურთიერთობისთვის გახსნილ, მახვილგონიერ ადამიანს, რომელიც კარგად ორიენტირდება გუგლისა და ბლოგების ეპოქაში.

„აუცილებელია ქართული და უცხოური ლიტერატურის, ისევე, როგორც ძველი და თანამედროვე ტექსტების ზუსტი შეხამება. და კიდევ, ერთი მნიშვნელოვანი თემა, რომელიც აფხაზურ და ოსურ ლიტერატურას შეეხება: არიან ადამიანები, ვინც მიიჩნევენ, რომ ზოგიერთი ნაწარმოები აუცილებლად უნდა იყოს პროგრამაში.“

მარიო ვარგას ლიოსა

ცალკე საკითხია, კონკრეტულად რას უნდა კითხულობდნენ მოზარდები სკოლის დამამთავრებელ კლასებში. ამაზე მომავალ წერილში ვისაუბრებთ, სადაც შევეცდები, რეკომენდაციები თემატურად ჩამოვწერო. აქ კი უბრალოდ ვიტყვი, რომ, პირველ რიგში, აუცილებელია ქართული და უცხოური ლიტერატურის, ისევე, როგორც ძველი და თანამედროვე ტექსტების ზუსტი შეხამება. და კიდევ, ერთი მნიშვნელოვანი თემა, რომელიც აფხაზურ და ოსურ ლიტერატურას შეეხება: არიან ადამიანები, ვინც მიიჩნევენ, რომ ზოგიერთი ნაწარმოები აუცილებლად უნდა იყოს პროგრამაში. ჩემი აზრით, ეს საინტერესო სიახლე იქნება. გარდა ამისა, ვფიქრობ, ბოლო წლების მანძილზე მომხდარი ეთნიკური კონფლიქტების თემაზე შექმნილ არაერთ ნაწარმოებს უნდა გაეწიოს რეკომენდაცია. მომდევნო სტატიაში ამ საკითხზეც ვისაუბრებთ.

როგორ შეცვალა თანამედროვე ტექნოლოგიებმა სწავლების მოდელი



სანდრო ასათიანი

„ის, რაც შესაძლებელია დღეს, წარმოუდგენელი იყო ორი ათეული წლის წინ“, – ამგვარად დაახასიათა თანამედროვე ინტერნეტ-ტექნოლოგიები ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ სტუდენტებთან გამართულ ერთ–ერთ შეხვედრაზე. მსგავსი რამ, ინტერნეტ-ტექნოლოგიებთან დაკავშირებით, ბევრ სხვა ადამიანსაც უთქვამს. მართლაც, ერთი შეხედვით მარტივმა და ყველასათვის ხელმისაწვდომმა ტექნოლოგიებმა უამრავი შესაძლებლობა მოგვცა და ბევრი რამ შეცვალა. ცვლილებები განათლების სფეროსაც შეეხო.

შენ

2006 წელს ჟურნალმა „ტაიმმა“ წლის პერსონად აბსტრაქტული „შენ“ (YOU) დაასახელა, ანუ თითოეული ჩვენგანი, უფრო კონკრეტულად კი, ისინი, ვინც ინტერნეტში ინფორმაციას ვათავსებთ. თუკი თავიდან ინტერნეტში ინფორმაციას მხოლოდ ისინი ათავსებდნენ, ვისთვისაც ეს სამსახურეობრივი მოვალეობა იყო – მაგალითად, ვებგვერდის შემქმნელები, რომლებიც ამ საქმეში გარკვეულ გასამრჯელოს იღებდნენ, ან რომელიმე გაზეთის თანამშრომლები, რომლებიც გაზეთის ვებგვერდზე სტატიებს ათავსებდნენ – დღეს საქმე სხვაგვარად არის. სხვადასხვა ინტერნეტ-სერვისის მომხმარებლები ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე წერენ „პოსტებს“, ტვირთავენ ფოტო, ვიდეო თუ აუდიო ფაილებს. ადამიანების მიერ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ინტერნეტში განთავსებული ინფორმაციის ოდენობა სულ უფრო მატულობს. სწორედ ამის აღსანიშნად ჟურნალმა „ტაიმმა“ ჯერ კიდევ 2006 წელს წლის პერსონად ყველა ის ადამიანი დაასახელა, ვინც ინტერნეტის თანამედროვე სახეს აყალიბებს. ჟურნალის ყდაზე ასეთ განმარტებას წაიკითხავდით: Yes, you. You control the Information Age. Welcome to our world (დიახ შენ, შენ აკონტროლებ ინფორმაციის ეპოქას. კეთილი იყოს შენი მობრძანება ჩვენს სამყაროში).

> **„თუ თქვენს საოცნებო ლექციას ვერ ესწრებით, მისი მოძიება ინტერნეტში შეგიძლიათ, რამდენადაც ის, რაც რამდენიმე წლის წინ წარმოუდგენელი იყო, დღეს სავსებით შესაძლებელია. დიახ, შესაძლებელია დაესწროთ ლექციას სხვა ქალაქში ან სხვა ქვეყანაში საკუთარი ოთახიდან გაუსვლელად.“**

მოხალისე პედაგოგები

იმ ადამიანთა შორის, რომლებიც ინტერნეტში ინფორმაციას ათავსებენ, „მოხალისე მასწავლებლებიც“ მრავლად არიან. თუკი ადრე დამოუკიდებლად რამის შესწავლას გადაწყვეტდით, ალბათ, პირველ რიგში, შესაბამის ლიტერატურას მოიძიებდით. დღეს, ახალი ცოდნის შესაძენად, ბევრი ინტერნეტს მიმართავს. ინტერნეტში უამრავი სასწავლო მასალაა კომპიუტერული პროგრამებისა და ტექნოლოგიების შესახებ, თუმცა ინფორმაცია სხვა თემებზეც უხვად მოიძებნება. მაგალითად, თუ მებაღეობით დაინტერესდებით, შეგიძლიათ იპოვოთ ვიდეომასალა ხის



გასხვლის შესახებ, ან თუ სტუმრებს ელოდებით და რაიმე ორიგინალური რეცეპტი გჭირდებათ, ინტერნეტში მას იოლად მიაკვლევთ. ამისათვის საძიებო სისტემის ფანჯარაში მხოლოდ შესაბამისი სიტყვის ან სიტყვების ჩაწერა მოგიწევთ და რეზულტატი მყისვე გაჩნდება თქვენს მონიტორზე. ინტერნეტში სასწავლო მასალები ტექსტის, ვიდეო ან აუდიო ფაილების სახით არის განთავსებული. მაგალითად, შეგიძლიათ მოიძიოთ მოხალისის მიერ მომზადებული რომელიმე უცხო ენის შემსწავლელი აუდიო კურსი.

დისტანციური სწავლება

ინტერნეტში პროფესორების მიერ ჩატარებული ღია ლექციების ბევრი ვიდეოჩანაწერია. ასე რომ, თუ თქვენს საოცნებო ლექციას ვერ ესწრებით, მისი მოძიება ინტერნეტში შეგიძლიათ, რამდენადაც ის, რაც რამდენიმე წლის წინ წარმოუდგენელი იყო, დღეს სავსებით შესაძლებელია. დიახ, შესაძლებელია დაესწროთ ლექციას სხვა ქალაქში ან სხვა ქვეყანაში საკუთარი ოთახიდან გაუსვლელად.

მთელს მსოფლიოში დისტანციური სწავლება მზარდი პოპულარობით სარგებლობს. დღეს ბევრ პრესტიჟულ სასწავლებელში შეგიძლიათ ონლაინ-კურსი გაიაროთ და ვირტუალურ აუდიტორიაში გავლილი კურსის ბოლოს რეალური დიპლომი მიიღოთ. თავად განსაჯეთ, რამდენად მოსახერხებელია, სახლიდან გაუსვლელად ისწავლოთ უნივერსიტეტში, რომელიც სხვა ქალაქში ან სულაც სხვა კონტინენტზე მდებარეობს. ერთ-ერთი უნივერსიტეტის საიტზე, რომელიც დისტანციურ კურსებსაც სთავაზობს სტუდენტებს, მითითებულია, რომ უნივერსიტეტი ამგვარ სწავლებას 150 მიმართულებით ახორციელებს (http://www.extension.harvard.edu/distance-education). 2005 წელს 3.2 მილიონმა ამერიკელმა სტუდენტმა ერთი სემესტრი მაინც სწორედ დისტანციური სწავლებით დახურა.

უნივერსიტეტების პარალელურად, დისტანციურ გაკვეთილებს ცალკეული პირებიც ატარებენ და ამაში შესაბამის ანაზღაურებას იღებენ. არსებობს საიტები, რომლებზეც შეგიძლიათ მიუთითოთ, თუ რისი შესწავლა გსურთ: რომელიმე კომპიუტერული პროგრამის, რაიმე რთული ხელობის ან იქნებ სულაც გიტარაზე დაკვრის... საიტის შესაბამის განყოფილებაში პედაგოგებიც ტოვებენ შესაბამის განცხადებებს. პედაგოგის შერჩევისას სხვა მომხმარებლების მიერ დატოვე-

ბული კომენტარებიც დაგეხმარებათ. ყოველთვის საინტერესოა იმ ადამიანთა მოსაზრებების გაცნობა, ვინც ესა თუ ის კურსი უკვე გაიარა.

სწავლების პროცესი ინტერნეტის საშუალებით ხორციელდება. მაგალითად, გიტარაზე დაკვრის შემთხვევაში, მოსწავლე skype-ით ან სხვა მსგავსი პროგრამით უკავშირდება პედაგოგს, რომელიც ვებ-კამერის საშუალებით ადევნებს თვალს სიმებსა და მოსწავლის ხელის მოძრაობას. მასწავლებელი ინტერნეტის საშუალებითვე აძლევს მოსწავლეს შენიშვნებს.

ცვლილებები ჩვენს ირგვლივ

ერთი შეხედვით, სწავლების პროცესში მომხდარი ცვლილებები თითქოს სადღაც, შორს ხდება, მაგრამ რეალურად ჩვენთანაც ბევრი რამ შეიცვალა. თუ ადრე სწავლების პროცესში სახელმძღვანელოს ერთ-ერთი წამყვანი როლი ეკისრებოდა, დღეს მოსწავლეს დავალების შესასრულებლად

> **თუ ადრე სწავლების პროცესში სახელმძღვანელოს ერთ-ერთი წამყვანი როლი ეკისრებოდა, დღეს მოსწავლეს დავალების შესასრულებლად ალტერნატიული წყაროები აქვს. მას შეუძლია თავად მოიძიოს ინტერნეტში ინფორმაცია მისთვის საინტერესო თემის შესახებ და დავალება მოძიებულ წყაროებზე დაყრდნობით შეასრულოს**

ალტერნატიული წყაროები აქვს. მას შეუძლია თავად მოიძიოს ინტერნეტში ინფორმაცია მისთვის საინტერესო თემის შესახებ და დავალება მოძიებულ წყაროებზე დაყრდნობით შეასრულოს.

ახალმა შესაძლებლობებმა ახალი ცდუნებებიც გააჩინა. როგორც ცნობილია, დავალების შესრულებისას მოსწავლე, ზოგიერთ შემთხვევაში, მეგობრებისაგან ან რომელიმე წიგნიდან იწერდა. დღეს, როდესაც დაშვებულია დავალების კომპიუტერზე აკრეფა და პრინტერზე ამობეჭდვა, ან სულაც კომპიუტერული ფაილის სახით ჩაბარება, არაკეთილსინდისიერი მოსწავლეები გადმოწერითაც აღარ იწუხებენ თავს და დავალებას პირდაპირ „აკოპირებენ“. თუ ადრე, გადაწერის შემთხვევაში, მასწავლებელი დავალებას მიაწერდა ხოლმე გადმოწერილიაო, დღეს უკვე შეიძლება მიაწეროს „დაკოპიპეისტებულიაო”.

„დაკოპირებული“ ტექსტის პირველწყაროს აღმოჩენა საკმაოდ ადვილია. საკმარისია, საძიებო სისტემაში მიუთითოთ ის ადგილი, რომელიც ეჭვს იწვევს და საძიებო სისტემა პირველწყაროს თავად გიპოვით.

მასწავლებლის პროფესიის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები საქართველოში

(ნაწილი II)

რეზო ხოფერია

IV. მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

1. „ღირსება

ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მისი დაცვა გარანტირებულია კონსტიტუციით. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი კრძალავს მასწავლებლის მიმართ ისეთი დისციპლინური სახდელის გამოყენებას, რომელიც ლახავს მის ღირსებას. დაუშვებელია მასწავლებლის მიმართ ღირსების შემლახველი მოპყრობა.

ღირსების შელახვად შეიძლება განხილულ იქნას, მაგალითად, დამცირება, დევნა, უპატივცემულობა (Bodo Pieroth/ Bernard Schlink, ძირითადი უფლებები, სახელმწიფო სამართალი II, ჰაიდელბერგი 2004 წ., გვ. 83, აბზ. 359).

2. თავისუფალი განვითარების უფლება

ყველას აქვს თავისუფალი განვითარების უფლება. თუმცა ამ უფლების გამოყენებით არ უნდა შეილახოს სხვა ადამიანის უფლებები და არ უნდა დაირღვეს კონსტიტუციური წესრიგი (Bodo Pieroth/ Bernard Schlink, ძირითადი უფლებები, სახელმწიფო სამართალი II, ჰაიდელბერგი 2004 წელი, გვ. 86, აბზ. 367).

თავისუფალი განვითარების უფლება პროფესიული განვითარების უფლებასაც გულისხმობს. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი პროფესიული განვითარების უფლების განხორციელების მექანიზმებს ქმნის. მასწავლებლის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სკოლას უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, განკარგოს მის ხელთ არსებული რესურსები, მათ შო-რის დააფინანსოს მასწავლებ-ლის მონაწილეობა პროფესი-ული მზადების პროგრამაში.

3. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

მასწავლებლის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია. არ შეიძლება სკოლამ ან სასწავლო პროცესის მონაწილე პირმა მასწავლებელს მოსთხოვოს ინფორმაციის გამჟღავნება პირად ცხოვრებაზე.

სკოლა არ არის უფლებამოსილი, გასცეს ინფორმაცია მასწავლებლის შესახებ. პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გაცემისას, სკოლამ უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს ზოგადი

„თავისუფალი განვითარების უფლება პროფესიული განვითარების უფლებასაც გულისხმობს. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი პროფესიული განვითარების უფლების განხორციელების მექანიზმებს ქმნის.“

ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნებით.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არ გამორიცხავს სკოლის უფლებამოსილებას, მასწავლებელს მოსთხოვოს სამედიცინო შემოწმება დაავადებებზე, ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე.

4. უფლება უსაფრთხო გარემოზე

მასწავლებელს უფლება აქვს, სკოლას მოსთხოვოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. კანონი ადგენს, რომ სკოლა ვალდებულია, მასწავლებელს შეუქმნას მუშაობისათვის აუცილებელი პირობები. ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოში იგულისხმობა ისეთი პირობების შექმნა, სადაც დაცულია ადამიანის ჯანმრთელობა როგორც ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური, ასევე ფსიქიკური თვალსაზრისით.

5. თანასწორობის უფლება

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია კანონის წინაშე თანასწორობის უფლება. კანონის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია განურჩევლად რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა. კანონმდებლობა კრძალავს მასწავლებლის კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერი ინტერესების შეზღუდვას ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლას, აგრეთვე მისთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭებას.

6. რწმენის თავისუფლება

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს, რომ სკოლა არ არის უფლებამოსილი, მასწავლებელს დააკისროს ისეთი ვალდებულების შესრულება, რაც არსებითად ეწინააღმდეგება მის რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს. თუმცა ეს არ გამორიცხავს სკოლის უფლებას, დააკისროს მასწავლებელს მსგავსი ვალდებულების შესრულება, თუ მასწავლებლის მიერ ასეთი ვალდებულების შეუსრულებლობა ლახავს სხვის უფლებებს ან ხელს უშლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

ამასთან, საჯარო სკოლაში აკრძალულია სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის ან პროზელიტიზმის მიზნებისათვის გამოყენება.

6. პედაგოგიური (აკადემიური) თავისუფლება

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს, რომ მასწავლებელს აქვს სწავლის, სწავლებისა და კვლევის თავისუფლება. პედაგოგიური (აკადემიური) თავისუფლება გამომდინარეობს აზრის თავისუფლების კონსტიტუციური პრინციპიდან.

პედაგოგიური თავისუფლება გულისხმობს მასწავლებლის უფლებას, კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების ფარგლებში, პირადი პასუხისმგებლობით, დაგეგმოს და განახორციელოს სასწავლო პროცესი. აღსანიშნავია, რომ პედაგოგიური თავისუფლება არ შეიძლება გახდეს თვითნებობის, ინდოქტრინაციის ან უმოქმედობის საფუძველი. ამიტომაც, აუცილებელია გარკვეული კონტროლის მექანიზმის არსებობა, რომლის მიზანი იქნება განათლების ხარისხის შენარჩუნება და განვითარება. პედაგოგური თავისუფლება არ ათავისუფლებს მასწავლებელს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის ვალდებულებისაგან (Ernst-Wilhelm Luthe, განათლების სამართალი, ბერლინი 2003 წელი, გვ. 170-171).

პედაგოგიური (აკადემიური) თავისუფლება უნდა ემსახურებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევას.

7. შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

მასწავლებლებს კანონით მინიჭებული აქვთ სკოლის

ტერიტორიაზე შეკრების თავისუფლება წინასწარი შეტყობინების საფუძველზე. აღიარებულია აგრეთვე გაერთიანების თავისუფლება. სკოლას კი ეკრძალება მასწავლებელთა გაერთიანების საქმიანობაში ჩარევა.

8. სკოლის მართვაში მონაწილეობისა და ინფორმაციის მიღების უფლება

მასწავლებელს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს სკოლის მართვაში. საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია მასწავლებლის ჩართულობა პედაგოგიური საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს საქმიანობაში.

მასწავლებელს აქვს უფლება, ფლობდეს ინფორმაციას თავისი უფლებების შესახებ. მას შეუძლია სკოლის დირექციას მოსთხოვოს ის ინფორმაცია, რომელიც არ არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული საიდუმლო ინფორმაცია.

9. ანაზღაურების უფლება

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მასწავლებელს უფლება აქვს, მიიღოს შრომის ანაზღაურება. საჯარო სკოლაში მასწავლებლის ხელფასის და სახელფასო დანამატის გაანგარიშება ხდება მასწავლებლის კვალიფიკაციის, სამუშაო სტაჟის და სამუშაო სპეციფიკის შესაბამისად. კანონის თანახმად, მასწავლებლის ხელფასი არ უნდა იყოს საჯარო მოსამსახურის მინიმალურ ხელფასზე ნაკლები, სრული სამუშაო კვირის შემთხვევაში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მასწავლებელს და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს მასწავლებლის სამუშაო საათების, მათ შორის საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო საათების რაოდენობა, აგრეთვე მასწავლებლის შრომის ანაზღაურების პირობები და ოდენობა. ხელშეკრულებაში უნდა აღინიშნოს ასევე შრომის ანაზღაურების გაცემის ადგილი და გაცემის სიხშირე, ანგარიშსწორების ფორმა და დრო. ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის საჯარო სკოლა ვალდებულია, მასწავლებელს გადაუხადოს დაყოვნებული თანხის 0.07%. გარდა ამისა, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს, რომ მასწავლებლის შრომის ანაზღაურება უნდა გაიზარდოს საჯარო სკოლის ბიუჯეტის ზრდასთან ერთად.

> „მასწავლებელს აქვს უფლება, ფლობდეს ინფორმაციას თავისი უფლებების შესახებ. მას შეუძლია სკოლის დირექციას მოსთხოვოს ის ინფორმაცია, რომელიც არ არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული საიდუმლო ინფორმაცია.“

10. გასაჩივრების უფლება

მასწავლებელს უფლება აქვს, გაასაჩივროს სკოლის უკანონო გადაწყვეტილება და მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამ უფლების უზრუნველსაყოფად, სკოლა ვალდებულია, შექმნას საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის საშუალება.

V. მასწავლებლის ვალდებულებები

მასწავლებელმა კომპეტენტურად უნდა წარმართოს სასწავლო პროცესი და უნდა დაიცვას პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმები მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან ურთიერთობისას.

ზოგადი განათლების სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია გამოვყოთ მასწავლებლის შემდეგი ძირითადი ვალდებულებები:

- ერთგულება კონსტიტუციური ღირებულებებისადმი;
- მიუკერძოებლობა;
- სამართლიანობა;
- კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვა;
- რელიგიური და პოლიტიკური ნეიტრალურობა სასწავლო პროცესის განხორციელების დროს;
- კორუფციული გარიგებებისთვის თავის არიდება;
- პრივილეგიების პირადი მიზნებისთვის გამოყენებაზე უარის თქმა;
- საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნებისაგან თავის შეკავება.

ბიბლიოთეკა – ინფორმაციის რესურსცენტრი

თეო ჭყოიძე

ბიბლიოთეკის ძირითადი ფუნქცია, ტრადიციული წარმოდგენით, წიგნებისა და პერიოდული გამოცემების მოძიება, გაცემა, ფონდების შევსება და კოლექციების გაფრთხილებაა. ამ ყველაფრის გარდა, თანამედროვე ბიბლიოთეკა მოითხოვს: საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვას, პროცესების ელექტრონიზაციას, გამოცემების ციფრული ვერსიების შექმნას, ინფორმაციული რესურსების აქტიურ გამოყენებასა და პოპულარიზაციას. დღეს ბიბლიოთეკარებს ხშირად ინფორმაციის პროფესიონალებს უწოდებენ. მათ, ტრადიციული მოვალეობების შესრულებასთან ერთად, სწრაფ ტექნოლოგიურ ცვლილებებთან ადაპტაციაც უწევთ. ბიბლიოთეკარები ეხმარებიან მკითხველებს სასურველი მასალის მოძიებაში, წიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარებაში, კვლევითი პროექტების, სამეცნიერო სტატიების, ბიბლიოგრაფიების შედგენაში, რეფერატების მომზადებაში და ა.შ.

ბიბლიოთეკა, მკითხველთან ურთიერთობისას, მომხმარებელთა ინფორმაციულ საჭიროებებს ადგენს, რაც მას საშუალებას აძლევს, მუდმივად განაახლოს საკუთარი ბეჭდური, აუდიო-ვიდეო თუ ელექტრონული რესურსები და მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მკითხველის მოთხოვნები. გარდა ამისა, ბიბლიოთეკა კოორდინირებას უწევს და მიზანმიმართულად უწყობს ხელს დღევანდელი საგანმანათ-ლებლო სივრცის ისეთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს, როგორიც არის ინფორმაციული წიგნიერების დანერგვისა და განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.

სწრაფად ცვალებად სამყაროში ინფორმაციის მიმართ მგრძნობიარე საზოგადოება სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. დღეს ადამიანს უწინდელზე უკეთ უნდა შეეძლოს რთული პრობლემების გადაჭრა, ვითარების კრიტიკულად შეფასება, ალტერნატიული თვალსაზრისების აწონ-დაწონა და გონივრული, არგუმენტირებული გადაწყვეტილების მიღება. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ მხოლოდ ინფორმაციის დაგროვება საკმარისი არ არის: აუცილებელია საჭირო ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, ანალიზი, შეფასება და შესაბამის სიტუაციაში მისი ადეკვატურად გამოყენება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციული წიგნიერების განვითარებაზე ზრუნვა ადრეული სასკოლო ასაკიდან დაიწყოს. სკოლის ბიბლიოთეკამ სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებს მათი ინტელექტუალური და ასაკობრივი განვითარების შესაბამისი საინფორმაციო რესურსი უნდა შესთავაზოს. საბოლოო ჯამში, ის მათ ისეთი მნიშვნელოვანი კომპეტენციების ჩამოყალიბებაში უნდა დაეხმაროს, როგორიც არის ინფორმაციის საჭიროების, ბუნებისა და ტიპების იდენტიფიცირება, მისი სანდოობის განსაზღვრა, შეფასება და გამოყენება.

ამგვარად, სკოლის ბიბლიოთეკა უნდა იყოს ის ცენტრი, რომელში დაგეგმილი და განხორციელებული ყველა აქტივობაც მოსწავლეთა სწავლების ხარისხისა და მოტივაციის ასამაღლებლად გამოიყენება. მაგალითად, უცხოეთის ბევრ ქვეყანაში დიდი ყურადღება ეთმობა სწავლების საბიბლიოთეკო მეთოდებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ინფორმაციულ წიგნიერებას. სკოლის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს მოსწავლეებს წიგნებითა და სხვა საინფორმაციო რესურსებით, რომელთა დახმარებითაც ისინი მასალებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად მოიძიებენ. ეს დიდად უწყობს ხელს სწავლა-სწავლების ეფექტურად წარმართვასა და საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას. სასკოლო ბიბლიოთეკის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- წიგნიერების დონის ამაღლება;
- ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა;
- სასწავლო პროცესის მრავალფეროვანი საინფორმაციო რესურსით უზრუნველყოფა;
- სოციალური და კულტურული განვითარების ხელშეწყობა.

სკოლის ბიბლიოთეკის სერვისებისა და რესურსების დაგეგმ-ვისას გათვალისწინებული უნდა იყოს სკოლის მიზნები და ამოცანები. ეს მიზნები თანამედროვე ბიბლიოთეკას, უმეტე-სად, შემდეგი აქტივობების განხორციელებას ავალდებულებს:

- მონაწილეობა მიიღოს სასკოლო დისციპლინების ეფექტური კურიკულუმის შემუშავებაში;
- ხელი შეუწყოს კითხვის, წერისა და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას;
- მრავალფეროვანი რესურსების საშუალებით მოსწავლეებს გაუღვიძოს ინტერესი დამოუკიდებლად სწავლისა და თვითგანვითარებისადმი;
- მიაწოდოს მოსწავლეებს ნაბეჭდი, ელექტრონული, აუდიო და ვიზუალური მასალა, მათი კოგნიტური განვითარების შესაბამისად;
- წაახალისოს ისინი ინფორმაციის მოძიების, დახარისხებისა და შეფასების უნარების გამოსამუშავებლად;
- მისცეს სტიმული მოსწავლეებს, შეარჩიონ საბიბლიოთეკო რესურსი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე;
- დაეხმაროს მათ, გახდნენ ბიბლიოთეკის ერთგული მკითხველები;
- გაუწიოს კონსულტაცია მასწავლებლებს, რათა მათ სასწავლო პროცესში საბიბლიოთეკო რესურსები ეფექტურად გამოიყენონ;

- უზრუნველყოს მოსწავლეებისთვის სხვადასხვა საბიბლიოთეკო რესურსის თანაბარი ხელმისაწვდომობა.

სასკოლო საზოგადოების მიერ ბიბლიოთეკის რესურსების გამოყენება წიგნებისა და აუდიო-ვიზუალური მასალების პოპულარიზაციას და მათ შესახებ ინფორმაციის საინტერესო კუთხით გავრცელებას გულისხმობს. სასკოლო გარემოში ასეთ როლს ბიბლიოთეკარი და მასწავლებელი ასრულებენ. ამდენად, ერთობლივი საქმიანობისა და კოორდინაციისთვის, მათ შორის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობაა საჭირო. მასწავლებელმა უნდა იცოდეს ბიბლიოთეკის შესაძლებლობები, სასაწავლო პროცესის გამრავალფეროვნებისა და მოსწავლეთა დაინტერესების მიზნით კი საბიბლიოთეკო რესურსს ადეკვატურად უნდა იყენებდეს.

მოსწავლეები ბიბლიოთეკის რესურსის ეფექტურად გამოყენებას ვერ ისწავლიან, თუ მასწავლებელმა და ბიბლიოთეკარმა აღნიშნულ პროცესს ხელი აქტიურად არ შეუწყეს.

მასწავლებელსა და ბიბლიოთეკარს ამის მიღწევა შეუძლიათ შემდეგი აქტივობების დახმარებით:

- შესთავაზეთ მოსწავლეებს, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად შეარჩიონ წიგნები და სხვა რესურსები; პირადი ინტერესების გათვალისწინება და არჩევანის თავისუფლება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას;
- მიეცით მოსწავლებს ისეთი დავალებები, რომლებიც მრავალფეროვანი საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენებას გულისხმობს. ეს საშუალებას მისცემს განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ მოსწავლეებს, წარმატებით დაძლიონ შესასრულებელი სამუშაო;
- ჩართეთ ისინი საბიბლიოთეკო რესურსის შერჩევის პროცესში, ჩაატარეთ გამოკითხვა საბიბლიოთეკო მასალებთან დაკავშირებული სურვილების შესახებ; ამით

> **ბიბლიოთეკის პროექტების საუკეთესო მაგალითებია: წიგნების შესახებ სემინარების მოწყობა, არდადეგების განმავლობაში მოსწავლეთა ჩართვა საინტერესო სამუშაოებში, შემოქმედებითი კლუბების ჩამოყალიბება, კვლევითი ვებ-პროექტების მომზადება, წიგნის კვირეულების მოწყობა, ახალგაზრდა მკითხველთა კლუბების შექმნა და ა.შ.**

მათ პასუხიმგებლობას და ბიბლიოთეკის მიმართ ინტერესს გაუზრდით;

- მოსწავლეებს მიეცით საშუალება, ბიბლიოთეკის სივრცე გამოიყენონ ისეთი აქტივობებისთვის, როგორიც არის: დავალების ჯგუფურად შესრულება, რომელიმე საკითხზე დისკუსიის მოწყობა და პრეზენტაცია, შემოქმედებითი შეხვედრის მოწყობა და ა.შ. მსგავსი შესაძლებლობები ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას და უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას;
- ჩართეთ მოსწავლეები ბიბლიოთეკის ახალი რესურსების პრეზენტაციაში. ჰკითხეთ მათ, რომელი მასალის შესახებ სურთ პრეზენტაციის მომზადება; მათი დახმარებით მოაწყვეთ გამოფენები;

- მოამზადეთ პროექტები და პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლებას.

ბიბლიოთეკის პროექტების საუკეთესო მაგალითებია: წიგნების შესახებ სემინარების მოწყობა, არდადეგების განმავლობაში მოსწავლეთა ჩართვა საინტერესო სამუშაოებში, შემოქმედებითი კლუბების ჩამოყალიბება, კვლევითი ვებ-პროექტების მომზადება, წიგნის კვირეულების მოწყობა, ახალგაზრდა მკითხველთა კლუბების შექმნა და ა.შ.

> **ბიბლიოთეკა, მკითხველთან ურთიერთობისას, მომხმარებელთა ინფორმაციულ საჭიროებებს ადგენს, რაც მას საშუალებას აძლევს, მუდმივად განაახლოს საკუთარი ბეჭდური, აუდიო-ვიდეო თუ ელექტრონული რესურსები და მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მკითხველის მოთხოვნები.**

განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

წიგნების შესახებ სემინარების მოწყობა

წიგნების შესახებ სემინარების მოწყობა ძალიან კარგი სტიმულატორია, რომელიც უფროსი ასაკის მოსწავლეებს კითხვისადმი ინტერესს უმაღლებს. მოსწავლეები თავად არჩევენ მათთვის საიტერესო წიგნებს და მათი დამუშავების შემდეგ დისკუსიებს აწყობენ. დისკუსიის მოდერატორი შესაძლებელია იყოს როგორც მოსწავლე, ასევე ბიბლიოთეკარი ან მასწავლებელი.

ასეთი სემინარისთვის მოსწავლეები ინფორმაციას მხოლოდ კონკრეტულ სამეცნიერო ან მხატვრულ წიგნზე კი არ მოიძიებენ, არამედ ამავე ავტორის სხვა წიგნების და მსგავსი სამეცნიერო მიღწევებისა თუ აღმოჩენების შესახებაც. მოსწავლეები ამზადებენ სლაიდებს, სქემებს, წერენ მიმოხილვებს, შესაძლებლობის შემთხვევაში, ფილმიდან არჩევენ ნაწყვეტს, ამზადებენ კითხვარს და ა.შ.

შემოქმედებითი კლუბების ჩამოყალიბება

შემოქმედებით კლუბებში მოსწავლეებს საშუალება აქვთ, გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, რაც ხელს უწყობს მათ პიროვნულ აღიარებასა და თვითრეალიზების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ეს კი თანამედროვე საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბების ერთგვარი წინაპირობაა.

მსგავსი კლუბების ორგანიზებით ხდება მოსწავლეთა შემოქმედებითი ნაშრომების პრეზენტაცია, შეხვედრებისა და გამოფენების მოწყობა. გარდა ამისა, შესაძლებელია მოსწავლეებმა საინტერესო წიგნები შეარჩიონ და ილუსტრაციებით გააფორმონ, ან წინასწარ მიწოდებული სქემების საშუალებით თავად შექმნან ნაწარმოებები და კვლევითი ნაშრომები.

სადისკუსიო კლუბები

სადისკუსიო კლუბის მიზანია, მოსწავლებმა პრობლემური საკითხების განხილვის გამოცდილება მიიღონ და ისეთი მნიშვნელოვანი უნარები განივითარონ, როგორიც არის არგუმენტირებული მსჯელობა, სხვისი აზრის პატივისცემა, ემოციების მართვა და სხვ.

დისკუსიების დროს მოსწავლეები საინტერესო და აქტუალურ საკითხებს გამოყოფენ. გარდა ამისა, შესაძლებელია მათ თავად შეარჩიონ და მოიწვიონ მომხსენებლი, ვისთან ერთადაც დისკუსიას გამართავენ.

კვლევითი ვებ-პროექტები

კვლევითი ვებ-პროექტების მომზადებისას მოსწავლეები ირჩევენ აქტუალურ თემას, რომლის ირგვლივაც ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან იღებენ, ახარისხებენ და ამუშავებენ მას, შემდეგ კი ინტერნეტ სივრცეში – ბლოგზე ან ვებ-გვერდზე აქვეყნებენ. ბიბლიოთეკა საუკეთესო ნამუშევრების პრეზენტაციას აწყობს, რათა ისინი სასკოლო საზოგადოებას გააცნოს. გარდა ამისა, შესაძლებელია მასწავლებელმა ამგვარი პროექტები დამხმარე მასალად გამოიყენოს საგაკვეთილო პროცესში.

ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის

ანა ქებაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის სწავლების მიმართულებით არაერთი ნაბიჯი უკვე გადადგმულია, ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად კვლავ რჩება ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში, უკვე რამდენიმე წელია, ახორციელებს პროექტებს, რომლებიც კახეთში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენის შესწავლის ხელშეწყობას ითვალისწინებს. ახალი სასწავლო წლიდან კი, პრეზიდენტის ინიციატივით, ღონისძიებები, სამინისტროს ახალი სტრატეგიის ფარგლებში, უფრო მასშტაბური გახდება.

„ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ – ასე ეწოდება პროგრამას, რომელიც ამავე მიზნით ხორციელდება, თუმცა მასში ბევრად უფრო მეტი სპეციალისტია ჩართული, მიმართულებებიც მრავალფეროვანია და როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ ღონისძიებებს ითვალისწინებს. პროგრამის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში მხოლოდ ქართული ენის გაკვეთილები კი არ ჩატარდება, არამედ სხვა საგნების ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენაზე სწავლებისას ქართული ენის შესწავლაც იქნება უზრუნველყოფილი. ეს კი მულტილინგვური, ანუ მრავალენოვანი სწავლებით არის შესაძლებელი.

სწორედ მულტილინგვური განათლებაა პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება. მულტილინგვური სწავლებისას კლასში ორი ან მეტი ენა გამოიყენება. მშობლიურ ენაზე განათლების მიღება მოსწავლეებს საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობების სრულფასოვნად გამოვლენის საშუალებას აძლევს. ამავდროულად, ისინი ლინგვისტურ უნარებს იმ ენაზე ეუფლებიან, რომელიც მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. მულტილინგვური განათლების ძირითადი უპირატესობა ის არის, რომ იგი ხელს უწყობს ინტერკულტურული ჩვევებისა და ტოლერანტობის განვითარებას, რაც მრავალეთნიკურ ქვეყანაში მშვიდობიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას განაპირობებს.

მულტილინგვური სწავლება განათლების სისტემის (სკოლამდელი განათლებიდან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში, უკვე რამდენიმე წელია, ახორციელებს პროექტებს, რომლებიც კახეთში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენის შესწავლის ხელშეწყობას ითვალისწინებს.

პროფესიულ და უმაღლეს განათლებამდე) განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს და მან განათლების შემდგომ საფეხურზე მონაწილეთა წარმატებული გადასვლა უნდა უზრუნველყოს.

პროგრამის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ბაკალავრებისა და დოქტორანტების დასაქმება და ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის პროცესში ჩართვაა. „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ თითოეულ მათგანს საშუალებას აძლევს, ერთი წლის მანძილზე დაეხმაროს ეთნიკურ უმცირესობებს ქართული ენის შესწავლაში. პროგრამის მონაწილეები სხვადასხვა უპირატესობით ისარგებლებენ.

არაქართულენოვან სკოლებში, ქართული ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების მიზნით, განათლებისა და მეცნიერებ-

> „მულტილინგვური სწავლებისას კლასში ორი ან მეტი ენა გამოიყენება. მშობლიურ ენაზე განათლების მიღება მოსწავლეებს საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობების სრულფასოვნად გამოვლენის საშუალებას აძლევს.“

ბის სამინისტრო 2011-2012 სასწავლო წლიდან ბაკალავრის ხარისხის მქონე ასეულობით სპეციალისტს გაგზავნის. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მათგანს, სურვილის შემთხვევაში, სახელმწიფო მაგისტრატურაში სწავლის ხარჯებს სრულად დაუფინანსებს. ამასთანავე, არაქართულენოვან სკოლაში მუშაობისას პროგრამის მონაწილეები განსაზღვრულ ხელფასს მიიიღებენ. იქიდან გამომდინარე, რომ ბაკალავრებს სკოლაში მუშაობის დიდი გამოცდილება არ ექნებათ, სასწავლო წლის დაწყებამდე ისინი სპეციალურ, ერთკვირიან, ინტენსიურ კურსს გაივლიან და როგორც პედაგოგიკის ძირითად უნარ-ჩვევებს, ისე წყვილში მუშაობისა და ბილინგვური გაკვეთილის წარმართვის ტექნიკას შეისწავლიან. მონაწილეები ადგილობრივი მოსახლეობის ოჯახებში იცხოვრებენ და მათაც დაეხმარებიან ქართული ენის ცოდნის გაუმჯობესებაში. აღსანიშნავია, რომ მათი საქმიანობის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ნაწილს სკოლის შემდგომი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება წარმოადგენს. არაფორმალური აქტივობების ორგანიზებით უფრო მარტივად მოხდება ქართული ენით მოსწავლეთა დაინტერესება. ისინი სახელმწიფო ენას სახალისო მეთოდებით უფრო იოლად შეისწავლიან.

ბაკალავრების მსგავსად, პროგრამაში ჩართული დოქტორანტებიც გარკვეული უპირატესობებით ისარგებლებენ. თითოეული მათგანი განხორციელებული აქტივობებისთვის უნივერსიტეტის მხრიდან 5 სასწავლო კრედიტს მიიღებს. ისინი ჩაატარებენ მასწავლებელთა ტრენინგებს, მასტერკლასებს და ა.შ. პროგრამის მონაწილე დოქტორანტები რეგიონში გამგზავრებამდე სპეციალურ მომზადებას გაივლიან, რაც მათ ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას გაუადვილებს.

არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენის შესწავლის კიდევ ერთი საშუალება ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაა. სასწავლებელი საქართველოს ცენტრალურ და რეგიონალურ დონეებზე მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ, საჯარო მოხელეთათვის მუდმივი პროფესიული ზრდისა და განვითარებისათვის შესაბამისი მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამების შედგენასა და განხორციელებას უზრუნველყოფს. ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში ხორციელდება მენეჯმენტის, საქმისწარმოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მოკლევადიანი კურსები ადგილობრივ მმართველობებსა და თვითმართველობებში დასაქმებული საჯარო მოხელეებისათვის. ასევე, ტარდება გრძელვადიანი კურსები ქართული ენისა და ინგლისური ენის შესასწავლად.

2011 წლიდან კი ყურადღება განსაკუთრებულად მახვილდება არაქართულენოვან მასწავლებელთა და ადგილობრივ საჯარო მოხელეთა მიერ ქართული ენის შესწავლაზე.

პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ ახალი სახელძღვანელოების შექმნასაც გულისხმობს. 2011-2012 სასწავლო წლიდან არაქართულენოვანი სკოლების დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, ქართული ენა ახალი სახელმძღვანელოთი შეისწავლონ. სახელმძღვანელო თანამედროვე პედაგოგიკის პრინციპებს ეფუძნება,

რომლის ქვაკუთხედი ენის კომუნიკაციური სწავლებაა. კომუნიკაციურ-ინტერაქტიული მეთოდი მნიშვნელოვნად განსხვავდება ენის სწავლების ტრადიციული და გრამატიკულ-მთარგმნელობითი მიდგომებისაგან. სახელმძღვანელოების სერია ასევე გაითვალისწინებს იმ სოციოლინგვისტურ და ფსიქოლინგვისტურ ასპექტებსაც, რომლებიც ამ ასაკობრივი ჯგუფისათვის არის დამახასიათებელი. წიგნის თემატური ერთეულები და მათი თანამიმდევრობა მოსწავლეთა ინტერესებისა და საცხოვრებელ გარემოში, ყოფით სიტუაციებში მიმდინარე მოვლენების, საჭიროებების გათვალისწინებით განისაზღვრება.

> „პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ ახალი სახელძღვანელოების შექმნასაც გულისხმობს. 2011-2012 სასწავლო წლიდან არაქართულენოვანი სკოლების დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, ქართული ენა ახალი სახელმძღვანელოთი შეისწავლონ.“

გარდა ამისა, გაიზრდება ქართული ენის სახლების რაოდენობა და მათი მნიშვნელობაც. ასეთი სახლები ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში – სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში უკვე ფუნქციონირებს. 2011-2012 წლებში კი რვა ქართული ენის სახლი გაიხსნება, მათ შორის, სამსამი – სამცხე ჯავახეთსა და ქვემო ქართლში და ორი – კახეთში. ენის სახლი მსმენელთა რამდენიმე კატეგორიაზეა გათვლილი. ესენია: სკოლის დირექტორები და მასწავლებლები, საჯარო მოხელეები, აბიტურიენტები და სხვა დაინტერესებული პირები. ქართული ენის სახლებში სასწავლო პროცესი სპეციალურად შემუშავებული პროგრამის მიხედვით წარიმართება. მსმენელების დიფერენცირება მოხდება, ერთი მხრივ, ენის ფლობის დონის მიხედვით, რაც პრეტესტის ჩაბარების შედეგად დადგინდება, ხოლო, მეორე მხრივ, მათი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით. საწყის ეტაპზე ენის ფლობის ერთი დონის მქონე ყველა მსმენელი საერთო პროგრამას გაივლის, ხოლო შემდეგ სწავლას საკუთარი საქმიანობიდან და შესაბამისად, საჭიროებიდან გამომდინარე განაგრძობს.

მოსწავლეებს აგრეთვე საშუალება ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში, კონკურსებსა და სხვა არაფორმალურ აქტივობებში. ყოველივე ზემოაღნიშნულს კი ერთი მიზანი აქვს: საქართველოს ყველა მოქალაქეს განათლების, პიროვნული განვითარებისა და წარმატების თანაბარი შანსი ჰქონდეს.

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის
ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

160-ე სეზონი

22 სექტემბერი

საბალეტო სეზონის გახსნა

დასაწყისი 19.00 საათზე

25 სექტემბერი

ირჟი კილიანის ბალეტები:
Stepping Stones, Falling Angels, Sechs Tänze

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის პროგრამის ფარგლებში

დასაწყისი 20.00 საათზე

6 ოქტომბერი

ა. ადანი. „ჟიზელი“

ინგლისის ნაციონალური ბალეტის პრიმა-ბალერინას ელენე გლურჯიძის მონაწილეობით

დასაწყისი 19.00 საათზე

8 ოქტომბერი

ლ. მინკუსი. „დონ კიხოტი“

ინგლისის ნაციონალური ბალეტის პრიმა-ბალერინას ელენე გლურჯიძის მონაწილეობით

დასაწყისი 19.00 საათზე

9 ოქტომბერი

ლ. მინკუსი. „დონ კიხოტი“

სააბონემენტო წარმოდგენა

დასაწყისი 15.00 საათზე

22 ოქტომბერი

პ. ჩაიკოვსკი. „გედების ტბა“

პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილის მონაწილეობით

დასაწყისი 19.00 საათზე

23 ოქტომბერი

პ. ჩაიკოვსკი. „გედების ტბა“

სააბონემენტო წარმოდგენა

დასაწყისი 15.00 საათზე

სპექტაკლები გაიმართება ა. გრიბოედოვის სახელობის რუსულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში

ბილეთების დაჯავშნა და აბონემენტების შეძენა

ტელ: 293 11 06

„მაკმილანი“ – საქართველოში

ნინო რევიშვილი

თანამედროვე საზოგადოებაში ყველა აცნობიერებს, რომ ინგლისური ენის კარგად ცოდნა მოსწავლეს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების უკეთეს შესაძლებლობას აძლევს. გარდა ამისა, ინგლისური ენის მცოდნე ადამიანი საერთაშორისო შრომის ბაზარზე უფრო მეტად კონკურენტუნარიანია.

MACMILLAN ENGLISH

„მაკმილანის“ საგამომცემლო ჯგუფი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და პრესტიჟული საგამომცემლო ჯგუფია, რომელსაც 350-მდე წარმომადგენლობა აქვს მსოფლიოს 130 ქვეყანაში. ის გამოირჩევა მაღალი ხარისხის აკადემიური, სამეცნიერო, კვლევითი, საგანმანათლებლო პროდუქტებით.

2011 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საგანმანათლებლო გამომცემლობა „მაკმილანს“ შორის გაფორმდა ურთიერთშეთანხმების მემორადუმი, რის საფუძველზეც მიმდინარე წლის სექტემბრიდან საქართველოში მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ, ინგლისური ენა მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი გამომცემლობის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოებით შეისწავლონ.

ამიერკავკასიაში McMillan Education-ის ექსკლუზიური წარმომადგენლის, კომპანია English Book in Georgia-სა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ერთობლივი ძალისხმევით დაიგეგმა და მიმდინარეობს ტრენინგები, რომლებიც ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დასრულდება. მთელი საქართველოს მასშტაბით ტრენინგს ყველა სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი გაივლის და საბოლოო ჯამში, 4200 მასწავლებელი გადამზადდება. მიმდინარე წლის ივნისში გაიმართა სპეციალური კონფერენცია, რომლის დროსაც ბრიტანელმა ლინგვისტებმა ქართველ მასწავლებლებს ინგლისური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ლინგვისტიკის პრობლემურ თემებზე ვორქშოფები ჩაუტარეს. ეს კონფერენცია თანამედროვე ტექნოლოგიების სამყაროში ინგლისური ენის სწავლებას მიეძღვნა. მასში თბილისიდან და საქართველოს სხვა ქალაქებიდან 100-ზე მეტი პედაგოგი მონაწილეობდა.

საქართველოში „მაკმილანის“ საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად გამომცემლობის ერთ-ერთ დირექტორს, **ენდი პულს** ვესაუბრეთ. ის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებების ხელმძღვანელია.

რა მიზნებს ემსახურება და რა ტიპის საქმიანობას ეწევა „მაკმილანის“ გამომცემლობა?

„მაკმილანის“ საგამომცემლო ჯგუფი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და პრესტიჟული საგამომცემლო ჯგუფია, რომელსაც 350-მდე წარმომადგენლობა აქვს მსოფლიოს 130 ქვეყანაში. ის გამოირჩევა მაღალი ხარისხის აკადემიური, სამეცნიერო, კვლევითი, საგანმანათლებლო პროდუქტებით. მათ შორისაა როგორც სამეცნიერო ჟურნალები, ასევე სხვა ტიპის არამხატვრული ლიტერატურაც: საგანმანათლებლო კურსების მასალა, უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებისათვის შემუშავებული ლექსიკონები, აკადემიური მონოგრაფიები და ა.შ.

„მაკმილანის“ გამომცემლობა 1843 წელს ორმა შოტლანდიელმა ძმამ დააარსა. მას შთამბეჭდავი ისტორია აქვს. სწორედ „მაკმილანმა“ გამოსცა პირველად მრავალი ცნობილი ავტორის წიგნი, მათ შორის ლუის კეროლის „ალისა საოცებათა ქვეყანაში“ და რადიარდ კიპლინგის მოთხრობების კრებული

„ჯუნგლების წიგნი“. უკვე მე-19 საუკუნეში „მაკმილანი“ გაერთიანებულ სამეფოში ცნობილი გამომცემლობა გახლდათ და უცხო ქვეყნებში გასავრცელებლად ინგლისელი მწერლების წიგნების ადაპტირებაზეც მუშაობდა. გამომცემლობამ საქმიანობა გასული საუკუნის 60-იან და 70-იან წლებში გააფართოვა, როდესაც მას სათავეში ჰაროლდ მაკმილანი – ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი (1957-63) და კომპანიის დამფუძნებლის შვილიშვილი ჩაუდგა.

დღეს „მაკმილანი“ ინგლისური ენის სახელმძღვანელოებს გამოსცემს, აგრეთვე სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებს მასალას ციფრულ და ონლაინ ფორმატებშიც სთავაზობს.

გამომცემლობა ისეთ საგანმანათლებლო მომსახურებებსაც უზრუნველყოფს, როგორიცაა მასწავლებელთა ტრენინგები და ონლაინ სწავლება. „მაკმილანის“ მიზანი ინგლისური ენის სწავლების ხელშეწყობაა. ის მიესალმება იმ ახალ ინიციატივებს, რომლებსაც საქართველო ინგლისური ენის სწავლების მიმართულებით ახორციელებს.

რა გამოცდილება აქვს თქვენს გამომცემლობას? რომელ ქვეყნებში ასწავლიან „მაკმილანის“ სასწავლო მასალის მიხედვით? რა შედეგებს მიაღწიეთ ინგლისური ენის სწავლების მხრივ?

ჩვენი საგანმანათლებლო სახელმძღვანელოები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოიყენება. McMillan Education მრავალი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელია, მათ შორის ისეთი ჯილდოების, როგორიცაა: ინგლისურენოვანი ქვეყნების კავშირის (English Speaking Union (ESU)) ინგლისური ენის წიგნის ჯილდო (2004 და 2010 წ.წ.), ინგლისურენოვანი ქვეყნების კავშირის პრეზიდენტის ჯილდო (2010 წ.), ინგლისურენოვანი ქვეყნების კავშირის მასწავლებელთათვის შექმნილი საუკეთესო რესურსების ჯილდო (2010 წ.) და ა.შ.

„მაკმილანის“ წარმომადგენლობა განსაკუთრებით ძლიერია ესპანეთში, ლათინურ ამერიკაში, ინდოეთში, შუა აზიაში, პოლონეთსა და რუსეთში. როგორც მოგახსენეთ, საგამომცემლო საქმიანობას მე-19 საუკუნიდან ვეწევით, თუმცა 21-ე საუკუნეში სახელი გავითქვით, როგორც ინოვატორმა ორგანიზაციამ, რომელიც უცხო ენის სწავლებისას სხვადასხვა თანამედროვე ტექნოლოგიას იყენებს.

2011 წელს 10 წელი შეუსრულდება ჩვენს ვებ-გვერდს *http://www.onestopenglish.com*, რომელიც ინგლისური ენის მასწავლებლებისათვის ყველაზე პოპულარული ონლაინ რესურსია. 2012 წელს კი 10 წელი შეუსრულდება „მაკმილანის“ ინგლისურის კამპუსს (*Macmillan English Campus*) – პირველ ონლაინ ვირტუალურ სასწავლო გარემოს (*virtual learning environment (VLE)).*

ბეჭდური სახელმძღვანელოების გარდა, აქვს თუ არა გამომცემლობას ისეთი რესურსები, რომელთა მიხედვითაც მიმდინარეობს სწავლება?

„მაკმილანს“ შემუშავებული აქვს სპეციალური საკომუნიკაციო კურსი *English World*, რომლის სწავლებაც მასწავლებლისათვის ადვილია, ხოლო მოსწავლისათვის – სახალისო. მისი მიზანია, მასწავლებლები უზრუნველყოს იმ საშუალებებით, რომლებიც სწავლებას წარმატებულს გახდის და ამავე დროს ნებისმიერი მოსწავლის საჭიროებებს დააკმაყოფილებს. ეს კურსი საშუალებას იძლევა, მოსწავლემ დამოუკიდებლად წარმართოს სწავლების პროცესი პორტფოლიოების, სპეციალური პროექტებისა და ლექსიკონების გამოყენებით. აღნიშნული კურსი საერთო ევროპული ჩარჩოს (Common European Framework of Reference (CEFR)) რეკომენდაციებს ეფუძნება.

რა ღონისძიებების დაგეგმვას აპირებთ იმისათვის, რომ „მაკმილანის“ ახალი სახელმძღვანელო ქართულ განათლების სისტემას მოერგოს?

„მაკმილანი“ აცნობიერებს, რომ სკოლაში ახალი სახელმძღვანელოს შეტანა მნიშვნელოვანი მოვლენაა და ამ პროცესს საფუძვლიანი მომზადება სჭირდება. სწორედ ამიტომ სპეციალური ტრენინ-

ქართველი მასწავლებლები ძალიან ბევრს მუშაობენ იმისათვის, რომ ინგლისური ენა მაქსიმალურად ეფექტურად ასწავლონ. ამასთან, ინგლისურის სწავლება სახელმწიფო პრიორიტეტია.

გი უტარდება ყველა მასწავლებელს, რომელიც მომავალში „მაკმილანის“ მასალით ასწავლის. ტრენინგების დროს მასწავლებლები ინგლისური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდებს ეცნობიან. ტრენინგებს გამომცემლობის ექსპერტები და სახელმძღვანელოს ავტორები ატარებენ. მონაწილეებს შესაძლებლობა აქვთ, დასვან მათთვის საინტერესო შეკითხვები და მიიღონ რეკომენდაციები.

ჩვენ შევარჩიეთ 11 ინგლისურენოვანი ტრენერი, რომლებიც მაღალი პროფესიონალიზმითა და დიდი გამოცდილებით გამოირჩევიან. მთავარ

ტრენერად შეირჩა ტერეზა დოგუელი, რამდენადაც მის პროფესიულ ცოდნას საქართველოში მუშაობის დიდი ხნის გამოცდილება ემატება. მისი მოვალეობაა, დაეხმაროს სხვა ტრენერებს ქართული საგანმანათლებლო სივრცისა და ქართველი პედაგოგებისთვის პრობლემური, პროფესიული საკითხების გაცნობაში.

ამასთანავე, „მაკმილანს“ შემუშავებული აქვს სპეციალური სატრენინგო პროგრამა დაწყებითი კლასების მასწავლებლებისათვის. გამომცემლობა დაწყებითი კლასების მოსწავლეებს მრავალფეროვან მასალებს სთავაზობს.

სწავლების მეთოდოლოგია სახალისო დავალებების დახმარებით მოსწავლეთა წახალისებასა და მოტივირებაზეა ორიენტირებული. მსგავსი ტიპის სწავლება დაწყებით კლასებში მოსწავლეს თავდაჯერებულობას მატებს, წარმოსახვას უვითარებს და უცხო ენისადმი ინტერესს უღვივებს.

„მაკმილანის“ სახელმძღვანელო მოიცავს სახალისო ილუსტრაციებსა და ისტორიებს, რომლებიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეების ჩართულობასა და აქტიურობას.

როგორც კი ზაფხულის ტრენინგები დასრულდება, ჩაატარდება მონიტორინგი იმის გასარკვევად, თუ როგორ გამოიყენება „მაკმილანის“ სახელმძღვანელო *English World* ქართულ სკოლებში. ამასთანავე, გამომცემლობა დამატებით ვიდეო ტრენინგებს მოაწყობს ინგლისური ენის სწავლების გაუმჯობესების მიზნით.

ახლავს თუ არა „მაკმილანის“ სახელმძღვანელოებს დამატებითი წიგნი მასწავლებლებისათვის?

„მაკმილანის“ მოსწავლეებისა და სავარჯიშოების წიგნი ყველა მოსწავლეს გადაეცემა. გარდა ამისა, ყველა მასწავლებელი მიიღებს როგორც შესაბამისი დონის მოსწავლისა და სავარჯიშოების წიგნებს, ასევე აუდიო დისკსა და მასწავლებლის წიგნს, რომელიც ვრცელ შენიშვნებსა და მითითებებს შეიცავს. ამასთან, თითოეული სკოლა მიიღებს სპეციალური საგანმანათლებლო პლაკატების კომპლექტს, ფლეშ-კარდების ელექტრონულ ფაილებს, რომელთა ამობეჭდვაც შესაძლებელი იქნება და არაჩვეულებრივ *DVD-ROM*-ს, რომელიც მოიცავს მრავალფეროვან დამატებით რესურსს მასწავლებლისათვის (სპეციალური ფილმი კლასში მასალის გამოყენებასთან დაკავშირებით, ელექტრონული ტესტის გენერატორი, ვიდეოები, სიმღერები და სხვ.) „მაკმილანი“ მასწავლებლებს ისეთი სასწავლო მასალითაც უზრუნველყოფს, რომლის საშუალებითაც მათ გაუადვილდებათ ინგლისური ანბანის სწავლება დამწყები მოსწავლეებისათვის.

ინგლისური ენის სწავლების გასაუმჯობესებლად რას ურჩევდით ინგლისური ენის ქართველ მასწავლებლებს?

ქართველი მასწავლებლები ძალიან ბევრს მუშაობენ იმისათვის, რომ ინგლისური ენა მაქსიმალურად ეფექტურად ასწავლონ. ამასთან, ინგლისურის სწავლება სახელმწიფო პრიორიტეტია, რაც თითოეულ მათგანს დიდ პასუხისმგებლობას აკისებს. მინდა, ქართველ მასწავლებლებს ვუთხრა, რომ ამ პასუხიმგებლობის ღირსეულად შესასრულებაში მათ „მაკმილანიც“ დაეხმარება.

სამოქალაქო განათლების შუქ-ჩრდილები



ნუგზარ ბარდაველიძე

სამოქალაქო განათლებას, სამოქალაქო ცნობიერების დანერგვასა და განმტკიცებას საკმაოდ რთული გზის გავლა მოუხდა, სანამ თანამედროვე საზოგადოებრივი ცნობიერების შემადგენელ ნაწილად იქცეოდა. იგი ჭეშმარიტად დასავლურ სულიერ ფასეულობას წარმოადგენს. ევროპაში სამოქალაქო საზოგადოებისათვის ბრძოლა შუა საუკუნეებში დაიწყო. იმ ეპოქაში ის ყველა სფეროში ვლინდებოდა: სახელმწიფო პოლიტიკაში – XIII საუკუნის „თავისუფლების დიდი ქარტიის", სამართალში – „Habemus Cospus"-ის, ეკლესიაში – XVI საუკუნის რეფორმაცია-კონტრრეფორმაციის, ხოლო კულტურაში – განმანათლებლობის იდეების სახით. წინააღმდეგობებით აღსავსე გზის გავლის შემდეგ, დღეს, ევროპაში სამოქალაქო საზოგადოება თანდათან ყალიბდება. ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობა დასავლური კულტურის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს და მის გარეშე ვერც ტექნიკური პროგრესი და ვერც ფინანსური წარმატებები ევროპაში ინტეგრირების გარანტია ვერ იქნება.

დასავლურ ცნობიერებაში დამკვიდრებული ადამიანის უფლებების დაცვა, დემოკრატიული, ლიბერალური, სეკულარული და პლურალისტური მსოფლმხედველობა XX საუკუნიდან უკვე იდეოლოგიური ექსპორტის საგანი ხდება. ფაქტობრივად, გასული საუკუნის ბოლო მეოთხედის განმავლობაში დასავლური სამყარო პოსტტოტალიტარულ სამყაროში სამოქალაქო ცნობიერების ნებაყოფლობით ჩამოყალიბებას ცდილობდა. უნდა ითქვას, რომ ამ კუთხით მან საკმაოდ დიდ წარმატებებსაც მიაღწია აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურ სივრცეში. მართალია, ზოგს თავის მოწონება უყვარს ჩვენი სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი ისტორიით და თანამედროვე დასავლური გამოცდილების დანერგვას ზოგჯერ უკმაყოფილო წუწუნიც ერთვის, მაგრამ ფაქტია: ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო განათლება სათავეს მხოლოდ გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან იღებს.

საქართველოს თანამედროვე სახელმწიფოს ისტორია ორ ათეულ წელს ითვლის. აქედან რეალური ნაბიჯები სამოქალაქო საზოგადოების შესაქმნელად მხოლოდ ბოლო რამდენიმე წელში განხორციელდა. თუ საერთო სურათს გავაანალიზებთ, ვნახავთ, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება საკმაოდ კარგი ტემპით მიმდინარეობს. ყველაზე მნიშვნელოვანი განათლების სისტემაში დაწყებული რეფორმაა, რომლის ნაწილსაც საჯარო სკოლებში სამოქალაქო განათლების სწავლება შეადგენს.

სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების კუთხით, მოზარდი, კლასი ან თუნდაც სკოლა დამოუკიდებლად ვერ განვითარდება. სამოქალაქო – ეს კრებითი ცნება. გავიხსენოთ, როგორ ყალიბდებოდა პირველ ქრისტიანთა

> „თანამედროვე სკოლა იმ ადგილს წარმოადგენს, სადაც ახალი თაობა ყალიბდება და ამ პროცესში სწავლებაზე უფრო მნიშვნელოვანი მოზარდის აღზრდაა."

ერთობა საკრებულოდ (ეკლესია) და როგორ დადებით სოციალურ გავლენას ახდენდნენ ერთმანეთზე პირველი საკრებულოების წევრები. ეს მოხალისეობის, უანგარო დახმარებისა და სოლიდარობის სულისკვეთებით გაჯერებული თავისებური სამოქალაქო აღზრდა იყო. ამ საკრებულოებმა, ფაქტობრივად, რომის იმპერიის მოსახლეობის სამოქალაქო ზნეობა შეცვალეს და ის უფრო კაცთმოყვარე გახადეს. თავისებურ სამოქალაქო აღზრდად გვესახება ნათლობის მსურველ კათაკმევლთა წლების მანძილზე მზადებაც (აქ იგულისხმება როგორც სწავლა, ასევე აღზრდა), რათა ისინი ქრისტიანული საკრებულოს წევრები გამხდარიყვნენ.

თანამედროვე სკოლა იმ ადგილს წარმოადგენს, სადაც ახალი თაობა ყალიბდება და ამ პროცესში სწავლებაზე უფრო მნიშვნელოვანი მოზარდის აღზრდაა. ამერიკელმა მეცნიერმა,

> „სამოქალაქო განათლების პედაგოგთათვის ქართულ ენაზე 29 დამხმარე სახელმძღვანელოა ნათარგმნი და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული. რაც მთავარია, ყველა წიგნის ელექტრონული ვერსია ინტერნეტშია განთავსებული.“

ჯ. ეპშტეინმა ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება საგანმანათლებლო, ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური მიდგომების ერთობლიობას, მოზარდში პარტნიორობისა და სოლიდარობის გრძნობების გამომუშავებას. დღეს ეს მეთოდოლოგია მრავალი ქვეყნის სასწავლო სისტემებში წარმატებით ხორციელდება.

საზოგადოების ცნობიერება მუდმივად იცვლება, ვითარდება. მაგალითად, აშშ-ში 40-იანი წლების ბოლოს მიიღეს ფედერალური კანონი სეგრაგაციის აკრძალვის შესახებ. მას შემდეგ კანონმდებლობა არ შეცვლილა, მაგრამ რადიკალურად შეიცვალა ამერიკელთა ცნობიერება. 80-ანი წლებისათვის ამერიკელთა ყოფაში თითქმის მთლიანად აღმოიფხვრა რასიზმი და ანტისემიტიზმი. 30-იანი წლების გამოკითხვით, თეთრკანიანი ამერიკელები უფრო მეტ სიმპატიას ამჟღავნებდნენ ევროპელების მიმართ, ვიდრე აფრო-ამერიკელების მიმართ. 90-იან წლებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა კი აჩვენა, რომ თეთრკანიანი და აფრო-ამერიკელი მოქალაქეები ბევრად უფრო კარგად უგებენ ერთმანეთს, ვიდრე ჩრდილოეთ ევროპის განვითარებული ქვეყნებიდან ემიგრირებულები.

ცნობიერების ეს საფუძვლიანი ცვლილება – თეთრკანიან და ფერადკანიან ამერიკელთა დაახლოება ერთიანი ერის ჩამოყალიბების, ამერიკელთა საზოგადოებრივი ერთიანობის განმტკიცების ნიშანია. ამაში მედიასთან, კინემატოგრაფთან ერთად, ცხადია, საკუთარი წვლილი სასკოლო პროგრამებმაც შეიტანა. მაგალითად, ჰარიეტ ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი“, რომელსაც თვით აბრაამ ლინკოლნმა მისცა დიდი შეფასება, ბოლო ათწლეულებში სახელმძღვანელოებიდან ამოიღეს, რადგან ის რასობრივ ჩაგვრას ახსენებდა ამერიკელებს და ხელს არ უწყობდა სხვადასხვა რასის მოქალაქეთა ერთიანობას. ამ პრინციპით, შესაძლებელია ალექსანდრე ყაზბეგის ზოგიერთ ნაწარმოებში ოსების მიმართ მოყვანილი გამონათქვამები ეთნიკური შუღლის გამოხატულებად ჩაითვალოს.

სკოლებში სამოქალაქო განათლების უნარ-ჩვევების დანერგვის საუკეთესო მაგალითს

შვეიცარიის სკოლებში მოსწავლეთა თვითმართველობების აქტივობები წარმოადგენს. შვეიცარიელი მოსწავლეები, კანტონების დონეზე, სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში, საკანონმდებლო ხელისუფლების მუშაობაში არიან ჩართული. ისინი ადრეული ასაკიდანვე ეჩვევიან დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს, ეთნიკური და კონფესიური განსხვავებების დაძლევას.

მოსწავლეთა თვითმართველობები საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ მოზარდებმა დემოკრატიის ანბანი აითვისონ, რათა შემდეგ აქტიურად ჩაებან დემოკრატიულ პროცესებში. საქართველოში მოსწავლეთა თვითმართველობები, ისევე, როგორც უმაღლეს სკოლებში სტუდენტური თვითმმართველობები, ყოველ სასწავლო დაწესებულებაში არსებობს. სხვა საკითხია, რამდენად კომპეტენტური და ქმედითია ეს გაერთიანებები. თვითმართველობის ქმედითუნარიანობა და კომპეტენტურობა, უპირველესად, მისი წევრების უნარებსა და ზნეობრივ კრიტერიუმებზეა დამოკიდებული.

> მოსწავლეთა თვითმართველობები საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ მოზარდებმა დემოკრატიის ანბანი აითვისონ, რათა შემდეგ აქტიურად ჩაებან დემოკრატიულ პროცესებში.

სამოქალაქო განათლება ყველა სკოლაში ისწავლება, მაგრამ აქ ერთი პრობლემა იჩენს თავს: მასწავლებელი. ვინ უნდა ასწავლოს ეს საგანი? მან, ვისაც საათები დააკლდა, თუ მან, ვისაც მართლაც აწუხებს მომავალი საზოგადოების ფორმირების ბედი? პედაგოგთა ფორუმებზე ხშირად დასმულა ეს საკითხი: ვინ უნდა ასწავლოს სამოქალაქო განათლება – ისტორიის, გეოგრაფიის თუ ლიტერატურის პედაგოგმა? ვფიქრობ, პასუხი ცალსახაა: საგნობრივ კვალიფიკაციას მნიშვნელობა არა აქვს, სამოქალაქო განათლება უნდა ასწავლოს იმან, ვინც თავად არის სამოქალაქო ცნობიერების მქონე და შესაბამისი იდეების გამტარებელი.

სამოქალაქო განათლების პედაგოგთათვის ქართულ ენაზე 29 დამხმარე სახელმძღვანელოა ნათარგმნი და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული. რაც მთავარია, ყველა წიგნის ელექტრონული ვერსია ინტერნეტშია განთავსებული. ამ დამხმარე სახელმძღვანელოთა გაცნობა და სწავლების პროცესში მათი მიზანდასახულად გამოყენება ბევრად აამაღლებს სწავლების ხარისხს და მოსწავლეთა ინტერესსაც გაზრდის. შედეგი, რომელსაც მომავალში მივიღებთ, ბევრად უფრო ფასეული იქნება, ვიდრე ეს დღეს წარმოგვიდგენია.

სამოქალაქო განათლების მიზანია, შეცვალოს ადამიანების დამოკიდებულება ერთმანეთის, საზოგადოების, გარემოს, მთელი სამყაროს მიმართ, გახადოს პიროვნება უფრო ტოლერანტული, სოლიდარული, პატივისმცემელი ადამიანებისა და ბუნებისადმი. უმთავრესი ქრისტიანული სათნოებაც ხომ ეს არის: გვიყვარდეს ადამიანი. თანამედროვე სამყაროს გამოწვევები კი გვკარნახობს, რომ მოქალაქემ, საზოგადოებასთან ერთად, ეკოსისტემაზე, ბუნებაზეც ისეთივე პასუხისმგებლობით უნდა იზრუნოს, როგორც მოყვასზე.

ტექნოლოგიები და განათლება ამერიკაში

ეკა ჯელაძე

ამერიკის შეერთებული შტატების განათლების პოლიტიკის გრძელვადიანი მიზანია, 2020 წლისთვის კოლეჯდამთავრებული სტუდენტების ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი ჰყავდეს მსოფლიოში.



ამერიკელები, სწავლების შედეგების გასაუმჯობესებლად, განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებს სისტემატურად ანახლებენ. თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით, ისინი დროის, ფინანსებისა და ადამიანური რესურსის ეფექტურად გამოყენებას გეგმავენ.

მნიშვნელოვან ამოცანად რჩება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით აღჭურვა, რათა ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი სასწავლო რესურსებზე.

მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურასა და ჩამოყალიბებულ საგანმანათლებლო სტრუქტურას სამი ძირითადი მიმართულება ეყრდნობა:

- **სწავლა** – იგულისხმება ყველა მოსწავლისათვის მამოტივირებელი სასწავლო გარემოს შექმნა, როგორც სკოლის შიგნით, ასევე მის გარეთ;
- **სწავლება** – იგულისხმება ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად მასწავლებლების პროფესიული მხარდაჭერა, რათა მათ ტექნოლოგიების საშუალებით მუდმივად მიუწვდებოდეთ ხელი საგანმანათლებლო შინაარსზე, მრავალფეროვან სასწავლო რესურსზე; ჰქონდეთ ექსპერტებთან და კოლეგებთან ურთიერთობის საშუალება;
- **შეფასება** – განათლების სისტემა ყველა საფეხურზე გეგმაზომიერად იყენებს ტექნოლოგიებს მიღწევების გასაზომად, სწავლების პროცესისა და განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინფრასტრუქტურა

სკოლების ტექნიკური აღჭურვილობა განსხვავებულია შტატებისა და სასკოლო ოლქების მიხედვით, როგორც მოსწავლეებისა და კომპიუტერების რაოდენობრივი თანაფარდობის, ასევე გამოყენებული ტექნოლოგიების მრავალფეროვნებითაც. სკოლა ან სასკოლო ოლქი თავად წყვეტს, რა რაოდენობით და რა ტიპის ტექნოლოგია სჭირდება განათლების უკეთესი ხარისხის მისაღწევად; ადგენს პროექტს შესაბამისი მიზნებითა და მისაღწევი შედეგებით და განათლების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობს. განათლების დეპარტამენტი იმ სასკოლო ოლქების ტექნიკურ აღჭურვას აფინანსებს,

რომლებიც სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ინტეგრირების ყველაზე რეალისტურ პროექტებს წარადგენენ.

სხვადასხვა შტატში შეგხვდებათ სკოლები, რომლებიც აღჭურვილია: ტაბლეტებით, ნეტბუკებით, ნოუთბუკებით, პერსონალური კომპიუტერებით, სმარტბორდებით. შესაძლოა კლასში მხოლოდ 3-4 კომპიუტერი იდგეს, რომლებსაც მასწავლებელი ჯგუფური მუშაობისას იყენებს, ან თითო მოსწავლეზე თითო კომპიუტერი იყოს გათვლილი – ელექტრონული სწავლებისთვის. როგორც განათლების სპეციალისტები აღნიშნავენ, იმისათვის, რომ ტექნოლოგიების გამოყენება გაკვეთილის განუყოფელი ნაწილი გახდეს, სჯობს, სკოლამ კომპიუტერები საკლასო ოთახებში გადაანაწილოს და მათ ერთ კომპიუტერულ ლაბორატორიაში არ მოუყაროს თავი.

ყველა სკოლისთვის უცვლელი პირობა სკოლის ბიბლიოთეკის კომპიუტერებით აღჭურვაა. ბიბლიოთეკა ერთ-ერთი ყველაზე საქმიანი ადგილია, სადაც დღის განმავლობაში მოსწავლეები სასწავლო პროექტებზე ჯგუფურად ან ინდივიდუალურად მუშაობენ. ბეჭდურ მასალებთან ერთად, ისინი განსაკუთრებული ინტენსივობით ელექტრონულ მასალებს იყენებენ. სკოლის კომპიუტერები სხვადასხვა ქსელშია ჩართული, ამდენად, მოსწავლეებს მუდმივად მიუწვდებათ ხელი საგანმანათლებლო და სამეცნიერო რესურსებსა თუ პერიოდულ გამოცემებზე. სკოლის ბიბლიოთეკარი ინფორმაციას იღებს მასწავლებლისგან იმის შესახებ, თუ რომელი კლასის მოსწავლეები რა თემაზე მუშაობენ. შესაბამისად, სასწავლო პროექტების მომზადებისას, ის მათ ელექ-

> ამერიკელები, სწავლების შედეგების გასაუმჯობესებლად, განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებს სისტემატურად ანახლებენ. თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით, ისინი დროის, ფინანსებისა და ადამიანური რესურსის ეფექტურად გამოყენებას გეგმავენ.

ტრონული თუ ბეჭდური მასალების მოძიებაში ეხმარება.

ელექტრონული სასწავლო რესურსი

ელექტრონული სწავლების წარმატების მთავარ პირობად ამერიკელებს მასწავლებლების და მოსწავლეების მრავალფეროვანი ელექტრონული სასწავლო რესურსით უზრუნველყოფა მიაჩნიათ. უნივერსიტეტები და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები, ტექნიკურ კომპანიებთან თანამშრომლობით, ინტენსიურად ქმნიან ახალ ელექტრონულ საგანმანთლებლო რესურსებს (თამაშები, ინტერაქტიური ვიდეოები); ასევე მათ ციფრულ ფორმატში გადაყავთ ბეჭდური თუ სხვა სახის რესურსები. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი კონგრესის ბიბლიოთეკაა.

ეს ბიბლიოთეკა 1800 წელს დაარსდა – ძირითადად, ისეთი წიგნების თავმოსაყრელად, რომლებიც კონგრესის მუშაობისთვის იყო საჭირო. თუმცა დღეს ის არა მარტო ამერიკის, არამედ მსოფლიოს უმდიდრეს ბიბილიოთეკად ითვლება. უამრავ სასწავლო აქტივობასა და სერვისს შორის, რასაც ბიბლიოთეკა დაინტერესებულ პირებს სთავაზობს, არის ონლაინ სასწავლო რესურსები მასწავლებლებისთვის (*loc.gov/teachers*). აღნიშნული ვებ-გვერდი მასწავლებლებს უფასოდ სთავაზობს პროფესიული განვითარების კურსს (როგორ ასწავლონ მოსწავლეებს წყაროებთან მუშაობა, მათი ანალიზი და შეფასება; კვლევის რომელი სტრატეგიები გამოიყენონ სწავლებისას მოსწავლეებში კრიტიკული და ანალიზის უნარების გასავითარებლად). მასწავლებელი თავად ირჩევს 15 მოდულიდან სასურველ მოდულებს (მაგ., ფოტოს ანალიზი, რუკის ანალიზი, წყაროების დაკავშირება და ა.შ.) და პროფესიული განვითარების ინდივიდუალურ კურსს ქმნის, რომლის გავლაც ონლაინ რეჟიმში შეუძლია. ვებ-გვერდზეევა მოცემული: წყაროების ციფრული საცავი, მზა პრეზენტაციები, სასწავლო აქტივობები და გაკვეთილის

„ვინაიდან მედია-ელემენტებით გამდიდრებულ გარემოს 21-ე საუკუნის მოსწავლეები ბუნებრივად აღიქვამენ, ამერიკელები ცდილობენ, გონივრულად გამოიყენონ ეს შესაძლებლობა ისეთ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორიცაა, მაგალითად, მუზეუმები.“

გეგმები საკლასო ოთახში გამოსაყენებლად.

ვინაიდან მედია-ელემენტებით გამდიდრებულ გარემოს 21-ე საუკუნის მოსწავლეები ბუნებრივად აღიქვამენ, ამერიკელები ცდილობენ, გონივრულად გამოიყენონ ეს შესაძლებლობა ისეთ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორიცაა, მაგალითად, მუზეუმები. ამერიკის პირველი პრეზიდენტის, ჯორჯ ვაშინგტონის სახლ-მუზეუმის „მაუნთ ვერნონის“ საგანმანათლებლო ცენტრი http://www.georgewashingtonwired.org/ სკოლებს სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებისთვის სთავაზობს სასწავლო პროგრამებს ჯორჯ ვაშინგტონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ეს პროგრამები ეროვნულ სასწავლო გეგმას სრულად შეესაბამება. მასწავლებლებს შეუძლიათ მათი გამოყენება ისტორიის, სამოქალაქო განათლების, ეკონომიკის, გეოგრაფიის, სოციალური მეცნიერებებისა და მათემატიკის სწავლებისას. საგანმანათლებლო ცენტრი, ვებ-გვერდის საშუალებით, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სხვადასხვა კონკურსში, დისტანციურ კურსსა თუ ვიდეოკონფერენციაში მონაწილეობის საშუალებას აძლევს. დაწყებითი კლასის მოსწავლეები ვიდეკონფერენციით ერთვებიან მაუნთ ვერნონის მუზეუმში, სადაც ჯორჯ ვაშინგტონის ოჯახისა და გარემოცვის იმიტირებული წევრები მნიშვნელოვან ისტორიულ სცენებს აცოცხლებენ, ან უბრალოდ, ჰყვებიან ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ეპიზოდებს პირველი პრეზიდენტის ცხოვრებიდან.

მასწავლებლები საგანმანათლებლო მიზნებისთვის აქტიურად იყენებენ სატელევიზიო ვიდეოებსაც. რამდენიმე წლის წინ მასწავლებელთა ტრენინგების ეროვნულმა ინსტიტუტმა, წამყვან საზოგადოებრივ მედიასთან – Thirteen /WNET New York-თან თანამშრომლობით, საკლასო ოთახში საგანმანათლებლო შინაარსის მქონე ვიდეოების ინტერაქტიურ სასწავლო რესურსად გამოყენების პრაქტიკის დანერგვა დაიწყო. განათლების სფეროს ექსპერტები და პრაქტიკოსი მასწავლებლები საკლასო პროექტებსა და საგაკვეთილო გეგმებს სატელევიზიო ვიდეოების გამოყენებით ქმნიან (მაგალითად, სამეცნიერო დოკუმენტური ფილმები და სიუჟეტები, ცნობილ ლიტერატურულ ნაწარმოებზე შექმნილი თეატრალური წარმოდგენები და ა.შ.). ისინი საკუთარ პროექტებსა და სასწავლო გეგმებს ვებ-გვერდ http://www.thirteen.org/edonline/-ზე ათავსებენ. აღსანიშნავია, რომ მათ თან ახლავს ყველა ის რესურსი, რაც მასწავლებელს ამ პროექტების განსახორციელებლად სჭირდება. მას უფასოდ შეუძლია ჩამოტვირთოს ეს რესურსები და საკლასო ოთახში გამოიყენოს. მასწავლებელთა ტრენინგების ეროვნული ინსტიტუტი ონლაინ სამუშაო შეხვედრებს და ყოველწლიურ კონფერენციებსაც აწყობს, სადაც მასწავლებლებს საშუალება აქვთ, ექსპერტებსა და განათლების სპეციალისტებთან ერთად იმსჯელონ სასწავლო პროცესში მედია-ელემენტების გამოყენების ეფექტურ სტრატეგიებზე.

მასწავლებლები ტექნოლოგიებს კლასის მართვის ეფექტურ ინსტრუმენტადაც იყენებენ. ამის კარგი მაგალითია „ედმოდოს“ (http://www.edmodo.com/) უფასო პროგრამული უზრუნველყოფა. მასწავლებელი ვებ-გვერდზე რეგისტრირდება და იღებს კოდს, რომლითაც მის მოსწავლეებს ვირტუალურ კლასში გაწევრიანება შეუძლიათ. ის „ედმოდოს“ უსაფრთხო გარემოში ათავსებს ყველა სასწავლო რესურსს, რომელიც გაკვეთილის მსვლელობისას გამოიყენა (ინტერნეტ-ბმულები სასწავლო რესურსზე, პრეზენტაცია, აუდიო-ვიდეო მასალა). ამგვარად, მასწავლებელი სასწავლო რესურსების პირად ბიბლიოთეკას ქმნის, რომლის გამოყენება მას მომავალ წლებშიც შეუძლია. ამასთანავე, ის ვირტუალურ კლასში მოსწავლეებს მნიშვნელოვან თარიღებს უზიარებს (მაგ., სასწავლო პროექტის ჩაბარების ბოლო ვადას) და მათ იმ დავალებას აძლევს, რომელსაც ისინი ამავე ვირტუალურ სივრცეში განათავსებენ.

ამ პროგრამის საშუალებით შესაძლებელია ელექტრონული ჟურნალის შექმნა, მოსწავლეთა შეფასების დახურულ სივრცეში განთავსება ან საჭიროების შემთხვევაში, ექსელის ფაილში ექსპორტირება, აგრეთვე, დისკუსიების გამართვა და ჯგუფური მუშაობა. „ედმოდოს“ ვირტუალურ სივრცეში მასწავლებელს შეუძლია კოლეგებთან დაკავშირება, პროფესიული ქსელის შექმნა, მათთვის რესურსებისა და გამოცდილების გაზიარება. ამგვარად, „ედმოდო“ საკლასო ოთახის ვირტუალური მოდელია, რომელსაც მასწავლებლები წარმატებით იყენებენ მოსწავლეებთან, მშობლებსა და კოლეგებთან ეფექტური კომუნიკაციისთვის.

ჯეოსელი

ჯეოსელ - ჯონექტი

შეიძინეთ ჯეოსელ-ქონექტი 79 ლარად და მიიღეთ 1GB ინტერნეტ ტრაფიკი უფასოდ!

7777 ჯეოსელის აბონენტებისთვის

832 2770177 სხვა ქსელის აბონენტებმა

www.geocell.ge

ახალი ფასი:
79 ლარი
+ საჩუქრად
1GB

ცნობილი ამერიკელი მუსიკოსი ლუი ამსტრონგი მოგვითხრობს:

– ახალგაზრდობაში, როდესაც სცენაზე გამოსვლას ვიწყებდი, საათი არ მქონდა და ხშირად ღამე, საათი რომ გამეგო საყვირზე დაკვრას ვიწყებდი, ვუკრავდი მანამ, სანამ რომელიმე მეზობელი არ დამიბრახუნებდა და არ მოჰყვებოდა ჩემს ლანძღვას: „ეს რა უბედურებაა, ღამის სამ საათზე საყვირის დაკვრა!“ ასე ყოველთვის შემეძლო ზუსტი დროის გაგება.